პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

კვირა, 8 აგვისტო 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 179 (1724)

დ ღ ი უ რ ი

- — ორ სექტემბერს შეიკრიბება ერთა ლიგის საბჭოს სესია.
- — საფრანგეთის სენატმა მიიღო საამორტიზაციო კასის დაარსების პროექტი.
- — კანტონის მთავრობამ სახელმწიფოებრივ დროშად გამოაცხადა ლურჯ-თეთრი დროშა.
- — პეკინის ახლოს დიდი ბრძოლაა სახალხო არმიელება და მილიტარისტების ჯარებს შორის.
- — სტამბოლში აღმოაჩინეს ფაბრიკა, სადაც საბჭოთა ყალბ დოკუმენტებს ამზადებდენ.
- — იაპონიაში ფეიქრებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
- — ნოგანის პროვინციაში (იაპონია) გლეხთა მღელვარება დაიწყო.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ღარიბი გლეხობა და კოოპერაცია

ჩვენი პარტიის დადგენილებანი ფართე ასპარეზს ჰქმნიან ღარიბ გლეხთა ეკონომიურათ დახმარების და მათი ორგანიზაციულად დარაზმვის დარგში. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დადგენილებანი ყველგან და ყოველთვის სათანადოთ არ ტარდება ცხოვრებაში.

ღარიბი გლეხობა უმეტეს შემთხვევაში არაა გაცნობილი იმ შეღავათებს ეკონომიურ დარგში და უპირატესობას საზოგადოებრივ - ორგანიზაციულ მუშაობაში, რომელსაც მათ ანიჭებს პარტია და სახელმწიფო. ერთგვარი გამოცოცხლება ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას საბჭოთა არჩევნების წარსულ კამპანიის დროს დაეტყო. მას შემდეგ ეს საქმე თითქოს რამდენადმე მიიჩრდილა.

ამავე დროს მუშაობას ღარიბ გლეხთა შორის, რომელნიც სოფლად პროლეტარიატის უახლოეს მოკავშირეს წარმოადგენენ, არა თუ არ დაუკარგავს თავისი სიცხოველე, არამედ დღესაც ისეთივე სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე, როგორც მაშინ, როცა ეს ამოცანა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის განსაკუთრებულ საგნად იქნა აღიარებული.

ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ორი მთავარი გზით: პირველია ღარიბ გლეხთა კოოპერატიული გაერთიანება და მეორე ამ გლეხთა შორის საზოგადოებრივ - აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება. ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა შევჩერებულიყავით ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის ამ მეორე მხარეზე. ამიტომ ამჟამად ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენს ღარიბ გლეხთა ეკონომიურ დახმარების საკითხი.

ახლო წარსულში რუსეთის კოოპერატივების ცენტრალურმა საბჭომ საინსტრუქციო წერილით მიმართა ყველა ადგილობრივ განყოფილებებს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ. ეს წერილი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში გაშუქებულია სადღეისო პრაქტიკული საკითხები. გარდა ამისა ამ წერილს თავისი შინაარსით უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სინამდვილისათვისაც, რამდენადაც იქ აღნიშნული ნაკლულევანებანი ერთნაირად დამახასიათებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ძირითად კოოპერატიულ ქსელისათვის.

როგორც ვიცით, ნივთიერ დახმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღარიბ გლეხთა ფეხზე წამოყენების, მათი, კულაკურ ელემენტებისაგან განთავისუფლებისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ საკრედიტო სისტემაზე, რომელიც ბევრ შემთხვევაში სრულიად ვერ ამართლებს ამ მოთხოვნილებას.

სესხი ღარიბ გლეხს უნდა ეძლეოდეს არა მხოლოდ ნივთიერ გარანტიის ქვეშ. საკითხის ასე დაყენებით ჩვენ საკრედიტო დახმარების გარეშე მოვაქცევდით სოფლის უღარიბეს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. ნივთიერ უზრუნველყოფასთან ერთად უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში ღარიბ გლეხის ოჯახური, მათი სამეურნეო პირობები.

რამდენად შესძლებს გაცემული სესხი მეურნეობის წინ წამოწევას. სესხის ამღების პირადი თვისებები: კეთილსინდისიერება, ფხიანობა მუშაობაში და სხვა. თუ ანგარიში გაეწია ყველა ამ გარემოებათ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ღარიბ გლეხთა დიდი უმრავლესობა შემოკრბება ჩვენი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების გარშემო და თავიანთ უახლოეს ორგანიზაციათ გაიხდიან მას.

გარდა ამისა ამ ძირითად დახმარებას სოფლის ღარიბ მოსახლეობისათვის მხოლოდ მაშინ ექნება ფასი, როცა ღარიბ გლეხს კრედიტი მიეცემა მისთვის შესაძლო საპროცენტო ანარიცხებით და როცა ეს კრედიტი იმდენად გრძელვადიანი იქნება, რომ მისი გადახდა არ შეაფერხებს გლეხის მეურნეობის ნორმალურ მსვლელობას. დღეს კი, როგორც ვიცით, ბევრგან ეს არ ტარდება ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ზოგჯერ ჩვენი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობანი სოფლის სულ სხვა, ჩვენთვის არასასურველ, ელემენტებს ემსახურება.

ამასთან ერთად სოფლის ღარიბ მოსახლეობის კოოპერატივებში მისაზიდავათ, მათთვის საპაიო გადასახადების შესამსუბუქებლად უნდა შემოღებულ იქნას პრაქტიკაში ღარიბ გლეხთა დაშვება დღიურ სამუშაოებზე, რომელიც კი აღმოაჩნდებათ სოფლად არსებულ სამეურნეო, საზოგადოებრივ თუ ადმინისტრატიულ ორგანოებს. ასეთი შემთხვევები, როგორც ვიცით, არც ისე იშვიათია სოფლის აღმშენებლობაში.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ დაუშვებელია სამეურნეო თუ ადმინისტრატიულ ორგანოების გლეხების მიმართ ფულადი დავალიანების განაღდების დაყოვნება. ასეთ შემთხვევებში, რაიც სამწუხაროთ აქა-იქ დღესაც გრძელდება და მაშინაც კი, როცა დავალიანება დროზე იქნება გასტუმრებული, ღარიბ გლეხებს სხვებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიეცეს.

ამასთან ერთად ჩვენმა კოოპერატივებმა უნდა შესძლონ ღარიბ გლეხობის ჩარჩ-მევახშეების კლანჭებიდან დახსნა. ამის ერთი საუკეთესო საშუალება იქნება ახალი მოსავლის დაბევება. გამოცდილებით ვიცით, რომ ღარიბი გლეხი, ყოველდღიურ ხელმოკლეობის, ან რაიმე მოულოდნელ უბედურების დროს, აბევებს მომავალ მოსავალს ჩარჩ-მევახშესთან, რომელიც ჩალის ფასად იგდებს ხელში მთელი წლის ნაწვავ-ნადაგარს.

კოოპერატივები უთუოდ უნდა ჩაერიონ ამ საქმეში. მოსავალის დაბევება და განსაცდელის დროს გლეხისათვის დახმარების აღმოჩენა, ისე რომ ეს დახმარება საბოლოოთ დაღუპვას არ უდრიდეს, როგორც ეს ჩარჩის ხელში მოსდის მას, დიდათ გაზრდის სოფლის ღარიბ მოსახლეობაში კოოპერატივისადმი ნდობას და ამნაირად ხელს შეუწყობს ამ მოსახლეობის კოლექტიურად გაერთიანებას.

მთელი ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა ქველმოქმედების, ან გულშემატკივრობის გრძნობით, არამედ დასახულ ამოცანის მნიშვნელობის და სერიოზულობის მთელი შეგნებით.

ვიმეორებთ, პარტიის დადგენილებანი ღარიბ გლეხთა შესახებ ჯერ კიდევ დიდ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვენ. ამ შემთხვევაში კოოპერაციას და განსაკუთრებით მის ძირითად ქსელის ინიციატივასა და თვითმოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

* * *

მემაღაროეთა გაფიცვა და გერმანელი პროფბიუროკრატები

სამ თვეზე მეტია, რაც მაღაროთა მონების ფრონტი შეურყევლად სდგას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ დიდ გაფიცვას მთელი მსოფლიოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თვითეულ მუშას ესმის, რომ ინგლისის მემაღაროების დამარცხება ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მწარმოებელთა შემოტევას გამოიწვევს. ეს იციან და იცოდნენ აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალის და მემაღაროეთა ინტერნაციონალის ბელადებმა. ამიტომ ამსტერდამელების ყველა მაღალი ინსტანციები პატეთიურად გაიძახოდნენ, რომ ინგლისის პროლეტარიატს ყოველი ღონისძიებით დაეხმარებიან, რათა დამხობას გადაარჩინონ ევროპის პროფმოძრაობის უკანასკნელი დედა ბოძი. რა ფასი აქვს ამსტერდამის გადაწყვეტილებებს, ეს ჩვენ კარგად ვიცით რურის ოლქის ოკუპაციის მაგალითიდან. მაგრამ ბევრს ეგონა, რომ ამსტერდამი დღეს უკეთ შეასრულებდა თავის სიტყვას და თავის ვალდებულებას. ეს შეცდომა აღმოჩნდა. ამსტერდამმა დღეს ისეთივე უილაჯობა გამოიჩინა, როგორც 1923 წელს. თავის თავს გადააჭარბა კიდეც. აღვნიშნოთ თვალსაჩინო ფაქტები:

1. ამსტერდამი იცავს და ამართლებს ტომას-ჰენდერსონის ღალატს.

2. **მემაღაროების ბელადებს რეფორმისტული იჭვის თვალით უცქერიან და ჰკიცხავენ არა მარტო ინგლისში, არამედ მთელს ევროპაში მათი თავგანწირული ყოფაქცევისათვის.** განსაკუთრებით კუკს ავადმყოფ ადამიანად სახავენ, რომელიც თავისი შეურიგებლობით ზიანს აყენებს არა მარტო ინგლისელ მემაღაროებს, არამედ ყველა მუშებს.

3. რიხიან დაპირებების მიუხედავათ **არავითარი ზომები არ იქნა მიღებული, რომ ქვანახშირის შეტანა შეეჩერებიათ ინგლისში.** რურის ოლქსა, გერმანიის და პოლონეთის ზემო-სილეზიაში გაათოებით მუშაობენ, რათა „კონიუნქტურა გამოიყენონ". ქვანახშირის გაზიდვამ ორჯერ და სამჯერ მოიმატა. გერმანიის მემაღაროელების, ტრასპორტის მუშების და რკინისგზელების კავშირებს თითიც კი არ გაუნძრევიათ, რომ გერმანიის პროლეტარიატისთვის ეს უმაგალითო სამარცხვინო ლაქა ჩამოეშორებიათ. პირიქით, **პროფკავშირების ბელადებმა მუშები პირდაპირ წააქეზეს, რომ ეს შტრეიკბრეხერული მუშაობა გაეწიათ.**

4. მემაღაროების კავშირის ამ ცოტა ხნის წინად მომხდარ საზოგადო ყრილობაზე რეფორმისტულმა უმრავლესობამ, ჰუზემანის მეთაურობით, ხელი შეუშალა გერმანელი მემაღაროების მიერ დახმარების გაღებას ინგლისის მემაღაროების სასარგებლოდ. კიდევ მეტი. იმ წევრებს, რომელნიც სოლიდარობის გრძნობის გაღვივებას ცდილობენ ორგანიზაციიდან გამორიცხვით დაემუქრნენ.

5. **მთავარი დამნაშავე ინგლისელი მემაღაროების ღალატში არის სრულიად გერმანიის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო** რომელიც, როგორც არჩეული დაწესებულება, ვალდებული იყო გერმანიის პროლეტარიატის საერთო ინტერესები დაეცვა. გროსმანსა, ლეიპარტსა, შლიდსა, ტარნოვსა და სხვებს თითქო სხვა არაფერი აქვთ გასაკეთებელი გარდა იმისა, რომ ტომას-ჰენდერსონის ღალატს შემდეგ აღნიშნონ, ყოველგვარი დახმარება, გარდა შეწირულების შეგროვებისა, უნდა შეჩერდესო.

6. ხოლო, რაც შეეხება თვით შეწირულების შეგროვებას, გერმანიის პროფკავშირების მსხვერპლი ამ დარგში პირდაპირ უბადრუკია. სასაცილოდ აიგდეს კომუნისტების წინადადება, რომ ყველა პროფკავშირების წევრებისთვის შემოღებული ყოფილიყო დღიური ქირის ერთი მეოთხედის ოდენა გადასახადი ინგლისის გაფიცვის სასარგებლოდ.

პირიქით, იმავე ადამიანებმა, რომელთაც ასე ცოტა გააკეთეს ინგლისელ მებრძოლებისთვის, იმდენი თავხედობა გამოიჩინეს, რომ გერმანელი და საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში დაამცირეს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მიერ გაღებული დახმარება, რომელმაც შეუდარებლად გადააჭარბა ყოველივე დღემდე გაწეულ დახმარებას.

თუ ჩვენ ვკითხავთ, რა სარგებლობა შეიძლება მიიღოს მუშათა კლასმა რეფორმისტ პროფკავშირების ბელადების ასეთი ყოფაქცევიდან, პასუხი ყოველი პატიოსანი მუშისთვის ნათელია: რეფორმისტების ასეთი მოღვაწეობიდან მხოლოდ რეაქცია მოიგებს, მუშებს ის მხოლოდ ახალ ჩაგვრასა და იმედის გაცრუებას მოუტანს. ვისაც არ უნდა, რომ ინგლისის გაფიცვა ჩაიშალოს, ვისაც არ უნდა, რომ ინგლისის კაპიტალმა მემაღაროები დაამარცხოს, ის ენერგიულად უნდა შეეცადოს, რომ მუშათა მასებმა, თვით მხდალი და ბეჩავი მეთაურების დაუდასტურებლად, სოლიდარობის უმარტივესი აქტები განახორციელონ: ყველა ძალების გაერთიანება მოახდინონ, რათა ქვანახშირის გატანა შეაფერხონ ინგლისში და ფული შეაგროვონ, რათა მებრძოლ მემაღაროელებს გაუადვილონ სიმშილთან ბრძოლა. ამას გარდა ყოველი კლასობრივად შეგნებული მუშა გვერდში უნდა ამოუდგეს კომუნისტებს, რათა მუშათა მოძრაობაში აღმოფხვრას რეფორმიზმის სული, ხოლო მოღალატე ბელადები პროფკავშირებიდან გარეკონ.

ფრიც ჰეკერტ.

შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციას შორის ბერლინში

„როტე ფანე"-ს გამოცემა განახლდა.—პოლიციამ გაჩხრიკა „როტე ფანე"-ს სტამბა

ბულგარეთში დაიწყო დიდი პარტიზანული მოძრაობა.--პარტიზანების თავდასხმა პოლიციაზე

მაღაროს პატრონები სცდილობენ პოლიციის საშუალებით აიძულონ მემაღაროელები განაახლონ მუშაობა

რეაქცია გერმანიაში

„როტე ფანე"-ს სტამბის გაჩხრეკა

ბერლინი, 6 აგვ. „როტე ფანე"-ს სტამბაში პოლიტიკურ პოლიციამ მოახდინა სასტიკი ჩხრეკა, არალეგალურ ორგანოს „როტე შტურმფანე"-ს აღმოსაჩენად.

პროვინციალურ ქალაქშიც მოახდინეს აგრეთვე ჩხრეკა, წითელ მეფრონტეების კავშირის ორგანოს „როტე ფრონტი"-ს ნომრის აღმოსაჩენად, რომელსაც კონფისკაცია უყვეს, გერმანიის ბურჟუაზიის შეიარაღების შესახებ მოთავსებულ წერილის გამო.

რეპრესიები კომპარტიის წინააღმდეგ

ბერლინი, 6 აგვ. ტიურინგის მთავრობამ, პოლიციის ყველა განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარები და მოწერილობები, სადაც წინადადებას აძლევს ამათ, თვალ-ყური ადევნონ „კომუნისტურ პარტიას", განსაკუთრებით წითელ მეფრონტეთა კავშირის შეიარაღების ახალ ცდას.

ცირკულიარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტია სცდილობს ცეცხლის მფრქვეველი იარაღებით უზრუნველყოს თავის პარტიის წევრები და, როგორც სჩანს, ცდილობს ხმები იშოვოს კომუნისტურ პარტიის და წითელ მეფრონტენთა კავშირი ლეგალური არსებობა აკრძალოს ტიურინგიაში.

შეტაკება ბერლინის შრომის ბირჟასთან

ბერლინი, 6 აგვ. ბერლინის შრომის ბირჟაზე პოლიციის მიერ რამოდენიმე უმუშევრის დაპატიმრების განზრახვის გამო მოხდა სერიოზული შეჯახება უმუშევრებსა და პოლიციელებს შორის. უკანასკნელებმა იხმარეს რეზინის ჯოხები და თოფის კონდახები. მღელვარება გაგრძელდა რამოდენიმე საათის განმავლობაში.

გაფიცვა ინგლისში

კომპარტიის პოზიცია

ლონდონი, 6 აგვისტო. კომპარტიის ორგანო „უორკერ უიკლი"-ს მოწინავე სასტიკად აკრიტიკებს სამღვდელოების წინადადებას და აცხადებს, რომ სამთამადნო მუშების მიერ სამღვდელოების წინადადების მიღება სიმხდალე კი არ იქნება, არამედ უსაშინელესი უგუნურება.

ბალდუინი სტყუის

ლონდონი, 6 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კუკმა განაცხადა, რომ ბალდუინმა ამერიკის გაზეთებში გამოსაქვეყნებლად შეერთებულ შტატებში გაგზავნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ ინგლისის სამთამადნო მუშები და მათი შვილები შიმშილს არ განიცდიან და მრავალ რაიონში მუშები ეხლა უფრო უკეთ იკვებებიან, ვიდრე გაფიცვამდე.

„ბალდუინის განცხადება, ამბობს კუკი, წარმოადგენს ან იმის დახასიათებას, თუ როგორი საშინელი პირობები არსებობდა ინგლისის სანახშირო მრეწველობაში 1926 წლის მაისამდე, ან იგი არის შეგნებული სიცრუე, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს ინგლისის სამთამადნო მუშების მიერ ფინანსიური დახმარების მიღებას შეერთებულ შტატებიდან".

ჯარიმების სისტემა

ლონდონი, 6 აგვისტო. ყველა სანახშირო რაიონებიდან მოდის ცნობები, რომ სამთამადნო მუშებს აჯარიმებენ; მრავალ რაიონში ადგილი აქვს ინციდენტებს, რომლებიც გამოწვეულია იმით, **რომ მაღაროს მეპატრონენი პოლიციის საშუალებით სცდილობენ აიძულონ მუშები სამუშაოს დაუბრუნდენ.**

კლასიურ ბრძოლაში დაზარალებულთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია აწყობს შემოწირულების შეგროვებას მუშების ჯარიმის გადასახდელად. ორგანიზაციის მდივანმა განუცხადა „დეილი ჰერალდის" წარმომადგენელს, რომ ამ მიზნისათვის სასწრაფოდ საჭიროა 1.000 გირვ. სტერლინგი.

სამღვდელოების მემორანდუმი

ლონდონი, 6 აგვისტო. 10 აგვისტოს შესდგება სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელიც განიხილავს სამღვდელოების მემორანდუმის კენჭის ყრის შედეგებს.

საბოლოო და სრული შედეგები მიღებული იქნება 9 აგვისტოსთვის, მაგრამ სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის სხდომის გათავებამდე არ გამოქვეყნდება.

გადამწყვეტი სიტყვა შოტლანდიელებს ეკუთვნის

ლონდონი, 6 აგვისტო. ლანკაშირისა და ჩეშირის სამთამადნო მუშების სადელეგატო კონფერენციებმა **დიდი ხმის უმრავლესობით უარყო სამღვდელოების მემორანდუმი; უარყვეს აგრეთვე კუმბერლენდის სამთამადნო მუშებმაც. ამგვარად, სამღვდელოების მემორანდუმის კენჭის ყრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა შოტლანდიის სამთამადნო მუშების პოზიციას.**

მთავრობა და პროფკავშირები

ბეილონი, 7 აგვ. ინგლისის კაბინეტი იხილავს ახალ კანონს, **რომელიც ტრედ-იუნიონებს ანიჭებს უფლებას ისარგებლონ მათი ფონდების მხოლოდ ნახევარი ნაწილით;** მეორე ნახევარი კი უნდა მოხმარდეს უმუშევართა და მოხუც მუშების დახმარებას.

სამღვდელოების წინადადება

ლონდონი, 6 აგვისტო. ზეხკევენში გამოსვლის დროს, კუკი ურჩევდა მაღაროს მუშებს სამღვდელოების წარმომადგენელთა მემორანდუმის მიღებას. სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ კუკმა განაცხადა, რომ ის პრინციპიალურად წინააღმდეგია მისი, მაგრამ მზად არის მიიღოს იგი თუ მუშებისათვის 7 საათის სამუშაო დღეს დასტოვებენ.

მემაღაროელთა ფედერაციის თავმჯდომარე სმიტი შეფილდში გამოსვლის დროს-, ურჩევდა მუშებს სამღვდელოების წინადადების მიღებას „თუ თქვენ ამ დროებითი მორიგების შემდეგ მოგიხდებათ სამუშაო ხელფასის დაკლებაზე დათანხმება, მაშინ სამთამადნო მუშებმა უნდა განაგრძონ ბრძოლა, სანამ მაღაროს მეპატრონეები სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ მოთხოვნილებას უკანვე არ წაიღებენ.

პუანკარე „სამუშაოზე"

პუანკარე იხტიბარს არ იტეხავს

პარიზი, 7 აგვისტო. სენატმა 281 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 6-ისა, მიიღო საამორტიზაციო კასის დაარსება; ხოლო 271 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 11-ისა ფულის ტრიალის სტაბილიზაციის პროექტი.

პუანკარემ, რომელსაც ტაშით შეხვდენ, დაადასტურა, სახელმწიფოს ვალდებულებათა შეუსრულებლობა დამღუპველი იქნება სახელმწიფოსთვისო.

საფრანგეთისათვის კრედიტის მიცემა და საზოგადოებრივ ნდობის შენარჩუნება—სთქვა პუანკარემ—აი საფუძველი, რომელზედაც უნდა იქნას დამყარებული საფინანსო კეთილდღეობა. ბიუჯეტის წონასწორობის დამყარების შემდეგ,—რაკი ეხლანდელი პროექტი იქნება მიღებული—ხაზინა თავისუფალია. მიღწეული შედეგები თანდათან განმტკიცდება. საფრანგეთი არც მშვიდობიანობის და არც ომის დროს არ გამოიჩენს სისუსტეს და არ დაეცემა სულიერად".

„გაბედული" ნაბიჯი

ლონდონი, 7 აგვ. „დეილი მეილის" პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ, როგორც პარიზში ფიქრობენ, საფრანგეთის მთავრობა ხვალ გადადგამს გადამწყვეტ ნაბიჯს ვალების საკითხში. მინისტრთა საბჭოს მიეცემა წინადადება მხარი დაუჭიროს პუანკარეს განზრახვას და სთხოვოს პარლამენტს კაიო-ჩერჩილისა და მელონ-ბერანჟეს შორის დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პირველი ხელშეკრულების რატიფიკაცია ეჭვს გარეშეა, რაც შეეხება მეორე ხელშეკრულებას, მისი დამტკიცება კი საეჭვოა.

ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადიდება

პარიზი, 6 აგვ. გამოქვეყნებულია დადგენილება საფოსტო ტელეგრაფის და სატელეფონო ნიხრის გადიდების შესახებ საფრანგეთში.

საფრანგეთის ფინანსიური საქმეები

პარიზი, 7 აგვისტო. მინისტრთა საბჭო ორშაბათს გადასწყვეტს საკითხს ლონდონთან და ვაშინგტონთან დადებულ შეთანხმების წინასწარი რატიფიკაციის შესახებ. დეპუტატთა უმრავლესობას სურს საკითხის განხილვის გადადება იმ მიზნით, რომ ფინანსიურმა კომისიამ უკეთესად შეისწავლოს იგი.

სენატმა 271 ხმის უმრავლესობით 11 ხმის წინააღმდეგ მიიღო საფრანგეთის ბანკის ოპერაციების პროექტი ფრანკის სასტაბილიზაციოდ, და 251 ხმის უმრავლესობით 6 წინააღმდეგ საამორტიზაციო კასის მოწყობის პროექტი პუანკარეს ამოცანის პირველი ნაწილი შესრულებულია. ამჟამად მას აქვს ყოველგვარი საშუალება და მონდობილობა დასდოს საფრანგეთის ბანკთან ისეთი კონტრაქტები, რომლიც საჭიროდ იქნება ცნობილი ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

პუანკარეს გეგმა

ბერლინი, 7 აგვისტო. პარიზიდან მიღებულია ცნობა, რომ პუანკარე დაეთანხმა ვაშინგტონის ვალების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას, მოჰყვა ცნობა, რომელიც იუწყება, რომ პუანკარემ მოულოდნელად შესცვალა თავისი განზრახვაო. ამიტომ შეთანხმება განხილული არ იქნება პალატის სხდომების განახლებამდე.

პარიზის პრესის ცნობით პუანკარეს პირველ განზრახვას უარყოფითად შეხვდენ როგორც კაბინეტი, ისე პალატა. ამ გარემოებამ აიძულა პუანკარე ხელშეკრულების რატიფიკაცია გადაედო. სენატმა მიიღო 271 ხმის უმრავლესობით 11 წინააღმდეგ პუანკარეს გეგმა ამორტიზაციის და ინფლიაციის შესახებ იმ მიზნით, რომ შეისყიდონ საზღვარგარეთის ვალიუტა.

პარტიზანული მოძრაობა ბულგარეთში

ვენა, 6 აგვისტი. უკანასკნელ ხანებში ბულგარეთის პრესა იუწყება პარტიზანების ახალი გამოსვლების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ტროიანის, ლოვეჩის და პლევენის რაიონებში. პარტიზანები თავს ესხმიან სახელმწიფო დაწესებულებებს. ამას წინედ ლოვეჩ-პლევენის გზაზე დაესხენ ფოსტას: ფოსტის დამცველი ჟანდარმები ამოხოცეს და ფული გაიტაცეს. შემდეგ დღეებში ამ რაიონში პარტიზანები თავს დაესხენ პოლიციას, რომლებსაც მიჰყავდათ დატუსაღებული გლეხები.

ბურჟუაზიული პრესა ამ ცნობებს თავს ურთავს პარტიზანელების სისასტიკის ტენდენციოზურ აღწერას; მაგრამ მათ მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდანაც სჩანს, რომ ჟანდარმთა შორის მრავალი თანაუგრძნობს პარტიზანებს.

ბურჟუაზიული პრესა ძალიან შეშინებულია პარტიზანული. მოძრაობის ზრდით, რომლის მოსპობა პოლიციამ ვერ შესძლო. ლიაპჩევის ორგანო იძულებულია აღიაროს, რომ **„ავაზაკებს მხარს უჭერს ბულგარეთის ხალხის უმეტესი ნაწილი, რომელსაც გადაედო კომუნიზმის სენი".**

სოციალ - დემოკრატების ორგანო „ხალხი" საყვედურს უცხადებს მთავრობას იმის გამო, რომ მისი ღონისძიებანი უშედეგოა და მოითხოვს უფრო აქტიურ მოქმედებას პოლიციის მხრით.

გზა და გზა გაფიცულ მემაღაროეთა რაიონებში

(წერილი ინგლისიდან)

ნორტ ჰუმბერლანდის მემაღაროებთან

ინგლისში მოგზაურობის დროს ადამიანს ერთი რამ აოცებს ყველაზე მეტად. ეს არის გზები. უკეთესი გზების წარმოდგენა შეუძლებელია. მათ დიდი მზრუნველობით ეპყრობიან, პირდაპირ ანებივრებენ. გზატკეცილი კრიალობს სარკესავით. ნათლად სჩანს, ეს გზატკეცილები ღარიბებისათვის არ არის გაყვანილი. ყოველმხრივ მათ ავტომობილები სერავენ.

მაგრამ ამ გზებსაც აქვთ თავიანთი ნაკლი; მათ აკრავს ბეჩავი მემაღაროების სოფლები, რომელთა მოსაწყობათ მთავრობას ფული აკლია.

მე გზატკეცილით მივედი ნიუ-ვესტლიდან ნორპეტამდე. ვინახულე ანიტსფორდის, ბლეჯონ ჰალლის, სტენიგტონის მაღაროები. ეს არის შემაძრწუნებელი გროვა ერთფეროვან, ნაცრისფერ სახლებისა, ნაშენი მაღაროებში მოტეხილი ქვით და მიწით შელესილი. დაბალი კარების ზღურბლზე მემაღაროები სხედან ღრმად ჩაფიქრებულნი და სდუმან. რას ფიქრობენ ეს ადამიანები? ხომ არ ენატრებათ ის ჯოჯოხეთის გზა, რომელსაც ყოველ დღე ჩადიოდნენ და რომელიც არ უნახავთ თითქმის სამი თვეა. არა, ისინი ფიქრობენ იმ სიღარიბეზე, რომელიც მათ ქოხს ესტუმრა, პაწია ბალღებზე, რომელიც ფეხშიშველნი, ძონძებში გახვეულნი იქვე თამაშობენ შავ მტვერში. ისინი ფიქრობენ იმ საშინელ ომზე, რომელშიც ისინი ჩაებნენ და რომელმაც მათთვის ასეთი ველური, ულმობელი, ტლანქი ხასიათი მიიღო; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც მტერი რჩება დაუზიანებელი. ისინი ფიქრობენ ვალებზე, რომელიც დღითი დღე იზრდება მახლობელ მეწვრილმანესთან და კოოპერატივში.

მათ ეუბნებიან: იმუშავეთ რვა საათი დღეში და შესაძლებელი იქნება დაახლოებით დღევანდელი ხელფასის შენარჩუნება.

მთავრობა და მესაკუთრეები ოცნებობდნენ ახალი მდგომარეობა შეექმნათ მაღაროებში რვა საათის სამუშაო დღის შემწეობით. მათ ფსიქოლოგიური შეცდომა ჩაიდინეს.

— რვა საათი! არასოდეს.

პასუხი ტლანქი და ვდაჰრილია.

— ხელფასის შემცირებაზე რაღას იტყვით?

ჩემი მოსაუბრეები ყოყმანობენ, ხელით გაურკვეველ მოძრაობას აკეთებენ.

მაგრამ ლაპარაკში ერთი დედაკაცი ერევა.

— როგორ შეიძლება ხელფასის შემცირება? წინანდელი ხელფასითაც შეუძლებელი იყო არსებობა. შეხედეთ ამ ბავშვებს. მათ ფეხსაცმელები აღარ აქვთ. დიდი ხანია რაც ვეღარ ვყიდულობთ. გაფიცვის დაწყებამდე ოჩაფეხებით დადიოდნენ. ახლა ესეც აღარ აქვთ და ფეხშიშველნი დარბიან. იმ დღეს ჩემმა პაწიამ ფეხი გაიჭრა ბოთლის ნატეხზე...

ბავშვებს, რომელთაც არაფერი აცვიათ გარდა დახეულ ფლანელის ბლუზისა ან კაბისა, დედის კალთას ეკვრიან. მეზობლის დედაკაცები გვიახლოვდებიან, ცნობისმოყვარეობით მათვალიერებენ, როგორც „უცხოელს", რომელიც ასე შორიდან მოვედი მათი მდგომარეობის გასაგებათ.

— მაშ კუკი მართალს ამბობდა, მეუბნება ერთი მათგანი, რომ ჩემზე უცხოეთში ფიქრობენ... რუსები ბევრ სიკეთეს გვიშვრებიან.

მე მათ ვუხსნი რას აკეთებენ რევოლიუციონერი და კომუნისტი მუშები, რამდენ შეწირულებას აგროვებენ სხვადასხვა ქვეყანაში. ეს აძლიერებს მათ თავგამოდებას, მათ გადაწყვეტილებას, რომ კიდევ იბრძოლონ.

* * *

ნორპეტის პატარა მოედანზე ხალხი სდგას ჯგუფ-ჯგუფათ. მამაკაცები უსიტყვოთ უცქერიან მიმავალ ავტომობილებს. მე მათ ვესაუბრები. მე ვლაპარაკობ ახალ მდგომარეობაზე, რომელიც რვა საათის სამუშაო დღის მიღების შემდეგ შეიქმნება. პასუხი ერთი და იგივეა: „არასოდეს".

ეს ადამიანები რაღაც ველური ჟიუტობით ეწინააღმდეგებიან ყოველ ცდას უკან დაბრუნებისკენ მიმართულს. ყველა კარგად გრძნობს, რომ თუ სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხში დასთმეს, გაჭირვებით ამართული გალავანი ნაწილობრივ შეინგრევა. დათმობა ხელფასის დარგში მათ ნაკლებ აშინებს: — მისი აღდგენა უფრო ადვილიაო, მითხრა ერთმა მემაღაროემ.

* * *

საღამო ახლოვდება. მე უნდა შევხვდე ამხანაგ დუგლას, რომელიც თავგამოდებულ ბრძოლას აწარმოებს ნორტ ჰუმბერლანდის ამ ჩრდილოეთ ოლქში, პასიური ხალხით დასახლებულში, რომელსაც მთელი საუკუნეების კონსერვატიზმი აწევს მხრებზე. კომუნისტური იდეები ამ ხალხში აუჩქარებლად, დიდის გაჭირვებით შედის; მაგრამ მაინც შედის. უჯრედები ეწყობა.

ერთი გორაკი გადავლახე, ერთი ველი გადავსერე და მემაღაროეთა პაწია სოფელში, ბეჯვუდში ჩავედი. ერთი მხრით ეკლესიაა, მეორე მხრით კოოპერატივი, შუაზე პოლიციის ბიურო, ხოლო ცოტათი მოშორებით „ინსტიტუტი". აქ იკრიბებიან მემაღაროები. „ინსტიტუტი" დაკეტილი დამხვდა. წავედი დუგლასის საძებნათ.

დაბალი, ნაცრისფერი, ერთი მეორის მაგვარი სახლები ამწკრივებულნი არიან პარალელურ ქუჩებზე. ეს ქუჩები ქვანახშირის მაღანთან თავდებიან, რომლის შავი სილუეტი ზევიდან დასცქერის ამ სწორ ხაზიან გროვას, სადაც არც რაიმე ხელოვნება სჩანს, არც ბოლი, არც მცენარე, რომ ცოტაოდენი მხიარულება შეიტანოს ამ გულის შემზარავ ერთფეროვნებაში. ქალები სარეცხს რეცხენ კარების წინ და ცნობის მოყვარეობით უცქერიან გამვლელ უცხოელს.

— ერთი წყვილი ფეხსაცმელი მაინც მქონდეს თქვენსავით!

ამ სიტყვებს ქალი ამბობს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ სახე — დამჭკნარი; მეტად მძიმეა ასეთი შეხვედრა. დედაკაცები თავიანთ გაჭირვებას, თავიანთ ტანჯვას მიამბობენ. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის თანახმა, რომ მუშაობა შეცვლილ პირობებში განახლდეს.

ბავშვები ქვანახშირის ზვინებს გვერდით თამაშობენ, ყველანი ძონძებში არიან გახვეულნი და ფეხშიშველნი.

— მათ როდი კვებავენ სკოლაში, მეუბნება დუგლასი. „აღზრდის კომიტეტი" ამბობს, რომ ფული არ აქვს. ორი კვირის განმავლობაში ბავშვებს მხოლოდ ერთხელ მივეცით საერთო საუზმე. ჩვეულებრივ კი ისინი მხოლოდ ერთ კერძს ღებულობენ დღეში.

— როგორ არსებობთ?

— ქველმოქმედების ბიურო კვირაში 10 შილინგს (5 მანეთს დაახლოებით) იძლევა ქალზე და 4 შილინგს (2 მანეთს) ბავშვებზე, მაგრამ ისე კი რომ მაქსიმუმი 30 შილინგს არ უნდა აღემატებოდეს კვირაში... ჩვენ, მამაკაცებმა ეს არის მხოლოდ პირველად მივიღეთ 3 შილინგის დახმარება, ფედერაციის თანხებიდან, რომელსაც ყველაზე მეტად ჩვენი რუსი ამხანაგები ასაზრდოებენ თავიანთ შემოწირულებით... კიდევ შეიძლება გაძლება. 8 საათის საკითხმა გააძლიერა წინააღმდეგობის გრძნობა... მარტო ხელფასის საკითხი რომ ყოფილიყო, შეიძლება აქაურ მუშებს კიდევ დაეთმოთ... დღეს კი არავის უნდა რომ მუშაობას დაუბრუნდეს. აქ კი ჩვენ, კომუნისტები, თითქმის მტრულად განწყობილ ბანაკში ვიმყოფებით. უმცირესობის მოძრაობა აქ წინ მიდის... მაგრამ საჭიროა მედგარი ბრძოლის წარმოება. მუშათა პარტია სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას გვიწევს.

ის მისახელებს რამდენიმე მაგალითს შემაძრწუნებელი სიღარიბისა. ერთს ოჯახს, რომელშიც 14 ობოლია, დიდედა პატრონობს. მეორე ოჯახი ორი პაწია ბიჭისა და სამი პატარა ქალისგან შესდგება, მათი მამა ავადაა უკვე სამი კვირაა.

მე ვხედავ ქალებს, რომელნიც პატარა ჯგუფებით მინდვრებისკენ მიემართებიან. ეს მე მაინტერესებს.

— იქ არის საბოტაჟის ცდუნება. ოთხი მუშა დღეს მაღაროებს დაუბრუნდა... ეს ქალები მიდიან, რათა მათ სოლიდარობის გაკვეთილი მისცენ.

ჰ. დავიდ.

ნორპეტ, 23 ივლისი.

საბჭოთა პრესა

რა დაჯდა ომი?

იმპერიალისტურ ომის 12 წლის თავზე, „პრავდა"-ს თავის მოწინავე წერილში მოჰყავს მეტად საყურადღებო ცნობები იმ საშინელი მსხვერპლისა და აუარებელ ზარალის შესახებ, რომელიც მოავლინა კაცობრიობას ჯერ არგაგონილმა 1914—1918 წლის საერთაშორისო ხოცვა - ჟლეტამ. გაზეთი სწერს:

„8.530.000 მოკლული, 21.870.000 დაჭრილი, სულ 29.900.000 კაცი—ომის მსხვერპლი. 200 მილიარდი დოლარი საომარი ხარჯები. ეს არის უკანასკნელი, მეცნიერულად შემოწმებული შედეგები უკანასკნელი ომისა. ეს არის სისხლით შეღებილი, ისტორიის ფურცლებში ფოლადის ხიშტით ჩაწერილი ციფრები. ეს პირდაპირი დანაკლისია. მაგრამ კაცობრიობამ განიცადა ამაზე არა ნაკლები არაპირდაპირი ზარალი: დანგრეული მხარეები, ეპიდემიით დაღუპული მილიონი ადამიანები, მრეწველობის დაქვეითება და სხვა.

ამის შემდეგ გაზეთი ფარდას ხდის მსოფლიო კატასტროფის გამომწვევ იდუმალ მიზეზებს და მეომარ სახელმწიფოთა ფარულ ზრახვებს, რომელთაგან სიტყვით ყველა „სამართლისა და თავისუფლებისათვის" იბრძოდა.

ნუ თუ შესაძლებელი იქნებოდა, კითხულობს გაზეთი, ეს უდიდესი თვალთმაქცობა, რომ ადგილი არ ქონოდა სოციალ-დემოკრატიის წინამძღოლთა უდიდეს ღალატს?

„გერმანელი ჯარისკაცის არც ერთი წვეთი სისხლი არ უნდა დაიღვაროს იმპერიალისტურ მტაცებლობის გულისათვის". ძირს ომი! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას". სიტყვასიტყვით ასე ეწერა „ფორვერტს"-ში მოთავსებულ მოწოდებაში, რომელსაც ხელს აწერდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრ. კომ. 1914 წ. 28 ივლისს.

და როგორც კი ომმა იგრიალა—1914 წ. 4 აგვისტოს,—რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ განაცხადა: „საშიშროების ჟამს, ჩვენ ჩვენს სამშობლოს ბედის ანაბარა ვერ დავტოვებთ"-ო,—იუნკრების, მონარქისტების „სამშობლოს".

მოუღო თუ არა ბოლო ომმა ინტერესთა იმ წინააღმდეგობას, რომელიც სუფევდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის 1914 წლამდე და რომელმაც მიიყვანა კაცობრიობა უსაშინელეს სისხლის ღვრამდე? ეს საკითხი ბუნებრივად ისმება ჩვენს წინაშე. „პრავდა" ამისა შესახებ შემდეგსა სწერს:

„პირიქით, მან (ომმა) კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობანი და კაპიტალისტურ მსოფლიოში ამხანად ისახება ახალი, კიდევ უფრო დაუნდობელი და გაუგონარი ომები. ამის უტყუარი საბუთია ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების ხარჯები შეიარაღებაზე დღითი-დღე იზრდება... ეს (ომი) საშიშროება ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, განაგრძობს „პრავდა", უნდა გვახსოვდეს ილიჩის, ჰააგის კონფერენციის დროს, დაწერილი სიტყვები: **„ომმა შეიძლება ყოველ დღე იფეთქოს"**.

პილსუდსკი დღესასწაულობს

პანები ზეიმობენ

ვარშავა, 7 აგვ. 6 აგვისტოს მთელ პოლონეთში დაიწყო ზეიმი იმ დღის აღსანიშნავად (მე-12 წლის თავზე), როცა პილსუდსკის ლეგიონერებმა კრაკოვიდან შეუტიეს ყოფილ რუსეთის პოლონეთს. ლეგიონერებმა მანევრის სახით კვლავ შეასრულეს ეს ისტორიული შეტევა. კვირას დიდი დღესასწაული გაიმართება კელციში პოლონეთის სამეფოს ძველ ქალაქში, რომელიც პილსუდსკიმ აიღო 1814 წელს.

ეკონომიური მდგომარეობა

ვენა, 7 აგვ. მრეწველობის მინისტრმა კვიატკოვსკიმ პრესის კონფერენციაზე აღნიშნა, რომ პოლონეთის ეკონომიურმა მდგომარეობამ მოლოდინს გადააჭარბა. ნახშირის საშუალო თვიური ექსპორტი, რომელიც 1925 წელში 600.000 ტონას უდრიდა, მიმდინარე წლის ივლისში 1.800.000 ტონამდე მიაღწია. ასეთივე გაუმჯობესება ემჩნევა მრეწველობის სხვა დარგებსაც, განსაკუთრებით ლითონის, საფეიქრო მრეწველობას და სხ. პოლონეთის ბანკის ემისიაც შეიძლება გადიდებულ იქნას. კომერციული ბალანსი მტკიცდება. იგი იძლევა იმ რესურსებს, რომლებიც შესაძლებლობას, მოგვცემს, რომ საკუთარი ძალებით მოვახდინოთ ეკონომიური გაჯანსაღება.

ნავთსადგური გდანსკი

ვარშავა, 7 აგვ. მთავრობამ გამოსთქვა სურვილი, რომ დაჩქარდეს ნავთსადგურის აგება გდანსკში. გდანსკის ნავთსადგური გააადვილებს ექსპორტს და ხელს შეუწყობს სიიაფეს პოლონეთში.

გაფიცვა ლოძში

ვარშავა, 6 აგვ. ლოძში გაიფიცენ ტრამვაის, გაზის ქარხნის და ვიწრო ლიანდაგიანი რონოდის მუშები. გაფიცულები იმუქრებიან—თუ კონფლიქტი სამი დღის განმავლობაში არ იქნა მოგვარებული, გაფიცვა გავრცელდება ელექტრონისა და ტელეფონის სადგურის მუშებზედაცო.

მდგომარეობა ჩინეთში

„1915 წლის ბონები"

ლონდონი, 7 აგვისტო. პეკინიდან მიღებული ცნობით, ფინანსთა სამინისტროს მოხსენება, რომელიც წარედგინა კაბინეტს, შეიცავს 20 მილ. დოლარის სახაზინო ბონების გამოშვების წინადადებას. ბონებს ასეთი სახელწოდება ექნება: „1915 წლის ბონები".

გომინდანის დროშა

პეკინი, 6 აგვისტო. კანტონის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის ძალით ხუთ-ფეროვანი დროშა გომინდანის თეთრ-ლურჯ დროშით უნდა შეიცვალოს. ხანკოუდან მიღებული ცნობით, ასეთივე ბრძანება გამოსცა ხუ-ნანისა და ტან-მენ-ჩის პროვინციების გუბერნატორმა.

ნან-კოუს ფრონტზე

პეკინი, 6 აგვისტო. **ნან-კოუს ფრონტზე გაავთრებული ბრძოლა სწარმოებს. უკვე რამოდენიმე დღეა, რაც პეკინში ისმის ზარბაზნების ხმა.** ბრძოლის შედეგები გამოურკვეველია.

ოფიციალური ცნობით, სახალხო არმიის მოწინააღმდეგეებმა დაიკავეს ლან-შუ-ტაი, რომელიც ნან-კოუდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს.

უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის ჯარების მემარცხენე ფრთა იან-ფანთან, რომელიც ნან-კოუდან სამხრეთ-დასავლეთით 10 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, შეტევას აწარმოებს სახალხო არმიის წინააღმდეგ.

ბრძოლა გრძელდება

პეკინი, 6 აგვ. სახალხო არმიის ფრონტზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. საერთო მდგომარეობა უცვლელია. ჩინეთის პრესის ცნობით ტიენ-ვეი-ჩინი, რომელიც უ-პეი-ფუს ჯარს ხელმძღვანელობდა ნანკოუსის ფრონტზე, ისევ დამარცხდა. ჯერ ჯერობით გამორკვეული არ არის ეს დამარცხება უხერხულად დაწყებული ბრძოლის შედეგია, თუ ტიენ-ვეი-ჩინის ჯარებში ახლად დაწყებული დეზერტირობის.

იტყობინებიან, რომ სახალხო არმიამ კვლავ დაიკავა დოლონორი (60 კილომეტრი პეკინიდან ჩრდილოეთით).

ამხ. კარახანის განცხადება ჩინეთის პრესის წარმომადგენლებთან

პეკინი, 6 აგვ. ამხ. კარახანმა ჩინეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს კატეგორიულად უარყო ის ხმები,—რომელსაც ჩინეთისა და იაპონიის პრესა ავრცელებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ფინ-იუი-სიანს პირდებოდეს სამხედრო დახმარებას და აგრეთვე სესხის მიცემას.

ჩინეთ საბჭოთა კავშირის კონფერენციის შესახებ კარახანმა განაცხადა, რომ კონფერენციის მუშაობა წარმატებით და მეგობრულ ატმოსფერაში მიმდინარეობსო.

კონფერენციაზე მოკლე ხანში დაიწყება სავაჭრო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება.

კარახანმა განაცხადა: საბჭოთა კავშირი არასოდეს არ ჩარეულა ჩინეთის შინაურ საქმეებში და არც შემდეგში სურს ჩაერიოს. რაც შეეხება ფინ-იუი-სიანს, მას საბჭოთა კავშირი უცქერის, როგორც კერძო პიროვნებას.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

პეკინი, 6 აგვ. რეიტერის სააგენტოს ცნობით სუნ-ჩუან-ფანმა ცირკულიარული დეპეშები დაგზავნა, რომელშიაც უარს ყოფს იმ ცნობებს, თითქოს ის მოუწოდებდა შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედება ჩინეთში. სუნ-ჩუან-ფანი აცხადებს,—პირიქით ის გმობს ბოლშევიზმს და კანტონის მთავრობას სთვლის თავის მტრად. ამავე დროს სუნ-ჩუან-ფანმა პროვინციის მართველებს დაუგზავნა ბრძანება გამოგზავნონ თავისი ჯარები ციან-სის პროვინციაში. შანხაიდან მიღებული ცნობით ციან-სის და ჩჟე-ციანის პროვინციის მართველებმა დაბეჭდეს გომინდანის შენობა და დაატუსაღეს გომინდანის პარტიის რამოდენიმე ბელადი.

შენიშვნა: ციან-სის პროვინციის ჯარები რომელიც სუნ-ჩუან-ფანს ემორჩილება, ამჟამათ იბრძვის ხუანის პროვინციის წინააღმდეგ, რადგან მან სცნო კანტონის ხელისუფლება.

ამავე დროს იუნ-ნანის პროვინციამ დაიწყო ბრძოლა გუანსის პროვინციის წინააღმდეგ, რადგან მან უფრო ადრე იცნო კანტონის ხელისუფლება.

ამნაირად, ჩინეთის სამოქალაქო ომი, რომელიც წინეთ ჩრდილოეთში სწარმოებდა, სადაც ეომებიან კანტონის სახალხო რევოლიუციონურ გავლენის სფეროში მყოფ ტერიტორიას ორის მხრიდან: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან.

ერთა ლიგის სესიის წინ

ლონდონი, 7 აგვისტო. მოსალოდნელია, რომ ერთა ლიგის სპეციალური კომისია, რომელიც დანიშნულია საბჭოს შემადგენლობის საკითხის განსახილველად, შეიკრიბება რამდენიმე დღით ადრე საბჭოს მოწვევამდე. საბჭო შეიკრიბება 2 სექტემბერს. კომისიამ წინა სხდომებზე ერთხმად მიიღო ლორდ სესილის მიერ წარდგენილი გეგმა 9 არა მუდმივ ადგილის განაწილების შესახებ, მაგრამ არ იყო წარდგენილი რეკომენდაციები მუდმივ ადგილებზე და კომისიამ გადასდო საკითხის გადაწყვეტა იმ იმედით, რომ ესპანეთის და ბრაზილიის მოთხოვნილებანი უკანვე იქნება წაღებული.

ესპანეთმა მოითხოვა ახალი სესიის მოწვევა. მიუხედავათ ამისა, **ბერლინში შიშობენ, რომ უთანხმოება მოხდება კომისიის კრებაზე, რაც ხელს შეუშლის ერთა ლიგაში გერმანიის მიღებას დაუყოვნებლივ.** აღნიშნავენ, რომ თუმცა ეს სათათბირო ორგანო გამოსთქვამს ახალ სურვილებს, ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის ადგილის დათმობის საკითხს უშუალოთ გადასჭრის საბჭოს კრება.

გერმანია და ერთა ლიგა

ბერლინი, 7 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი" სწერს: გერმანიას არაფერი აქვს სამწუხარო იმის გამო, თუ მას ჯერ კიდევ არ მიუღია ოფიციალური მოწვევა ერთა ლიგის შემოდგომის სესიაზე დასასწრებლად.

გაზეთი ფიქრობს, რომ გერმანიას მოიწვევენ მაშინ, როცა ის კენჭის ყრით მიღებული იქნება ერთა ლიგაში. ბერლინის პრესა თავდაჭერილობას იჩენს.

როგორ კეთდება

კომინტერნის დოკუმენტები

სტამბოლი, 6 აგვისტო. **საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოში გამოცხადდა ადგილობრივი ფოტოგრაფი, თეთრგვარდიელი რამოვი, რომელმაც წარადგინა ყალბი დოკუმენტის კლიშე „პროფინტერნის სამდივნოს მოწოდება ინგლისის გაფიცვის გამო".**

ეს დოკუმენტი მას დაუკვეთა თეთრგვარდიელმა ლინჩევიჩმა, რომელსაც უცხოელებთან აქვს კავშირი. საკონსულომ რამოვი ოსმალეთის ხელისუფლებას გადასცა.

ინგლისის ახალშენები

თანასწორ უფლებებს მოითხოვენ

ლონდონი, 7 აგვისტო. სამხრეთ-აფრიკის მადნების მინისტრმა ბეიფსმა (კაპის კოლონია) სიტყვა წარმოსთქვა კონსტიტუციონური საკითხების შესახებ, რომელშიაც აღნიშნა, რომ ყოფილი **დომინიონი, რომელიც ბრიტანეთის სახელმწიფოში შედის, ისეთივე უფლებით უნდა სარგებლობდეს, როგორც ინგლისი,** რომელთანაც სხვადასხვაგვარი ერთეულები მხოლოდ ზოგიერთი მიზეზების გამო არიან სამუდამოდ შეკავშირებული.

მუშების დათხოვნა მადრასში

ლონდონი, 6 აგვ. ამ დღეებში მადრასის (ინდოეთში) საქსოვ ქარხნების ადმინისტრაციამ დაითხოვა 160 მუშა-ქალი, რადგან ისინი პროფკავშირის წევრებათ ითვლებოდენ. ბევრი მათგანი ფაბრიკებში მუშაობს 15-20 წელიწადია. როცა დათხოვნილმა ქალებმა ადმინისტრაციის მიმართეს მიზეზის გამოსარკვევათ—მიიღეს შემდეგი პასუხი: „მიმართეთ თქვენი კავშირის თავმჯდომარეს ის მოგცემს თქვენ საარსებო საშუალებას".

გაფიცვის მეასე დღე

ლონდონი, 6 აგვ. 8 აგვისტოს გაფიცვის მეასე დღის თავზე ოფიციალური ორგანო აღნიშნავს,—რომ, გარდა არაკვალიფიციური მუშების უმნიშვნელო რიცხვისა, სამთა მადნო მუშებს არსად ჯერ მუშაობა არ დაუწყვია.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანია და საფრანგეთი

სავაჭრო ხელშეკრულება

ბერლინი, 7 აგვ. გერმანია-საფრანგეთის დროებითი სავაჭრო ხელშეკრულებაში პირველათ ომის შემდეგ გათვალისწინებულია გერმანიის გენერალურ კონსულების და კონსულების დანიშვნა მარსელში, ალჟირში და გავრში.

მექსიკაში

ლონდონი, 7 აგვ. ამერიკის პროტესტანტული საეპისკოპო ეკლესია სანხოსში, რომელიც კონფისკაციით იყო ჩამორთმეული მთავრობის მიერ, დაუბრუნდა მექსიკის რექტორს. საყდარში მსახურება განახლდა.

ბერლინი, 7 აგვ. ვატიკანის ორგანო „ოსსერკატორს რომანო", ეხება რა პრეზიდენტ კაიესის განცხადებას იმის შესახებ, რომ მექსიკაში ტარდება 1917 წელს გამოცემული კანონი, აღნიშნავს, რომ ეხლანდელი კონფლიქტი წარმოადგენს არა ეკლესიის ჩამოშორებას სახელმწიფოსაგან, არამედ ეკლესიის უფლებების დარღვევას სამოქალაქო კანონებით.

იაპონიაში

ფეიქართა გაფიცვა

ტოკიო, 6 აგვისტო. „ნიცი-ნიცი"-ს ცნობით, კამინდოში ქაღალდის ფაბრიკაში 3.300 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვა გამოწვეულია ადმინისტრაციის მხრივ მუშების მოთხოვნილებაზე უარის თქმით. მუშები მოითხოვენ საქმლის გაუმჯობესებას.

გლეხების მღელვარება ნაგანოში

ტოკიო, 6 აგვისტო. პრეფექტურის გუბერნატორი ნაგანოში გადადგა, რადგანაც თავის-თავი პასუხისმგებლად ჩასთვალა გლეხების მღელვარების გამოწვევაში, რომელიც ივნისში მოხდა აშ გუბერნიაში.

გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ მღელვარების დროს დაპატიმრებულია 823 კაცი.

მექრთამე სარდალი

თეირანი, 6 აგვ. შაჰის ბრძანებით სამხედრო საველე სასამართლოს გადასცეს აღმოსავლეთის დივიზიის უფროსი ჯან-მამედ-ხანი და მისი სამი ახლობელი ოფიცერი, რომელთაც ბრალი ედებათ ქრთამის აღებასა, ძალმომრეობას და სხვა ბოროტმოქმედებაში.

აფიცრის დაპატიმრებას მეშედის მცხოვრებნი კმაყოფილებით შეხვდენ.

სრული დამარცხება

ბერლინი, 6 აგვ. **ორი კვირის აკრძალვის შემდეგ, 6 აგვისტოს გამოსული, გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე", აღნიშნავს, რომ პროლეტარულ პრესის შეზღუდვის ცდა სრული დამარცხებით დამთავრდა.**

„როტე ფანე" ბერლინის მუშების მასიურ მონაწილეობას ომის საწინააღმდეგო მიტინგებში სთვლის ბერლინის პროლეტარიატს რევოლიუციონურ სულის კვეთების დამამტკიცებლად.

სხვადასხვა

— **ლამანშეს გაცურვა.** 19 წლის ამერიკელმა ქალმა გერტრუდა ედერლემ გადასცურა ლამანშეს სრუტე.

მუშათა პარტია განიარაღების საკითხის შესახებ. ინგლისის მუშათა პარ. 2 ინტერნაციონალს გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რათა ინგლისმა იკისროს ინიციატივა საერთაშორისო განიარაღების საკითხში.

გალაცის ციხეში. ჯანმრთელობის დაცვის საბჭოს სხდომაზე იასში (რუმინია) ქალაქის ერთმა ექიმმა მოხსენება წარმოადგინა გალაცის ციხის საშინელი მდგომარეობის შესახებ. ციხეში არ მოიძებნება ავადმყოფთათვის განცალკევებული კამერები, არ არის ვანები. ტუსაღებს აწუხებს უსუფთაობა და სხვადასხვა მწერები.

ერთა ლიგის „იდეალური მიზნები" სკოლებში. შვეიცარიის ექსპერტთა კომისიამ, რომელსაც მიზნად აქვს ახალგაზრდობაში განათლების შეტანა, სურვილი გამოსთქვა, რომ ყველა უნივერსიტეტებსა და სკოლებში სწარმოებდეს შესწავლა ერთა ლიგის იდეალური მიზნებისა.

გაიდერბადის მმართველის საქმე. ინგლისის პრესა თავშეკავებულ პოზიციას დაადგა გაიდერბადის მმართველის მიმართ, რომელმაც უარი განაცხადა ინგლისის ულტიმატუმის მიღებაზე. „დეილი ტელეგრაფი" ამბობს, რომ ეს იყო არა ულტიმატუმი, არამედ ინგლისის მთავრობის მეგობრული რჩევა და რომ ინდოეთის მეფის მოადგილე დაუყონებლივ შეუდგება საკითხის განხილვას. „ტაიმსი" უარყოფს ხმებს, თითქოს ნიზამი ფინანსიურ დახმარებას უწევდა პროპაგანდას ინდოეთში მაჰმადის სჯულის სასარგებლოთ.

კომპარტიის პროკლამაცია. ესტონეთში გავრცელებულ იქნა ესტონეთის კომპარტიის მოწოდებები, შემდეგი სათაურით: „პარლამენტის არჩევნები და მშრომელი ხალხი". მოწოდებაში მოცემულია სახელმწიფო კრების არჩევნების შედეგების შეფასება.

ასეთივე ფურცლები გადაყარეს ნარვაში, რკინის გზის რაიონში და კრეგოლმის ფაბრიკაში.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

გერმანია

უმუშევრობა ივნისში

31 პროფკავშირის ანგარიშის თანახმად უმუშევრობა გერმანიაში არ შემცირებულა მაისთან შედარებით. პროფკავშირების გამოკვლევა შეეხო 3.160.224 წევრს. მათ შორის 577.748 კაცი, ე. ი. 18% უმუშევარია; 520.907 კაცი, ე. ი. 16½ % რამოდენიმე დღეს მუშაობს კვირაში. უკანასკნელთა რიცხვი მხოლოდ 9/10%-ით შემცირდა.

უმუშევართა რიცხვი არ დარჩენილა ერთნაირ დონეზე ყველა გამოკვლეულ პროფკავშირებში.

13 პროფკავშირში უმუშევართა რიცხვმა იმატა, დანარჩენებში შემცირდა, განსაკუთრებით გაუარესდა მდგომარეობა მკერავთა პროფკავშირში, რომელშიც უმუშევართა რიცხვი 23,2%-დან 30,1%-დი გაიზარდა. გაუარესდა მდგომარეობა აგრეთვე მელითონეთა კავშირშიც. ცოტათი გამოკეთდა მდგომარეობა ხის დამმუშავებელთა კავშირში.

ნაწილობრივი ცნობები, რომლებიც შეეხებიან ივლისს, ამტკიცებენ, რომ უმუშევართა რიცხვი ისევ გაიზარდა. ასე მაგალითად, ივლისის სამი კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 3,800 კაცით გაიზარდა და ახლა 278.000 უდრის.

იაპონია

სამთამადნო მუშების ხელფასი

ქ. ოსაკის სამთო ინსპექციის ცნობით, იაპონიის მთავარ მაღაროში მიწის ქვეშ მომუშავე სამთამადნო მუშების ხელფასი 1925 წ. უდრიდა 1 4/5 იენას დღეში (იენა მანეთს არ შეადგენს) და 1½ იენას მიწის ზევით მომუშავეთათვის.

1924 წელთან შედარებით მიწის ქვეშ მომუშავეთა ხელფასი გაიზარდა 0,12 იენით, მიწის ზევით მომუშავეთა კი—0,15 იენით.

მუშა-ქალები, რომლებსაც მადანი ამოაქვთ მაღაროებიდან, დღეში საშუალოდ იღებენ 1.02 იენს, დანარჩენი მუშა-ქალები კი—0,96 იენს.

პროლეტარიატის რაოდენობა

ოფიციალური სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენ, რომ 1925 წ. მეორე ნახევარში იაპონიის პროლეტარიატი იმავე წლის პირველ ნახევართან შედარებით 120.000 კაცით გაიზარდა, 1924 წლის მეორე ნახევართან შედარებით კი—220.000 კაცით.

1925 წ. დამლევს მუშების რიცხვი შეადგენდა 4.467.922, 1925 წ. 30 ივნისს—4.348.712, 1924 წ. 31 დეკემბერს—4.245.619.

ამათგან სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდა:

	1925 წ. 30 ივნისს.	1925 წ. 31 დეკემბერს
მამაკაცი	107.639	118.593
ქალი	41.659	40.876
იმ კერძო ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც შემოღებულია საქარხნო-საფაბრიკო კანონმდებლობა:		
მამაკაცი	641.889	671.608
ქალი	821.366	824.826
კერძო ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც საფაბრიკო კანონები არ არის შემოღებული:		
მამაკაცი	266.950	297.398
ქალი	127.307	141.791
სამთამადნო მუშები:		
მამაკაცები	235.345	230.364
ქალები	75.436	71.930
	310.781	302.294
სხვა დარგის მუშები:		
მამაკაცები	1640.586	1690.153
ქალები	390.533	380.383
	2031.119	2070.536
სულ კი	4348.712	4467.922

პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი საქარხნო-საფაბრიკო კანონი, რომლითაც 150000 მუშა მიემატა იმათ რიცხვს, რომლებიც საფაბრიკო კანონის მფარველობის ქვეშ მუშაობენ.

აღმოსავლეთში

კონტრრევოლიუციონურ მოძრაობის ლიკვიდაცია ოსმალეთში

17 ივნისს, სმირნაში დააპატიმრეს ყოფ. დეპუტატი ლაზისტანიდან—ზია ხურშიდი, რეციდივისტი-ქურდი—ისმაილი, რომელიც ერთხელ უკვე იყო მიცემული პასუხისგებაში მკვლელობისათვის, ვინმე იუსუფი და ყოფ. ლეიტენანტი ჩოფურ ხილმი. იმ დროს სმირნაში მყოფ მუსტაფა-ქემალ-ფაშასთან მიყვანილმა ხურშიდმა აღიარა, რომ იგი იყო წევრი ორგანიზაციის, რომელიც მიზნათ ისახავდა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოკვლას და სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას.

ბრალდებულთა ჩვენების მიხედვით დააპატიმრეს მთელი რიგი პირები. ამ საქმის გამო პასუხისგებაში იქნენ მიცემული 1925 წ. დაშლილი ოპოზიციონერი, ე. წ. პროგრესიული პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები გენერალ ქიაზიმ კარა-ბექირის, ალი ფუადის, რეფეტისა და სხვ. მეთაურობით.

დასაპატიმრებელ პირთა ნაწილი ვერ აღმოაჩინეს. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა აბდულ-ყადირი, ლონდონში მყოფი პროგრესისტები ადნან-ბეი და რეუფ-ბეი, და აგრეთვე ყარა-ქემალი, „ერთობა და პროგრესის" პარტიის თვალსაჩინო წევრი, მეთაური ჯგუფის, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა ოსმალეთში იმპერიალისტური ომის უკანასკნელ წლებში.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ბელადებმა ე. წ. პროგრესიული პარტიის, რომელშიც თავს იყრიდენ რეაქციის სხვადასხვა ელემენტები, იცოდენ შეთქმულების არსებობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში მის პირველ პერიოდში, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად „ერთობისა და პროგრესის" პარტიის ყოფ. წევრი, შუქრი ამ შეთქმულების ორგანიზატორიც კი იყო. მიუხედავათ ამისა ბრალდების სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა არა პროგრესისტების პარტიაზე, არამედ „ერთობისა და პროგრესის" პარტიის იმ ჯგუფებზე, რომლებიც, როგორც ეს გამოძიების დროს გამოირკვა, შეთქმულების ნამდვილი სულისჩამდგმელები იყვნენ.

ეს პარტია, რომელიც დაარსდა აბდულ-გამიდის მეფობის შავ ხანაში, პირველ ხანებში თავის რიგებში აერთიანებდა დაღუპვის კარამდე მისული ოსმალეთის იმპერიის ყველა ცოცხალ ძალებს. მის რიგებში თავს იყრიდენ ოსმალეთის ინტელიგენციის და სამხედრო წრეების საუკეთესო წარმომადგენლები და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ბურჟუაზიის ნაწილი. აბდულ-გამიდის დამხობის შემდეგ ეს პარტია თითქმის მსოფლიო ომის დამთავრებამდე სათავეში ედგა სახელმწიფოს.

შინაგან მთლიანობას მოკლებული,—ეს პარტია ერთსა და იმავე დროს სცდილობდა ყოფილიყო ოსმალეთის დემოკრატიის და უცხოეთის კაპიტალთან დაკავშირებული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი, ამავე დროს, პარტიის ზედაფენა თანდათანობით იქცეოდა დიქტატორების ჯგუფათ, რომელიც უპასუხისმგებლოდ განაგებდა ქვეყანას.

ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მომარაგების მინისტრი ომის პერიოდში, ყარა-ქემალი, ამჟამად რეაქციის სულისჩამდგმელი აღმოჩნდა. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ იგი და მისი უშუალო თანაშემწეები, მაგ. შუქრი, ხელს უწყობდენ ოპოზიციონერი ელემენტების პოლიტიკურად ჩამოყალიბებას. ისინი იყვნენ პროგრესიული პარტიის პროგრამის უშუალო შემდგენელნი და შეთქმულების ორგანიზატორები.

პროცესი გადაიქცა გრანდიოზულ საბრალმდებლო აქტათ „ერთობისა და პროგრესის" ყოფილი წევრების მოღვაწეობის წინააღმდეგ. მაგრამ საბრალმდებლო აქტის სწორედ ასეთი თავისებურობის წყალობით პროგრესიული პარტია, რომელსაც პროცესზე „ერთობისა და პროგრესის" პირმშო შვილი უწოდეს, საბოლოოდ სახელგატეხილი აღმოჩნდა საზოგადოებრივ აზრის თვალში. ამავე დროს ყოველგვარი პოპულიარობა დაჰკარგა გენერლების ჯგუფმა, რომლებიც მანამდი პატივისცემით სარგებლობდენ საზოგადოების ფართე წრეებში.

დამოუკიდებლობის ტრიბუნალის განაჩენი ნაკარნახევი იყო მომენტის სერიოზულობით და გათვალისწინებული კონტრრევოლიუციის სასტიკად დამარცხების აუცილებლობით, 15 კაცს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა: დეპუტატები შუქრი, აბიდინი, რომელიც ფინანსიურ დახმარებას უწევდა შეთქმულებს, რუშდი-ფაშა, რომელმაც თავიდანვე იცოდა შეთქმულების შესახებ, ხალისტორგუდი, არიფი, ჯამბოლატი, პროგრესიული პარტიის ერთი ინიციატორთაგანი, აგრეთვე ზია-ხურშიდი, ედიბი, ისმაილი, რასიმი, ხაფზ მეხმედი და ხიდიმი ჩამოაღრჩვეს სმირნაში. კარა-ქემალი და აბდულ-ყადირს, თუმცა ისინი აღმოჩენილი ვერ იქნენ, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს (კარა-ქემალი ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინა პოლიციამ და მან თავი მოიკლა). დანარჩენები, მათ რიცხვში პროგრესისტი დეპუტატი და გენერლები, გამართლებული იქნენ.

ასე გათავდა სმირნის პროცესი; ამ პროცესის ნიშან ქვეშ ამ დღეებში დაიწყება მეორე პროცესი, რომელზეც შეფასებული იქნება „ერთობისა და პროგრესის" პარტიის მოღვაწეობა მთელი მისი არსებობის განმავლობაში. პასუხისგებაში არიან მიცემული ამ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები—ფინანსთა ყოფ. მინისტრი ჯავიდი, ექიმი ნაზიმი და სხვ. საზღვარ-გარეთ გადახვეწილ რეუფს, ადნანისა და რახმის მიმართ განაჩენი მათ დაუსწრებლათ იქნება გამოტანილი.

ესპერანტისტთა კონგრესი

ლენინგრადი, 7 აგვ. 6 აგვისტოს ურიცკის სახელობის სასახლეში გაიხსნა ნაციონალურ ასოციაციის მუშა-ესპერანტისტების მე-6 საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს ესწრება 400 დელეგატზე მეტი; მათ რიცხვში 150 კაცი არის ისპანიიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ურიცკის სახელობის სასახლეში მორთულია წარწერებით ესპერანტოს ენაზე.

საბჭოთა რესპუბლიკების ესპერანტისტთა კავშირის სახელით კონგრესს მიესალმა ამხ. **დრენენი.**

მან სთქვა: ესპერანტო დიდ მნიშვნელოვანი საშუალებაა მთელი ქვეყნის მუშათა მასებში სოლიდარობის განსავითარებლად. საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება ესპერანტისტთა საბჭოს მიმართ ამტკიცებს იმას რომ საბჭოთა ქვეყნების მთავრობა ესპერანტოს სთვლის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებაში უტყუარ საშუალებათ.

დიდი ოვაციებით შეხვდენ ცნობას, რომ კონგრესს თავმჯდომარეობას გაუწევს ამხ. ლუნაჩარსკი.

კონგრესმა მიიღო მისალმება: გოლანდიის კომპარტიისაგან, ესტონეთის კომუნისტ ტუსაღებისაგან, ბულგარეთის ესპრანტისტთა ჯგუფისაგან. პორტუგალიის მუშათა ორგანიზაციებიდან, ისლანდიიდან, ინგლისიდან, სამხრეთ აფრიკიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ამხ. ლუნაჩარსკი კონგრესს გაუგზავნა წერილობითი მისალმება, რომელშიაც ამბობს, რომ ესპერანტისტთა მოძრაობა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთ სერიოზულ მოვლენათ ხდებაო.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიამ ესალმება რა კონგრესს, გამოსთქვამს იმედს, რომ ესპერანტისტთა მოძრაობა გახდება მძლავრ იარაღად საერთაშორისო მუშათა კლასის კავშირის დასამყარებლად სოლიდარობის განსამტკიცებლად პროგრესისაკენ მისწრაფებაში.

ინგლისის სამთა მადნო მუშების ფედერაციის მდივანმა **კუკმა** ინგლისის წარმომადგენლების საშუალებით კონგრეს გამოუგზავნა წერილი.

უცხოეთში

პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობა

ივლისის დასაწყისში პოლონეთის ვალიუტის კურსი მოულოდნელათ განმტკიცდა. მრავალტანჯული ზლოტი, რომელიც გაუწყვეტლივ ეცემოდა მთელ რიგ თვეების განმავლობაში, მოულოდნელად აიწია კურსში. განსხვავება მის ოფიციალურ ღირსებასა და შავ ბირჟაზე არსებულ ფასს შორის გაქრა. უფრო მეტი. შეიქნა განსაცვიფრებელი მდგომარეობა. ზლოტის კურსის სწრაფმა ზრდამ შიში გამოიწვია პოლონეთის მრეწველებში, რადგან ვალიუტის განმტკიცებამ ექსპორტი შეაფერხა. მრეწველების კარნახით, პოლონეთის სახელმწიფო ბანკი შეეცადა ზლოტის კურსის ზრდა შეეჩერებია 10 ზლოტიზე 1 დოლლარში, მაგრამ ამაოთ.

მთავრობის პრესა ვალიუტის კურსის განმტკიცებას მიაწერს ახალ მთავრობას. იგი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს სათავეში პილსუდსკი-ბარტელის „ძლიერი" მთავრობის ადგომამ გააძლიერა მოსახლეობის ფართე ფენებში და საზღვარ-გარეთ ნდობა პოლონეთის სამეურნეო შესაძლებლობისადმი.

მართალია კი ეს?

ვალიუტის კურსის განმტკიცება პოლონეთის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების შედეგია: საქონლის შემოტანის მნიშვნელოვანათ შეზღუდვის წყალობით (1925 წ. შემოდგომიდან) პოლონეთის სავაჭრო ბალანსი პასიურიდან აქტიურათ იქცა. ცხრა თვის განმავლობაში (1925 წ. 1-ლ სექტემბრიდან 1926 წ. 31 მაისამდე), პოლონეთის სავაჭრო ბალანსი აქტიური იყო 72 მილიონი დოლარით (ე. ი. პოლონეთიდან საქონლის გატანა სჭარბობდა საქონლის შემოტანას 72 მილიონი დოლარით).

ცალკე თვეების მ[illegible]თ ექსპორტის ჭარბობა იმპორტზე შ[illegible]რათს იძლევა:

თვეები	მ. დოლარებში
სექტემბერი 1925 წ.	6,1
ოქტომბერი „	8,5
ნოემბერი „	10,8
დეკემბერი „	11,4
იანვარი 1926 წ.	11,2
თებერვალი „	8,3
მარტი „	2,9
აპრილი „	4,9
მაისი „	7,1

სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებამ, ეჭვს გარეშეა, ხელი შეუწყო ზლოტის კურსის განმტკიცებას. შემდეგ ხელისშემწყობ პირობას, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ მიმართულებით, წარმოადგენს ინგლისის სამთამადნო მუშების გაფიცვა, რომელმაც მსოფლიო ნახშირის ბაზარზე პოლონეთისათვის არაჩვეულებრივათ ხელსაყრელი პირობები შექმნა.

„ინგლისის გაფიცვას,—სწერდა პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალის გავლენიანი ორგანო „ეკონომიური მიმოხილვა".—არ შეეძლო სერიოზული გავლენა არ მოეხდინა პოლონეთიდან ნახშირის გატანაზე. პოლონეთის სამთო მრეწველობამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

უკვე მაისში ნახშირის გატანა 685 ათას ტონამდი გაიზარდა (ნაცვლად 562.000 ტ. აპრილში). მაგრამ მაისში შექმნილი ხელსაყრელი პირობები პოლონეთმა მთლიანად ვერ გამოიყენა სატრანსპორტო დაბრკოლებების გამო. ივნისში სატრანსპორტო დაბრკოლებები ნაწილობრივ გადალახული იქნა და ნახშირის გატანა ერთბაშად 685.000 ტონიდან 1.400.000 ტონამდი გაიზარდა. ამის შედეგი ის იყო, რომ პოლონეთში დიდის რაოდენობით შემოვიდა უცხოეთის ვალიუტა. ივლისში ნახშირის გატანა განაგრძობდა ზრდას. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ზლოტი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ სულს ღაფავდა, გამობრუნდა.

მაგრამ სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებიდან არ შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ გაუმჯობესდა ქვეყნის საერთო სამეურნეო მდგომარეობა. სამეურნეო კრიზისი, რომელსაც ქვეყანა განიცდიდა, ოდნავათაც არ შესუსტებულა. წარმოება კვლავინდებურად მეტად დაბალ დონეზე რჩება. მართალია, ცნობები მრეწველობის ცალკე დარგების მდგომარეობის შესახებ არ მოიპოვება, მაგრამ უმუშევართა ციფრები მჭერმეტყველურად ამტკიცებენ, რომ კრიზისი გრძელდება.

სახელმწიფო შრომის ბირჟაზე აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი შეადგენდა:

1-ლ იანვარს—314.000, 1-ლ თებერვალს—360.000, 1-ლ მარტს—358.000, 1-ლ აპრილს—345.000. 1-ლ მაისს—320.000, 1-ლ ივნისს—301, 12 ივნისს—298.

ამრიგად, მიუხედავათ იმისა, რომ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მუშაობის სეზონი და გაფართოებულია საზოგადოებრივი სამუშაოები, უმუშევართა რიცხვი მხოლოდ ოდნავ შემცირდა. ამავე დროს, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისეთ სამრეწველო ცენტრებში, როგორიც არის ზემო-სილეზია, ვარშავა, ბელოსტოკი და დომბროვის რაიონი, უმუშევართა რიცხვი ან სრულიად არ შემცირებულა, ან თუ შემცირდა, ძლიერ უმნიშვნელოდ.

სამეურნეო მდგომარეობის ოპტიმისტურად შეფასების საშუალებას არ იძლევიან არც ცნობები საგარეო ვაჭრობის შესახებ. სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება მიღებული იქნა არა ექსპორტის გადიდების, არამედ იმპორტის შემცირების საშუალებით. ექსპორტი არა თუ გაიზარდა უკანასკნელი თვეების განმავლობაში, არამედ შემცირდა კიდეც.

ასე მაგალითად პოლონეთიდან გატანილი იქნა უცხოეთში: იანვარში—21 მილიონი დოლარის საქონელი, აპრილში—18,1 მილიონის, მაისში—17,2 მილიონის. კიდევ უფრო საგულისხმოა ცნობები იმპორტის შესახებ. ბამბა შემოიტანეს მაისში 3.714 ტონა (1925 წ. საშუალოდ შემოჰქონდათ 4.565 ტონა), კოქსი—3.981 ტონა (1925 წ.—9.022 ტონა თვიურად), რკინის მადანი—18.027 ტ. (1925 წ.—24.483 ტონა თვიურად). თავისთავად ცხადია, რომ სამრეწველო ნედლეულის შემოტანის ასე შემცირებას მოჰყვება მრეწველობის პროდუქციის შემცირება, რაც გამოიწვევს ეკონომიური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავებას და უმუშევრობის ზრდას.

უკანასკნელი ცნობები

ლენინის ხაზით

ბერლინი, 6 აგვ. **კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციებს ქვემო და შუა რეინის საოლქო კომიტეტებმა ერთსულოვნათ მოიწონეს და მიიღეს საკავშირო კომუნ. პარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის დადგენილებანი. ასეთივე რეზოლიუცია ყველა ხმის უმრავლესობით და ერთის თავშეკავებით მიიღო ქვემო რეინის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირმა.**

გერმანია და ინტერნაციონალური უზენაესი სასამართლო

ბერლინი, 7 აგვისტო. გერმანიის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ სიმონმა ინტერნაციონალური საზოგადოების კონგრესზე განაცხადა ვენის კანონების შესახებ, რომ გერმანიის მთავრობას ინტერნაციონალური უზენაეს სასამართლოს დაარსების წინააღმდეგ არაფერი აქვს, თუ სასამართლო იქნება ნამდვილად ინტერნაციონალური.

გერმანია ომის შემდეგ კეთილ სურვილებით მოეპყრა შერეულ კომისიის დანიშვნას. ომის მიზეზების გასარჩევად სიმონმა დაუმატა,—რომელიმე ქვეყნისათვის სასჯელის დაწესების დაბრკოლება საერთაშორისო კანონთა კოდექსის უქონლობა იქნებოდაო.

პარტიის მთლიანობისათვის

პრაგა, 6 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მდივანმა ილეკმა „ტასის" კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: მთელი პარტია და მისი ხელმძღვანელი ცენტრი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საკავშირო კომუნ. პარტიის უმრავლესობის მიერ მიღებული ზომები ოპოზიციის წინააღმდეგ გამომდინარეობს პარტიის მთლიანობის დაცვის სურვილისაგან.

საკავშირო კომ. პარტიისადმი მუქარა—მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული მუქარა იქნება.

ინგლისის მთავრობა და სამღვდელოების წინადადება

ლონდონი, 6 აგვისტო. შეერთებულ შტატებში გასავრცელებლად დაწერილ წერილში ბალდუინი აცხადებს: „ინგლისის მთავრობა ვერ დათანხმდება სამღვდელოების მიერ წამოყენებულ წინადადებაზე—განაგრძონ სუბსიდიის მიცემა სანახშირო მრეწველობისადმი 4 თვის განმავლობაში. მთავრობამ ყოველგვარი ზომები იხმარა, რომ შეემსუბუქებია მოლაპარაკება. ის მზად არის განაახლოს შუამდგომლობა, თუ ის რაიმე ნაყოფს მოიტანს.

რადიო სპარსეთში

თეირანი, 6 აგვისტო. სპარსეთის სამხედრო მინისტრმა ხელი მოაწერა ლენინგრადის ელექტროტრესტთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ეხება 10 სპეც თანამშრომლის მოწვევას ტრესტის მიერ აშენებულ ელექტრონის სადგურისათვის.

გლეხკორის მოკვლა

ჩიტა, 7 აგვისტო. რაიონის სოფ. ფარკოვში კულაკმა პერფილიევმა მოჰკლა გლეხკორი—ჩადრინი, რომელმაც პერფილიევი ამხილა კედლის გაზეთის საშუალებით.

ანგორიდან დაბრუნება

მოსკოვი, 7 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდენ მოსკოვ-ანგორის გადაფრენაში მონაწილენი მეჟერაუპი და გოლოვანოვი, რომლებსაც შეხვდენ სადგურზე ავიაქიმიისა და პრესის წარმომადგენლნი. ამხ. კოლცოვი, რომელიც მათთან ერთად გაფრინდა, ერთი დღით ადრე ჩამოვიდა მოსკოვში.

ხიქსის არჩევა

ლონდონი, 7 აგვისტო. მშენებელთა მუშების გაერთიანებულმა კავშირმა გენერალურ მდივნათ სამი წლით ისევ ხიქსი აირჩია (ტრედ-უნიონთა გენერალური საბჭოს წევრი), რომელმაც მიიღო 6,000 ხმა, ე. ი. იმდენი, რაც ყველა კანდიდატებმა ერთად.

იბნ-საუდის წინააღმდეგ შეთქმულება

ლონდონი, 6 აგვისტო. არაბეთში აღმოაჩინეს იბნ-საუდის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება.

შეთქმულები ყველა დასაჯეს. ხმებია, თითქოს, ისინი იბნ-საუდის ახლო ნათესავები იყვნენო.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის წევრების დაბრუნება

მოსკოვი, 7 აგვისტო. პარიზიდან მოსკოვში ჩამოვიდენ მოსკ. პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს დელეგაციის წევრები, ამხ. ანდრეევი, ბოგატოვი, ლემპსე და ბოროვსკი, რომლებიც დაესწრენ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომას.

უნგრეთის სოც. მუშათა პარტიის წევრების განთავისუფლება

ვენა, 6 აგვისტო. ორი დღის წინათ მიტინგზე დატყვევებული სოც. მუშათა პარტიის წევრები გაანთავისუფლეს.

ამხ. რაკოვსკი ბრიანთან

პარიზი, 6 აგვისტო. 6 აგვისტოს ბრიანმა მიიღო რაკოვსკი.

ეკონომ-კრიზისი საფრანგეთში

სიძვირე პარიზში

პარიზი, 6 აგვისტო. პარიზის რაიონის სინდიკატთა კავშირი იტყობინება, რომ 10 ივლისიდან 8 აგვისტომდე საქონლის ფასებმა აიწია 20 პროც. 8 აგვისტოდან შემოღებულია ახალი გადასახადები და ამის გამო ფასების აწევა საქონელზე თანდათან მატულობს.

„მორნინგ პოსტი". და საბჭოთა კავშირი

ლონდონი, 6 აგვისტო. „მორნინგ პოსტი" განაგრძობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კამპანიას; აფრთხილებს ინგლისს საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის საკმაო შეუფასებლობაში. გაზეთის სიტყვით, საბჭოთა საჰაერო ფლოტის ძალა უდრის ინგლისის საჰაერო ფლოტსო.

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება

პარიზი, 7 აგვისტო. პრესა იწონებს საფრანგეთ გერმანიის ეკონომიურ შეთანხმებას, როგორც მნიშვნელოვან აქტს ორი ქვეყნის ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში.

კაბინეტის გამოცვლას არ შეუცვლია მოლაპარაკების დროს აღებული ხაზი, რაც კეთილი მომავლის მაჩვენებელიაო.

თვით დაბეგვრა ინგლისის მუშების სასარგებლოდ

პრაგა, 6 აგვისტო. ჩეხიის რევოლიუციონურმა პროფესიონალურმა კავშირმა დაადგინა: დაბეგროს თავისი წევრები სპეციალური გადასახადით ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ.

პილსუდსკი დღესასწაულობს

პოლონეთის უმაღლესი სარდლობა

ვარშავა, 6 აგვისტო. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გაარჩიეს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სადეკრეტო პროექტი ჯარის უმაღლესი სარდლობის შექმნის შესახებ. პროექტი ითვალისწინებს პოლშის ჯარის გენერალური ინსპექტორის სამმართველოს დაარსებას. გენერალურ ინსპექტორის თანამდებობაზე წამოყენებულია პილსუდსკი.

პილსუდსკის წინადადებით მინისტრთა საბჭომ დაადგინა სამსახურში მყოფ აფიცრებს ჯამაგირს გარდა აძლიოს სპეციალური დამატებითი ჯილდო.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მასწავლებლები წითელ არმიაში

მოსკოვი, 6 აგვ. წითელ-არმიაში 1 სექტემბრიდან მასწავლებელთა კადრის შემცირების გამო განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა საგუბერნიო განათლების განყოფილებებს და პოლიტ-განათლების სამმართველოებს რომ ეს მასწავლებლები პირველ რიგში მიიღონ სოციალურ აღზრდის და პოლიტიკურ უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში.

განაჩენი ფინინსპექტორის მინინის საქმეზე

ნალჩიკი, 7 აგვისტო. საოლქო სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა ფინანსიურ ინსპექტორს მინინს, რომელსაც ბრალდებოდა ქრთამის აღება და სახელმწიფო ფულების მითვისება.

ილის ნავთის წარმოებანი

კრასნოდარი, 7 აგვისტო. ილის ნავთის წარმოებანი, მუშების გაფიცვასთან დაკავშირებით, ჩამოერთვა კერძო მოიჯარადრეებს და იჯარით მიეცა მუშების კოლექტივს, რომელიც წარმოების ექსპლოატაციას შეუდგა სრულიად უსასყიდლოთ.

ერთი თვის განმავლობაში იმდენი მაზუთი იქნა ამოღებული, რომ შესაძლო გახდა არა მარტო უკანასკნელ თვის სამუშაო ქირის გადახდა, არამედ იმ დროისაც, როცა მუშები გაფიცული იყვენ.

მოსკოვი 7 აგვისტო. 1 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდნენ პოლტორაცკ-მოსკოვის შორის ველოსიპედით გადარბენის მონაწილენი: ვიშენსკი და პოროლოვი.

4.500 ვერსის მანძილი მათ გაიარეს სრულიად დაუზიანებლათ. ყოფ. დურსის საბჭოთა ქარხნის წარმოების ველოსიპედზე.

მოსკოვში ისინი გაემგზავრენ მარშრუტით: პოლტორაცკი - სამარგანდი-ტაშკენტი-ორენბურგი-სამარა. ყოველდღიურათ გადიოდენ საშუალოთ 80-დან 120-მდე ვერსს დღე-ღამეში.

ასე ხანგრძლივ გაფრენას მონაწილეთა ჯანმრთელობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

სრ. საკავშირო საბჭოთა მორიგი ყრილობა

საბჭოთა კავშირის ც. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საბჭოების მეოთხე ყრილობის მოწვევის და საბჭოების გადარჩევის ვადის შესახებ

მოსკოვი, 7 აგვისტო. **1925 წლის საარჩევნო კამპანია საკავშირო რესპუბლიკებში დათავდა მიმდინარე წლის მაისის თვეში. ამის გამო 1926 წლის საბჭოების არჩევნების კამპანიის დაწყება იმ ვადებში, რომელიც ნაჩვენებია 1925 წლის 2 ოქტომბრის საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებაში, ფაქტიურად შეუძლებელია.**

ამიტომ საბჭოთა კონსტიტუციის მე-12 მუხლის ძალით საბჭოთა კავშირის ცაკი ადგენს:

1. საბჭოთა კავშირის საბჭოების მორიგი მე-4 ყრილობა გადაიდოს 1927 წლის გაზაფხულამდე.

2. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამორიცხონ 1925 წლის 2 ოქტომბრის საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებიდან მუხლი საბჭოების გადარჩევის და ყრილობის მოწვევის ვადის შესახებ და დააწესონ ვადა საბჭოების გადარჩევისა ამ დადგენილების 1 მუხლთან შეფარდებით.

ხელს აწერს საბჭოთა კავშირის ც. აღ. კომიტ. თავმჯდომარე ამხ. **კალინინი.**

და ც. აღმ. კომიტ. მდივანი **ენუქიძე.**

უცხოეთის მუშათა დელეგაციები საბჭოთა კავშირში

გერმანელთა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 7 აგვისტო. მოსკოვის სავაჭრო და საბჭოთა მოსამსახურეების სტადიონზე გაიმართა ფიზკულტურის დღესასწაული გერმანელ დელეგატების პატივსაცემად. გერმანელმა დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცალკე შეჯიბრებში და სასპორტო ვარჯიშობაში. საღამოთი დელეგატებმა დაათვალიერეს საბჭოთა მოსამსახურეების კლუბი. 7 აგვისტოს, დილით, დელეგატების ჯგუფი ესტუმრა სავაჭრო და საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის ცეკას. დელეგატები დაინტერესდენ საკავშირო ორგანიზაციის, მისი შემადგენლობის და კავშირის ფინანსიური მდგომარეობის საკითხებით. ამავე დღეს დილით, დელეგატების სამივე ჯგუფმა დაათვალიერა საპატიმრო ადგილები. დელეგატების დასკვნით, საბჭოთა პატიმარნი უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ვიდრე გერმანიის ციხეების პატიმარიო. დელეგატებმა აღნიშნეს შრომის რეჟიმის საუკეთესო გავლენა გამასწორებელ სახლში მყოფ პატიმრებზე და ადმინისტრაციის დაინტერესება პატიმართა გამოსწორების საკითხებით.

ინგლისის მუშა ახალგაზრდობის წარმომადგენელნი მოსკოვში

მოსკოვი, 7 აგვ. 7 აგვისტოს ინგლისის მუშა ახალგაზრდობის დელეგატები, ლონდონის ლეიბორიდ კოლლეჯის სტუდენტები ესტუმრენ სრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

მემადნოე მუშა-სტუდენტებმა საუბარი გაუმართეს სამთა მადნო მუშათა კავშირის ცეკას მდივანს გორბაჩევს; რკინისგზელმა მუშა სტუდენტებმა რკინისგზელთა კავშირის ცეკას მდივანს ანდრეიჩიკს. თვითეული ჯგუფის საუბარი გაგრძელდა 2 საათს. ინგლისელი მუშა ახალგაზრდები დაინტერესდენ საპროფკავშირო მშენებლობით საბჭოთა კავშირში, რკინის-გზელთა და მთა-მადნის მუშების შრომის პირობებით; მთავარ ყურადღებას აქცევდენ სამუშაო დროის ხანგრძლივობას შრომის ხელფასს, კავშირების და ახალგაზრდობის მონაწილეობას საბჭოთა მშენებლობაში. საუბრის დროს შეეხენ აგრეთვე ინგლისის მემადნეოთა გაფიცვას. ინგლისის სამთა მადნო მუშების დელეგატებმა სთქვეს, რომ გაფიცულთ არ მოსწონთ ხოჯესის საქციელი და არც სურთ მათი სიტყვების მოსმენაო, ამიტომ ხოჯესი იძულებული გახდა თავი დაენებებია მიტინგებზე გამოსვლისათვისო. ასეთივე აზრი გამოსთქვა გაფიცვის დელეგატებმა სამღვდელოების გაფიცვის საქმეში ჩარევის შესახებ. სამთა მადნო მუშები უარყოფითად ხვდებიან სამღვდელოების წინადადებასო.

ბელგიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

ზაჰესში

გუშინ, დილით, ბელგიის მუშათა დელეგაცია მთელი შემადგენლობით და ადგილობრივი ამხანაგების თანხლებით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დასათვალიერებლად.

პირველად დელეგაციამ დაათვალიერა სამუშაოთა პირველი უბანი: მთავარი საგუბარი, ხელოვნური ტბის ადგილი და სხვა სამუშაოები.

დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ ყველა ნაშენებს და მუშაობის მიმდინარეობას. გზადაგზა დელეგატები ესაუბრებოდენ მუშებს, ეკითხებოდენ მათ, თუ როგორია შრომის პირობები, რამდენს იღებენ ხელფასს და სხვა.

შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს მუშათა კლუბი, თეატრი და საწყობები. კლუბში დელეგატები მიწვეული იქნენ საუზმეზე.

პირველი უბნიდან დელეგატები გაემგზავრენ სამუშაოთა მეორე უბანში, სადაც დაათვალიერეს გენერატორული სადგური და ტურბინები.

დელეგატები მეტად გაკვირვებული დარჩენ, როდესაც გაიგეს, რომ ერთ-ერთი ტურბინა მთლიანად დამზადებულია საბჭოთა კავშირის ქარხანაში.

ტურბინამ იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ერთ-ერთ დელეგატზე, რომ მან აღფრთოვანებულმა წამოიძახა:

— **თუ ასე სწრაფად განვითარდა საბჭოთა ინდუსტრია, რამოდენიმე წლის შემდეგ თქვენ სრულებით აღარ დაგჭირდებათ სხვადასხვა მანქანების შემოტანა საზღვარგარეთიდან.**

დელეგატებს ფრანგულ ენაზე ახსნა-განმარტებას აძლევდა ინჟ. **ხერხეულიძე.**

ზაჰესის დათვალიერება გაგრძელდა ოთხ საათზე მეტი.

დღის პირველ საათზე დელეგაცია მეტად კმაყოფილი ნახულ-გაგონილით დაბრუნდა თბილისში, სადაც დაათვალიერა მეტეხის ციხე.

რას ამბობენ დელეგატები

ზაჰესიდან დაბრუნებისას ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა დელეგატებს მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

ამხ. ვერკრეზი:

— მე არა ვარ სპეციალისტი,—ამბობს დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **ვერკრეზი,**—მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ზაჰესი გრანდიოზული ნაშენის შთაბეჭდილებას სტოვებს. **ჩვენ აქ ვიგრძენით, თუ როგორ შემოქმედებით შრომაშია ჩაბმული საქართველოს პროლეტარიატი.**

მეორეს მხრივ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოში მუშათა კლასი და მშრომელი ინტელიგენცია ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ მრეწველობის განსავითარებლად და ქვეყნის ასაყვავებლად. თქვენს მუშაკებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი დიადი აზრი ლენინის მიერ ელექტროფიკაციის შესახებ გადმოსროლილ ლოზუნგისა.

ჩვენ ვესაუბრეთ ინჟ. ხერხეულიძეს, რომელმაც დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოგვცა სამუშაოების ყველა დარგებზე. ამ საუბრიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს პროლეტარიატის და მშრომელი ინტელიგენციის შეერთებული ძალღონით შეიძლება ყოველგვარი დაბრკოლებების დაძლევა.

ამხ. ბრისი:

— ჩვენ გაგვაკვირვა მუშაობის დაყენებამ თქვენს ქარხნებში და განსაკუთრებით ისეთ დიდ წარმოებაში, როგორიც ზაჰესია,—ამბობს მეორე დელეგატი—**ბრისი.**

თქვენ სცდილობთ რაც შეიძლება უკეთეს პირობებში ჩააყენოთ მუშები, რომ ამით დაზოგოთ მათი ჯანმრთელობა და ამავე დროს ხელი შეუწყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ფაქტმა, რომელსაც ადგილი არ აქვს ბელგიაში. თქვენ იღებთ ზომებს, რომ მოამზადოთ კვალიფიციურ მუშების ახალი კადრი. ამ მიზნით თქვენ გახსნილი გაქვთ მრავალი სკოლები და ამას გარდა ყველა ქარხანა - ფაბრიკებში ტარდება საბრიგადო მოწაფეობა. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა, რომელზედაც დიდი ხანია ოცნებობენ ბელგიელი მუშები, მაგრამ აქამდი ვერ მოახერხეს მისი განხორციელება.

ამ დარგში საბჭოთა კავშირი ახლო ხანში დიდ შედეგებს მიაღწევს.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურმა ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი წამოწყება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მრეწველობის სწრაფ განვითარებას.

მეტეხში

ზაჰესის დათვალიერების შემდეგ დელეგაცია ესტუმრა მეტეხის ციხეს, სადაც საუბარი ჰქონდა პატიმრებთან.

დელეგატებმა დაათვალიერეს რამოდენიმე განყოფილება და სახელოსნოები. შემდეგ დელეგატები შევიდნენ სასადილოში და გასინჯეს პატიმრების საჭმელი.

დელეგატებს ახსნა-განმარტებას აძლევდენ ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

გამასწორებელი სახლის დათვალიერებამ დელეგატებზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

გამოსვლისას დელეგაციის თავმჯდომარემ—ვერკრეზმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩასწერა შემდეგი:

„ბელგიის მუშათა დელეგაცია აღნიშნავს, რომ პატიმრებისათვის შემოღებული რეჟიმი მეტად ჰუმანიურია".

ამ განცხადებას ხელი მოაწერა დელეგაციის ყველა წევრებმა.

საუბარი ამხ. ვერკრეზთან

გამასწორებელ სახლიდან დაბრუნებისას ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა დელეგაციის თავმჯდომარე—ვერკრეზს, რომელმაც მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— პირველი, რამაც ჩვენ გაგვაკვირვა გამასწორებელი სახლის დათვალიერების დროს—ეს არის სრული თავისუფლება, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები. ამ მხრივ თქვენი ციხეები ბევრად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებისაგან. იქ სასტიკი, ხშირად აუტანელი რეჟიმია გამეფებული. თქვენს გამასწორებელ სახლებში კი პატიმრები თითქმის სრულიად თავისუფლად გრძნობენ თავს.

ასეთი შთაბეჭდილება ჩვენ მივიღეთ არა მარტო გამასწორებელ სახლის დათვალიერებით—**ამაზე ლაპარაკობენ თვითონ პატიმრები.**

ჩვენს ციხეებში პატიმრები ცალკე კლიტულებში სხედან; მათ მეტად მკაცრად ეპყრობიან, სასეირნოდ მათ ეძლევათ რამოდენიმე წუთი დღეში. რაიმე კულტ.-განმანათლებელ მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენს პატიმრებს გაზეთების კითხვის უფლებასაც არ აძლევენ.

რას ვხედავთ ჩვენს თქვენს გამასწორებელ სახლებში?

პატიმრები უზრუნველყოფილი არიან არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც.

მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ წიგნებით, ჟურნალებით და სხვა. კამერების კარები ღიაა, პატიმრები თავისუფლად დასეირნობენ კარიდორში. ამას გარდა პატიმრებს შორის სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. არსებობს რამოდენიმე წრე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

ასეთ მდგომარეობას თქვენ ვერ ნახავთ ევროპის ვერც ერთ სახელმწიფოს ციხეში.

რამ უფრო გაგვაკვირვა ჩვენ? რაც ჩვენ ციხეში ვნახეთ—ეს პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია.

პატიმრები მუშაობენ სახელოსნოებში და ამ მუშაობაში იღებენ ხელფასს სატარიფო განაკვეთების მიხედვით და სარგებლობენ ორი კვირის შვებულებით

კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებში შურს იძიებენ პატიმრებზე,—აცხადებს დასასრულ ვერკრეზი,—თქვენ კი სცდილობთ მათ გამოსწორებას.

თქვენი გამასწორებელი სახლები იგივე სკოლებია. ამაზე ლაპარაკობს ყველაფერი: ადმინისტრაციის ჰუმანიური მოპყრობა პატიმრებისადმი, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პატიმრებს შორის.

დელეგაციის გამგზავრება

საღამოს დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ბაქოში. დელეგაციას გაყვა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მდივანი ამხ. **შეფტელი.** თბილისში დელეგაცია დაბრუნდება სამშაბათ დილით და ესტუმრება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **მამია ორახელაშვილს.**

იმავე დღეს დელეგაცია გაემგზავრება ბორჯომში, იქიდან კი—ბათომში.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რა გვიშლის ხელს

(ტყავტრესტის ქარხანა)

ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების განყოფილების ქარხანაში არჩეულმა მომჭირნეობის კომისიამ გამოარკვია შემდეგი წარმოების შემაფერხებელი მიზეზები:

მიუხედავად იმისა, რომ ენერგიულად მუშაობდა ქარხკომი მომჭირნეობის, კომისიამ მაინც იპოვნა ფეხსაცმელების დასამზადებელ განყოფილებაში ზოგიერთი დეფექტები: წარსულში ეს ყოფილა მუშათა კოლექტიური მუშაობა, რომელსაც მოუღუნებია პირადი ინიციატივა, რადგანაც არ სჩანდა თვითეული მუშის ნაწარმოები, მუშა პირადად არ იყო დაინტერესებული თავის შრომის ნაყოფიერებაში. ეს რა თქმა უნდა, მოქმედობდა ქარხნის წარმოებაზე უარყოფითად.

ასეთი კოლექტიური მუშაობა კომისიამ არ სცნო მიზანშეწონილად და რომ ყველა მუშა— დაინტერესებულიყო შრომით, ფეხსაცმელების განყოფილებაში განაწილა ცალ-ცალკე სამუშაოები. მუშაობის სისტემის ასეთმა შეცვლამ მუშები ჩააბა უფრო ენერგიულ მუშაობაში. და თვით მუშაობაც გამოცოცხლდა, რამაც წარმოება წარსულთან შედარებით 25 პროცენტით წინ წასწია.

მომჭირნეობის კომისიამ გადახედა აგრეთვე მანქანების მუშაობას. ქარხანაში იდგა რამოდენიმე მანქანა ცალ-ცალკე, რომელიც ვერ აძლევდა საჭირო ძალის სამქროებს: ერთი მანქანა იტვირთებოდა მუშაობით და მეორე კი თავისუფალი იყო. მომჭირნეობის კომისიამ იმ მიზნით, რომ ყველა მანქანებს თანაბრად ემუშავა და სამქროებსაც მისცემოდათ საყოფი ენერგია—ყველა მანქანები შეაერთა ერთ ადგილას. ამით კი საგრძნობლად შემცირდა ზედმეტი ხარჯები; მანქანები არ ფუჭდებიან ისე, როგორც წარსულში და ენერგიამაც მოიმატა.

მექანიკურ განყოფილებაში კომისიამ გააუქმა უფროსი ხელოსნის თანაშემწის თანამდებობა და თანაშემწეს ნაცვლად დანიშნა გამოცდილი სპეცი რომელიც გადასინჯავს ფეხსაცმელების კალაპოტების ვარგისობას, რითაც გაუმჯობესდება ფეხსაცმელების დამზადება და თვიურად ხარჯიც შემცირდება 90 მანეთით.

კომისიამ გამოარკვია ისიც, თუ რა იყო პროდუქციის გაფუჭების მიზეზიც. ამის მიზეზად აღმოჩნდა ის, რომ ტყავის საჭრელი მანქანა ვერ მუშაობდა სწორად, რადგანაც მას ჰქონდა ძველი ნაწილები. ეს კი დიდ ზარალს აძლევდა წარმოებას.

კომისიამ მიიღო ზომები და მანქანები შეკეთებული იქნა. ტყავ-საჭრელი დანა გაკეთდა ახალი ფოლადისაგან და ეს უკვე ამით გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც.

მომჭირნეობის კომისიამ აგრეთვე საჭიროდ სცნო კანცელარიაში შტატის შემცირება დაავალა უფროსს ბუღალტერს მომჭირნეობის ცენტრალ. კომისიის მონაწილეობით გადაარჩიოს მოსამსახურეები და სამუშაოზე დასტოვოს უფრო გამოცდილი მომუშავენი, ზედმეტნი კი შეამციროს.

მუშა ვარდენ.

ავტომობილით სურამისაკენ

(გორი)

„თუ მატარებელი არ მოგწონთ, მიბრძანდით ავტომობილით", „თუ ტრამვაი გეჩქარებათ, მიბრძანდით ეტლით"-ო, სიტყვები, რომელსაც ხშირად გაიგონებთ რკინის გზასა და ტრამვაიში. როცა აბეზარა ვინმე ასტეხს აურ-ზაურს რაიმე უბრალოზე. პასუხი რა თქმა უნდა, გულსაკლავია და თანაც ისეთი, რომელშიაც არაფერი შეურაცმყოფელი არაა. ასე რომ, შენიშვნის მიმღები [illegible] თავის გულს სჭამს და ენა ვერ დაუძრავს: „ავტომობილით კი არა, [illegible] წავიდოდი, მაგრამ ვინ მოგანებვა" უჩნდება ის თავის თავს, და ინციდენტიც ამით თავდება.

გორში კი, მაგალითად, სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ. აქ საქმე ინციდენტამდეც არ მიდის. [illegible] იციან, რომ [illegible]. სიცხეებია, ხალხი მიდი-მოდის. მატარებლები [illegible], ათას უსიამოვნებას გადაეყრები [illegible]. ბარემ ის არ სჯობს რკინისგზას სულ მოერიდო და შენი საშუალებით [illegible]. მით უფრო, ეს [illegible] ავტომობილი [illegible] არ ჩამორჩება. ხომ [illegible]. „შორი გზა მოიარეო და შინ მშვიდობით მოდიო".

ასეც მოიქცა ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ორი პატივცემული გორელი ამხ.-ები: დოლიძე და გვერდწითელი. ჩაუჯდენ მაშინას და გააქროლეს სურამისაკენ. გზადაგზა ერთი რაიმილიციის სამმართველოს ათვალიერებდა, მეორე საქმიო პუნქტებს. ყველა დათვალიერებულ დაწესებულებები რკინისგზის სადგურებზე მოთავსებული.

მოდგინე და არბენინეს მანქანა ამ ოღრო-ჩოღრო გზებში და ტალახებში გორიდან სურამში და სურამიდან გორში. გზა რომ კარგი ყოფილიყო, ვინ ჩიოდა. ხარჯი ხარჯათ დარჩა და მანქანაც უთუოდ გაილახა.

კარგია, რასაკვირველია, მატარებელთან შედარებით ავტო, კიდევ უკეთესი [illegible], როცა მარტო მარტო მიგაქროლებს [illegible] ორ მეგობარს მტკვარის მხატვრულ ჭალებში. მაგრამ ცუდია, როცა ეს სიამოვნება ძვირად უჯდება სახელმწიფო სალაროს, ცუდია, როცა არ ეკადრებიან მატარებელს.

ამხ. დოლიძე და გვერდწითელი [illegible] სხვებს ასწავლიან [illegible]. რომ დღის თეთრი ჩაგდებ ამ მდგომარეობაში. [illegible] ჩვენ რას ლაპარაკობენ თქვენი ექსკურსიის შესახებ ქარელის [illegible].

[illegible]

[illegible] დადგენილება

(ს. ქვ.-აკეთი, გურია)

გვაქვს კოოპერატივი, თავისი სადუქნე კომისიით. ზოგიერთ ჩვენი სოფლის მცხოვრებთ კარგა ხანია გატანილი აქვთ კოოპერატივიდან ინვენტარის ნივთები და ზოგს კიდევ ვალები და აღარ შემოაქვთ, რომელთა წინააღმდეგ კოოპერატივის წევრთა მორიგ კრებამ მიმდინარე წლის იანვარში გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„სადუქნე კომისიამ მიმართოს იმ პირებს, რომელთაც აქვთ გატანილი ჩვენი კოოპერატივის ინვენტარი თუ სხვა ვალი, რომ ერთი კვირის განმავლობაში აუნაზღაურონ კოოპერატივს თავისი ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში სადუქნე კომისიის უნდა მიემართა სასამართლოსათვის მათ წინააღმდეგ და სასამართლოს წესით აეღო ეს ხალხის ქონება".

მას შემდეგ აგერ 7 თვე ვადის და ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორ იმოქმედა სადუქნე კომისიამ. მხოლოდ ის კი ვიცით, რომ კოოპერატივს არ დაბრუნებია თავისი ქონება, რაც უნდა მიეწეროს სადუქნე კომისიის უმოქმედობას. ეს კი ათამამებს ზოგიერთებს, რომ შეირჩინონ და ჩაიჯიბონ ხალხის ქონება.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

ნიკო.

ქიმიური ლაბორატორია

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო ქიმიური ლაბორატორია, სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მიერ დასახულ სასწავლო გეგმის შესრულების გარდა, აწარმოებს სხვადასხვა სამეცნიერო და პრაქტიკულ საკითხების გამოკვლევას. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს საკვებ მასალათა შესწავლას, ლაბორატორია ქიმიურად იკვლევს საკვებ მასალათა სხვადასხვა ნიმუშებს.

უკანასკნელ თვეებში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მაწვნის ფლორის შესწავლას, სწარმოებდა მუშაობა მაწვნის მიკრობების წმინდა კულტურის გამოსაყოფად. პარალელურად სწარმოებდა მუშაობა საქონლის სისხლის ფერმენტების გამოსაკვლევად.

ლაბორატორიის ნიადაგთ-მეცნიერების განყოფილება აწარმოებდა კახეთის ნიადაგების მექანიკურ ანალიზს, ა.-წ. აპრილის 1-დან ივლისის 1-მდე დამუშავდა ნიადაგის 31 ნიმუში და სხვ.

აგრონომიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის 75 სტუდენტმა შეასრულა ლაბორატორიაში სავალდებულო პრაქტიკუმი აგრო-ქიმიის, ნიადაგთ-მეცნიერების და ღვინის ქიმია-მიკრობიოლოგიის დარგში.

მებამბეობა

მებამბეთა სრულიად საკავშირო მეორე თათბირის შედეგები

გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენელი სრულიად საკავშირო მებამბეთა მეორე კოოპერატიულ თათბირზე ამხ. ს. მ. მაზმანოვი, რომელმაც თათბირის შედეგების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

თათბირი გაიხსნა 29 ივლისს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრ. „სელსკოსოიუზ"-თან და იგი უმთავრესად მოუნდა იმ ღონისძიებათა განხილვას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს მებამბეობის განვითარებას, მებამბეობაზე გაცემული ყველა კრედიტების სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში მოგროვების საკითხს და საკრედიტო კოოპერაციისა და საბამბო ორგანიზაციების შორის დამოკიდებულების მოგვარებას.

საპროგრამო საკითხების განხილვის პროცესში გამოაშკარავდა ყველა ის ნაკლულოვანებანი ბამბის კამპანიის ჩატარების საქმეში, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ბამბის საწმენდ ქარხნების მართველობის, ისე ადგილებზე მომუშავე საბამბო კომიტეტების აპარატის საქმიანობაში.

ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებებიდან (უზბეკისტანი, თურქესტანი, ყაზახისტანი, აზერბეიჯანი და სომხეთი) გამოირკვა არა რაციონალური დაყენება სავანსო ოპერაციების, მებამბეებთან ანგარიშის გასწორებისა და საერთოდ მომარაგებითი ოპერაციების, რამაც ცუდი გავლენა იქონია მებამბეობის შემდგომ განვითარებაზე.

მოხსენებაში ხაზს უსვამდენ ადგილებზე სპეციალურ მებამბეთა კოოპერაციის შექმნის აუცილებლობას. მებამბეობის კოოპერაციის ხელში უნდა გადავიდეს არა მარტო საწარმოო და მომარაგების ფუნქციები, არამედ თვით ბამბის გადამუშავების საქმეც, ე. ი. მებამბეობა კოოპერაციის ხელში უნდა გადავიდეს ყველა არსებული ბამბის საწმენდი ქარხნები და მათ შორის ზეთის სახდელი ქარხნებიც.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის პროექტი, საბამბო რაიონებში სპეციალური [illegible] სისტემის მებამბეთა კოოპერაციის მოწყობის შესახებ მოწონებული იქნა ერთხმად მთელი თათბირის მიერ.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა ყველა კრედიტები, რომლებიც ეძლევა მებამბეობას, გაცემული იქნეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის საშუალებით, რადგან მათ აქვს ფართო [illegible] ადგილებზე და მოიპოვება საშუალება მებამბეობის კოოპერაციის დაარსების და გამაგრებისათვის ხელის შესაწყობათ.

დასასრული თათბირის მიერ სასურველადაა ცნობილი „სელსკოსოიუზთან" სპეციალურ საბამბო კომიტეტის დაარსება საკავშირო მასშტაბით.

ამ კომიტეტის დაარსების მიზანია მებამბეობისათვის კრედიტების მიწოდება გეგმის მიხედვით და მებამბეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. კომიტეტს ჰყავს ბიურო, რომელიც [illegible] ტექნიკურ მუშაობას.

მებამბეთა კოოპერაციისათვის საწარმოო პროგრამის გათვალისწინებულია მომავალ 1926—27 წლის დამდეგიდან.

ელექტროფიკაცია

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგურის საგუბარი

იმ მიზნით, რომ გამორკვეული ყოფილიყო, გაუძლებს თუ არა აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის საგუბარი დიდ წყალდიდობას, აჭ. ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტმა მოსკოვის ჰიდრავლიკურ ლაბორატორიაში გააკეთებია წყალგარდნილის მოდელი, რომელიც წყალვარდნის ნატურალური სიდიდის ერთ მეასედს წარმოადგენს. მოდელის დამზადების შემდეგ პროფ. მიკოვიჩმა მოახდინა მოდელის გამოცდა. გამოცდის შედეგებით გამოირკვა, რომ საგუბარის (კაშხალის) პროექტი ინჟინერებისაგან შედგენილია სრული სისწორით და გამძლეობის მხრივ საგუბარი არავითარ საშიშროებას არ შეიცავს. კატასტროფიული წყლის მოვარდნის დროს. მოდელის გაკეთება და ცდების მოხდენა დაჯდა 10 ათასი მანეთი. რაც შეეხება თვით იმ ადგილს, სადაც საგუბარი შენდება, მუშაობის დაწყებამდე მდინარის კალაპოტი და აგრეთვე მდინარის ფსკერის ნიადაგი გამოკვლეულ იქნა გეოლოგების მიერ. პირველად ამ ადგილის გამოკვლევა მოახდინა ცნობილმა გეოლოგმა პროფ. კონიუშევსკიმ, 1923 წელს. მეორედ იმავე გეოლოგისაგან გამოკვლეულ იქნა 1926 წ. ამავე წელს საგუბარის ადგილი დაწვრილებით შეისწავლა და გამოიკვლია გეოლოგ [illegible].

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ც. ს. კ. პლენუმის შედეგებ

ამხ. ა. ი. რიკოვის მოხსენება მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 26 ივლისს

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი პარასკევს დამთავრდა. პრესაში გამოქვეყნებულია ყველა რეზოლიუციები, რომელიც პრესისთვის არის დანიშნული, მაგრამ სხდომების სტენოგრამები და სხვა მასალები ჯერ სისტემატიურად არ არის დაწყობილი და მე არ შემეძლო ყოველივე ეს გამომეყენებია ჩემი მოხსენებისთვის. ამას გარდა ორი დღე, რომელიც ახლანდელ კრებას პლენუმისაგან ჰყოფს, სრულიადაც საკმაო არ არის, რომ შემუშავებულ იქნას ის უზარმაზარი მასალა, რომელიც პლენუმის დროს დაგროვდა. მაგრამ პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იმდენად უნდა მიიპყროს პარტიის ყურადღება, რომ მე შეცდომად არ ვსთვლი, რომ დავთანხმდი ამ მოხსენების წაკითხვას.

უკანასკნელი პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციებიდან უმთავრესია, ჩემის ზრით, რეზოლიუცია ამხ. ლაშევიჩის და სხ. საქმის გამო და რეზოლიუცია საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ. ამიტომ ჩემი მოხსენების მთავარ ნაწილს ამ ორ რეზოლიუციას მივუძღვნი.

ლაშევიჩის და სხვათა საქმე

ლაშევიჩისა, ბელენკისა და სხვათა საქმის გამო რეზოლიუცია, როგორც მოგეხსენებათ, ამბობს, რომ ლაშევიჩი გამორიცხულია პარტიის ცეკას კანდიდატურის რიცხვიდან; ის გაფრთხილებულია, რომ თავის თავს პარტიის რაზმების გარეშე დააყენებს, თუ ფრაქციული ბრძოლა განაგრძო; ამავე რეზოლიუციის ძალით ამხ. ზინოვიევი მოხსნილია პოლიტბიუროსგან, მხოლოდ დატოვებულია ცეკას წევრების შემადგენლობაში.

მგონია არ შევსცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე პარტ-დისციპლინის დარღვევის საკითხები არასოდეს არ იდგა ისე მწვავედ, როგორც უკანასკნელ პლენუმზე. არ ყოფილა შემთხვევა, როცა ისეთ გამოჩენილი წევრების მიმართ, როგორიც ამხ. ზინოვიევია, იმგვარი რეზოლიუციები გამოეტანათ, როგორიც უკანასკნელმა პლენუმმა მიიღო. მე პირადათ მახსოვს მხოლოდ ერთი ასეთივე შემთხვევა, რომელიც ამხ. შლიაპნიკოვის სახელთან არის შეკავშირებული. რადგან ეს საქმე მხოლოდ ზოგიერთმა პარტიულმა ამხანაგმა იცის, თავის თავს ნებას მივსცემ გადმოგცეთ ის.

ეს შემთხვევა მოხდა 1921 წელს, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ვლადიმერ ილიჩი. შლიაპნიკოვი იმ დროს პარტიის ცეკას და პარტიის გამწმენდი ცენტრალური კომისიის წევრი იყო. ერთი პარტუჯრედის კრებაზე ის კრიტიკულად შეეხო მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებას. ვლადიმერ ილიჩმა ეს გაიგო ერთი დოკუმენტიდან, რომელიც დღემდეა შენახული. ამ დოკუმენტში ნათქვამია (ციტატა ამოღებულია ზოგიერთი სტილისტური შესწორებით, მაგრამ აზრი ზედმიწევნით არის დაცული):

„უჯრედში მოხსენება წაიკითხა ან უკეთ ვსთქვათ მოხსენება კი არ წაიკითხა, არამედ მთავრობის დადგენილებებს კრიტიკულად შეეხო ყოფილი სახალხო კომისარი ამხ. შლიაპნიკოვი. თავის კრიტიკის საფუძვლად მან მიიღო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმის რეზოლიუცია წარმოებათა იჯარით გაცემის შესახებ. დაიწყო იმ მუხლიდან, სადაც ნათქვამია: „აღიარებულ იქნას, რომ მეურნეობა უპატრონოთ სწარმოებდა“. ამხ. შლიაპნიკოვმა გადაიხარხარა და სთქვა: „ეს რას ნიშნავს? საქმეს ოთხს წელიწადს განაგებდენ და პატრონი არ ყოფილა, ეს როგორ შეიძლება?“ მისი კრიტიკის მეორე მუხლი იყო რეზოლიუციის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „მუშებს ყოველ შემთხვევაში ეძლეოდა სამუშაო ტანისამოსი და სურსათი და პროდუქტიობა მინიმუმამდე იყო დასული“. ეს მუხლი შლიაპნიკოვმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა; მან სთქვა, რომ მუშებს თითქმის სრულიად არაფერი არ ეძლეოდა, ხოლო პროდუქტიობა ზოგიერთ ქარხანაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ომამდე.

კრიტიკის მესამე მუხლი მტაცებლობას შეეხებოდა. ამხ. შლიაპნიკოვი ამბობდა, რომ მუშები არ არიან დამნაშავენი, დამნაშავეა სამრეწველო - სამეურნეო ორგანოები, რომელთაც მუშები ქურდობამდე მიიყვანეს. კრიტიკის დასასრულს მან განაცხადა, რომ ამ რეზოლიუციას ანტიმუშური სული უდის, მუშები ფრთხილად უნდა იყვნენ“.

ვლადიმერ ილიჩმა ინფორმაციის მიღებისთანავე მოითხოვა საჩქაროთ ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის მოწვევა, მისივე წინადადების განსახილველად ამხ. შლიაპნიკოვის გამორიცხვის შესახებ პარტიის ცეკას შემადგენლობიდან პარტდისციპლინის დარღვევისათვის. თავის წინადადებას ლენინი იმით ასაბუთებდა, რომ პარტიის ცეკას არ შეუძლია ნება დართოს, რომ ვინმემ ცეკას პოლიტიკა დაარღვიოს. ცეკას წევრებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულება დაიცვან, იკამათონ. დისკუსიები მოაწყონ თვით ცეკაში. მაგრამ ისინი ყველანი, იმისდა დამოუკიდებლათ ეთანხმებიან თუ არ ეთანხმებიან ცეკას გადაწყვეტილებას, ვალდებულნი არიან სიტყვის შებრუნებლად. არა შიშის, არამედ სინიდისის ქვეშ განახორციელონ მიღებული რეზოლიუციები, და დაიცვან როგორც უპარტიოთა, ისე პარტიის წევრთა შორის. ცეკას წევრის შლიაპნიკოვის მიერ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს იმ რეზოლიუციის კრიტიკა, რომელიც მიღებული იყო ცეკას საერთო პოლიტიკასთან შეფარდებით, ვლადიმერ ილიჩის თვალში საკმაო საბუთს წარმოადგენდა იმისათვის, რომ დასმულიყო საკითხი შლიაპნიკოვის გამორიცხვის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. ამხ. ლენინის წინადადებით ცეკას პლენუმმა მაშინ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

„მოისმინეს—პარტიის დისციპლინის დარღვევის შესახებ შლიაპნიკოვის მიერ, დაადგინეს: აუცილებლად საჭიროა ცნობილ იქნას ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ საქმეში ჩარევა. მოწვეულ იქნას ხვალ, 9 აგვისტოს, დილის 11 საათზე მეათე პარტყრილობის მიერ ნაგულისხმები კოლეგია მოსკოვში მყოფ ცეკას წევრებისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრებისა და კანდიდატებისგან“.

ამ სხდომაზე ვლადიმერ ილიჩმა დასვა საკითხი შლიაპნიკოვის გამორიცხვის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. მაგრამ ვლადიმერ ილიჩი მაშინ უმცირესობაში დარჩა, უმრავლესობა არ დაეთანხმა შლიაპნიკოვის გამორიცხვას ცეკას შემადგენლობიდან და დაკმაყოფილდა იმას, რომ პარტიის გამწმენდ ცენტრალური კომისიის წევრობიდან გადააყენა.

დადგენილება ამბობდა:

„ა) რადგან ამხ. შლიაპნიკოვმა, როგორც ცეკას წევრმა რამდენჯერმე დაარღვია პარტიული დისციპლინა, კრება აღიარებს, რომ შემდგომი გამოსვლა ამხ. შლიაპნიკოვისა ცეკას ფარგლების იქით სიტყვებით, განცხადებებით, კრიტიკით, რომელიც ცეკას პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული და ეწინააღმდეგება იმ გადაწყვეტილებებს, რომელნიც მართლაც გამოხატავენ პარტიული ყრილობის აზრს, სრულიად დაუშვებელია და საკითხს აყენებს ამხ. შლიაპნიკოვის მუშაობის შესაძლებლობის შესახებ ცეკაში. ამის გამო კრება კატეგორიულად მოუწოდებს ამხ. შლიაპნიკოვს რადიკალურად შესცვალოს ამ მხრივ მთელი თავისი პოლიტიკური ყოფა-ქცევა და შეუფარდოს ის ცეკას, რომლის შემადგენლობაში ის მუშაობს. იმ შემთხვევაში, თუ ამხ. შლიაპნიკოვი შემდეგ, არ შეცვლის თავის ყოფაქცევას, ცეკას ევალება ასეთივე კრების მოწვევა საკითხის ხელმეორედ განსახილველად.

მიღებულია ერთხმად სამი წევრის თავშეკავებით.

ბ) ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს მხოლოდ გუბკომებს და გამოქვეყნდეს მხოლოდ „ცეკას იზვესტიებში“.

გ) განთავისუფლებულ იქნას ამხ. შლიაპნიკოვი პარტიის გამწმენდ ცენტრალური კომისიის წევრის თანამდებობიდან“.

ამხ. შლიაპნიკოვის დანაშაული, რისთვისაც ვლადიმირ ილიჩი მის გამორიცხვას მოითხოვდა ცეკადან, სრულიად ქრება ლაშევიჩისა, ბელენკისა და სხ. საქმის წინაშე. ამხ. შლიაპნიკოვი ხომ ლეგალურად გამოვიდა, პარტიის დასანახავად, გამოვიდა ლეგალურ კომუნისტურ კრებაზე და კრიტიკულად შეეხო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დადგენილებებს. მაგრამ ვლადიმერ ილიჩი ისეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა პარტდისციპლინის საკითხებს, ისეთი ულმობელი იყო იმ ყოფაქცევის დაფასებაში, რომელიც თუნდ ოდნავ ასუსტებდენ პარტიულ დისციპლინას, რომ თვით ასეთი დარღვევისათვის, რომელიც დღეს ასე უმნიშვნელოდ გვეჩვენება ლაშევიჩისა, ბელენკისა და სხვების გამთიშველ მოღვაწეობასთან შედარებით, შლიაპნიკოვის გამორიცხვას მოითხოვდა ცეკას შემადგენლობიდან.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის შეერთებულმა პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა ამხ. ლაშევიჩისა, ბელენკისა და სხვების საქმე.

ამ საქმის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის ზოგიერთმა წევრებმა ტლანქათ დაარღვიეს პარტიის წესდება და პრაქტიკული ნაბიჯები გადასდგეს ფრაქციის შესადგენათ. ამ მიზნით იწყობოდა არალეგალური კრებები, შიფრები, კონსპირატიული ბინები და სხვა.

ერთი ასეთი კონსპირატიული, არალეგალური კრება შესდგა მოსკოვის მახლობლად ამხ. ბელენკის თავმჯდომარეობით. მომხსენებლად გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის კანდიდატი, ამხ ლაშევიჩი. ამასგარდა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ აღადგინა შემდეგი ფაქტები: ბელენკი იყო ოდესაში, შექმნა სამეული ფრაქციული მუშაობისათვის და საგანგებო შიფრი შექმნა მიწერ-მოწერისათვის. რასაკვირველია, ბელენკის ეს შიფრი თავისი პირადი მიზნებისთვის კი არ სჭიროდა, არამედ არალეგალური, პარტიისთვის დაფარული მიწერ-მოწერისთვის რომელიღაც ფრაქციულ ცენტრთან. გამორკვეულია რამდენიმე შემთხვევა, რომ ოპოზიციონერები მრავალი მისამართით აგზავნიდენ პოლიტბიუროს საიდუმლო დოკუმენტებს. ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის თითქმის ყველა უჯრედებმა ლენინგრადიდან, ნიკოლაევის სადგურიდან, მიიღეს ოპოზიციის ერთი წევრის წერილი, რომლის მიზანი იყო უჯრედების აღძვრა პარტიის ცენტრალური კომიტ. წინააღმდეგ. გამორკვეულია, რომ საიდუმლო პარტიულ დოკუმენტებს ავრცელებდნენ უპარტიო მემანქანე ქალები, ეს დოკუმენტები უპარტიო წრეების კუთვნილებათ ხდებოდენ. დამტკიცებულია, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა ოპოზიციის წევრები უპარტიოებს ეკითხებოდნენ რა პოზიციას დაიჭერენ ისინი, თუ ბრძოლა გაიმართა ოპოზიციასა და ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას შორის.

როგორც მოგეხსენებათ, ამხ. ბელენკი კომინტერნის ერთი პასუხისმგ. ამხანაგთაგანია. კომინტერნის ორ სხვა მუშაკი—გურალსკი და ვუიოვიჩი მე-14 ყრილობის შემდეგ სცდილობდნენ ასეთივე ფრაქციული კავშირი დაემყარებიათ უცხოეთის კომუნისტური პარტიების ცალკე პირებთან და ჯგუფებთან.

რასაკვირველია, ბელენკი და მისი მსგავსნი არალეგალურ მუშაობას აწარმოებდნენ, მხოლოდ იმ ამხანაგების სურვილებისა და დირექტივების მიხედვით, რომელნიც პოლიტიკურად მეთაურობდენ ოპოზიციას. და რადგან ფრაქციონერების მუშაობის ძაფები მიდიოდნენ კომინტერნის თავმჯდომარის, ამხ. ზინოვიევისკენ, ცეკასა და ც. საკონტროლო კომისიის პლენუმს შეუძლებლად მიაჩნდა ლაშევიჩის და სხ. საქმე ისე განეხილა, რომ მხოლოდ მეორე ხარისხოვანი პირები გაეკიცხა და უყურადღებოთ დაეტოვებია საკითხი ამხ. ზინოვიევის დამოკიდებულების შესახებ ფრაქციის პრაქტიკულ ორგანიზაციისადმი. თუ ამხ. ზინოვიევი ცეკასა და საკონტროლო კომისიის პლენუმზე გადაჭრით გამოსთიშოდა ამ ფრაქციულ, არალეგალურ და გამთიშავ მოქმედებას, მაშინ მისი საკითხი არ დაისმოდა არც საკონტროლო კომისიაში და არც პლენუმზე. მაგრამ ამხ. ზინოვიევი არ მოვიდა ცენტრალური საკონტროლო კომისიის სხდომაზე, მიუხედავად განმეორებითი მოპატიჟებისა, განაცხადა, რომ მოუცლელია, რადგან ტეზისებს ადგენს საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ და არ გაიმიჯნა ამ გამთიშველ ნაბიჯებს თვით პლენუმზე.

პარტიის გარდაწყვეტილებანი და ოპოზიცია

საქმე პარტიის შიგნი გამთიშავი მუშაობის შესახებ ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა განიხილა იმ პოლიტიკურ უთანხმოების გარეშე, რომელიც აქვთ ამხ. ზინოვიევს, ტროცკის და სხვა მთელ რიგ ამხანაგებს პარტიის უმრავლესობასთან. მაგალითად, ამხ. ტროცკის პარტიასთან გაცილებით უფრო მეტი უთანხმოება აქვს, ვიდრე ამხ. ზინოვიევს; უთანხმოება მედვედევთან უფრო არსებითია, ვიდრე ამხ. ტროცკისთან და ზინოვიევთან. მაგრამ რამდენადაც ის ამხანაგები, რომლებიც ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხებში სხვა თვალსაზრისს ატარებენ, ვიდრე ატარებს პარტია მთლიანად, არ ჰქმნიან ფრაქციას, არ აწყობენ პარტიის გათიშვას, ატარებენ ცხოვრებაში პარტიის გარდაწყვეტილებებს, იმდენად არ არსებობს საკითხი მათ მიმართ ორგანიზაციული ზეგავლენის რაიმე ზომების მიღების შესახებ. ამხ. ტროცკის უთანხმოება პარტიის უმრავლესობასთან მე-14 პარტიულ ყრილობამდე დაიწყო. ამხ. ტროცკის პოლიტიკური პოზიციისადმი დამოკიდებულება პარტიამ არა ერთხელ გამოსთქვა. მე13 პარტიული კონფერენციის (1924 წ. იანვარი) დადგენილებებში ნათქვამია:

„...უკეთებს რა ანალიზს „ოპოზიციის“ წარმომადგენელთა გამოსვლების დამახასიათებელ ნიშნებს, სრულიად საკავშირო პარტიული კონფერენცია მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეხლანდელი ოპოზიციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ბოლშევიზმის რევიზიის ცდასთან, არა მარტო ლენინიზმის გზიდან გადახვევასთან, არამედ აშკარად და ნათლად გამოსახულ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრასთან. ყოველ ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ ეს ოპოზიცია ობიექტიურად გამოსახავს წვრილი ბურჟუაზიის შეტევას პროლეტარულ პარტიის და მისი პოლიტიკის პოზიციის წინააღმდეგ. შინა-პარტიული დემოკრატიის პრინციპებს ასეთ ფართო განმარტებას უკეთებენ, რომ იგი პარტიის ფარგლებს შორდება: ეს პრინციპები ესმით ისე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტება და ახალი ბურჟუაზიის პოლიტიკური უფლებების გაფართოება.

იმ გარემოების გამო, რომ რუს. კომპარტია, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის განსახიერებას წარმოადგენს, მონოპოლიური ლეგალობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში, აუცილებელია ასეთი მოვლენა, რომ კომუნისტების ყველაზე უფრო მერყევი ჯგუფები არაპროლეტარულ ზეგავლენას ემორჩილებიან. პარტიამ მთლიანად უნდა დაინახოს ეს საფრთხე და ფხიზლად დაიცვას პარტიის პროლეტარული ხაზი.

ამ წვრილ-ბურჟუაზიული გადახრის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა სწარმოებდეს სისტემატიური და ენერგიული ბრძოლა მთელი ჩვენი პარტიის მიერ“.

ეს დახასიათება სავსებით განიმეორა პარტიის მე-13 ყრილობამ, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ოპოზიციის იდეურ არსებას, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრის გამოსახულებას. ამ ყრილობის რეზოლიუციაში „პარტიული აღმშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ“ სხვათაშორის ნათქვამია:

„...ახალ ბურჟუაზიულ ფენებს შორის (კულაკი სოფელში, ნეპმანი ქალაქში) პოლიტიკურ აქტიობის ზრდასთან ერთად შენიშნული იყო წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტების შეჭრა ჩვენს პარტიაში. მე-13 სრ. საკავშირო პარტკონფერენციამ წარსული წლის შინაპარტიული ოპოზიცია უკვე დაახასიათა, როგორც „აშკარად გამოსახული წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა“.

...პარტიის ყველაზე უფრო მერყევი ელემენტები, უმთავრესად არაპროლეტარულ რაიონებიდან და უჯრედებიდან, ნაწილობრივ დაემორჩილენ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ზეგავლენას. მაშინ როდესაც პარტიისათვის ასეთ მერყეობას პარტიის შიგნი, არამედ წ-წარმოადგენს როგორც თავისი ლენინიზმის საწინააღმდეგო იდეური შინაარსით, ისე იმ შედეგებით, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ მერყეობას პროლეტარულ დიქტატურის სიმტკიცის შერყევისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი პარტიაა, არა მარტო ღირსეული პასუხი უნდა გასცეს ასეთ მერყეობას პარტიის შიგნი, არამედ წინასწარი, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული ხასიათის ზომები უნდა მიიღოს მომავალში მათი წარმოშობის წინააღმდეგ“.

პარტიასთან ამხ. ტროცკის უთანხმოების საკითხის შესახებ მსჯელობა ჰქონდა კომინტერნის მეხუთე კონგრესსაც, რომელიც სწარმოებდა ამხ. ზინოვიევის თავმჯდომარეობით და მისი უშუალო და მახლობელი მონაწილეობით. კომინტერნის მეხუთე კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო 1923 წლის ოპოზიციის შესახებ.

„.... კონგრესი აღნიშნავს, რომ ოპოზიციას რუს. კომპარტიაში მხარი დაუჭირეს სხვა კომპარტიების (პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხ.) იმ ელემენტებმა, რომლებიც ამ პარტიებში, ისევე, როგორც რუსეთის კომპარტიის შიგნი ოპოზიცია, მემარჯვენე (ოპორტუნისტულ) გადახრების გამომხატველნი არიან, და რომლებიც უსასტიკესად გაკიცხა კომინტერნის მეხუთე კონგრესმა.

მოისმინა რა კონგრესმა სპეციალური მოხსენება საბჭოთა კავშირსა და რუს. კომპარტიის მდგომარეობის შესახებ და შეისწავლა რა თავის სექციებში ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა, დაადგინა:

ა) დამტკიცებულ იქნას კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესის სახელით მე-13 პარტკონფერენციისა და რუს. კომპარტიის მე-13 ყრილობის რეზოლიუციები ოპოზიციის შესახებ, რომლებიც ოპოზიციის პლატფორმას ჰკიცხავენ, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრის პლატფორმას და მის მოქმედებას, როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც უმზადებს საფრთხეს პარტიის მთლიანობას და მაშასადამე პროლეტარიატის დიქტატურას საბჭოთა კავშირში;

ბ) მე-13 კონფერენციის და მე-13 ყრილობის რეზოლიუციები დაერთოს ამ დადგენილებას და გამოქვეყნებულ იქნან, როგორც კომინტერნის მეხუთე კონგრესის დადგენილებები“.

ეხლა ამხ. ზინოვიევი ამხ. ტროცკისთან ერთად მიდის.

ეგრედ წოდებულ „მუშურ ოპოზიციის“ შესახებ პარტიის მე-10 ყრილობამ, რომელიც ვლადიმერ ილიჩის ხელმძღვანელობით სწარმოებდა, შემდეგი გარდაწყვეტილება გამოიტანა:

„მუშურ ოპოზიციის“ და მისი მსგავსი ელემენტების შეხედულებანი არა მარტო თეორეტიულად არ არიან სწორი, არამედ პრაქტიკულადაც გამოხატავენ წვრილ-ბურჟუაზიულ და ანარქისტულ მერყეობას, პრაქტიკულად ასუსტებენ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელო ხაზს და საქმით ეხმარებიან პროლეტარული რევოლიუციის კლასიურ მტრებს.

... რუს. კომპარტიის ყრილობამ გადაჭრით უარჰყო ზემოხსენებული იდეები, რომლებიც სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრას გამოხატავენ და დაადგინა:

1) აუცილებლად იქნას ცნობილი განუწყვეტელი და სისტემატიური ბრძოლა ამ იდეებთან;

2) ამ იდეების პროპაგანდა ცნობილ იქნას რუს. კომპარტიისათვის შეუფერებელ პროპაგანდათ...“

ამხ. ზინოვიევისა და კამენევის პარტიის უმრავლესობასთან უთანხმოება მხოლოდ მე-14 პარტყრილობაზე ჩამოყალიბდა. თქვენ ყველამ კარგათ იცით, როგორი ხაზით მიიმართებოდა ეს უთანხმოებანი, იცით, რომ ყოველი სადავო საკითხი ვრცლად იქნა განხილული ყრილობაზე, თქვენ იცით აგრეთვე, რომ ახალი ოპოზიციის თვალსაზრისი გაკიცხულ იქნა ამ ყრილობის მიერ. მისი შეცდომა ყრილობამ ამგვარად დაახასიათა:

„... მაგრამ იმავე დროს ყრილობა ისევე გადაჭრით (ე. ი. როგორც იქნა გაკიცხული პირველი გადახრა, რომელიც კულაკის საფრთხეს ვერ აფასებდა ჯეროვნად) ჰკიცხავს იმ ცდებს, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ მიჩქმალოს კომუნისტური პოლიტიკის საკითხი სოფლად, ბრძოლა საშუალო შეძლების გლეხისათვის, როგორც მიწადმოქმედების ცენტრალური ფიგურისათვის, საკითხი კოოპერაციისა, როგორც ძირითადი საორგანიზაციო ფორმა სოფლის სოციალიზმისაკენ სვლისა...

ეხლანდელ პირობებში ეს მეორე გადახრა კულაკების მოსპობის პოლიტიკისაკენ დაბრუნების საფრთხეს წარმოადგენს, იგი უმზადებს საფრთხეს პარტიის ხაზს სოფლად, იმ ხაზს, რომელმაც უზრუნველჰყო სერიოზული პოლიტიკური მიღწევები, იგი ჰქმნის საფრთხეს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის დაშლისა, და მაშასადამე მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის საფრთხეს წარმოადგენს“.

ეს ციტატები მე იმისთვის მომყავს, რომ თქვენს მეხსიერებაში აღვადგინო პარტიის, მისი ყრილობების და კონფერენციების მიერ ლენინურ, რევოლიუციონურ-პროლეტარულ პოლიტიკისაგან გადახრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის ძირითადი, პრინციპიალური მომენტები. პარტიის ეს გარდაწყვეტილებანი არასდროს არ გაუქმებულან და სავსებით რჩებიან ძალაში ამჟამადაც. პარტიის პრინციპიალური უთანხმოება ეხლანდელ ოპოზიციასთან უმთავრესად პარტიის ამ გარდაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს და მით განისაზღვრება. მაგრამ როგორც წინედ, ისე ამჟამადაც, მათ თავისთავად არ შეუძლიათ საორგანიზაციო-პარტიულ დასკვნების გამოწვევა.

ეს პრინციპიალური უთანხმოება არ იყო უშუალო მიზეზი იმ ორგანიზაციულ ზომების მიღებისა, რომლებიც მიღებულ იქნა ამხ. ზინოვიევის, ლაშევიჩის და სხვების მიმართ.

მავნებელი, დამღუპველი იქნებოდა ასეთი ორგანიზაციულ ზემოქმედების ზომების მიღება იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც პარტიის შეხედულებებს არ იზიარებენ ცალკე პოლიტიკურ საკითხებში.

შინაპარტიული დემოკრატია და პარტიის მთლიანობა

პოლიტიკურ შეხედულებებში დასაშვებია სხვადასხვაგვარი ელფერი. ეს ბუნებრივია, ეს კანონიერია. თუ ამის გამო დევნას დაუწყებთ ამხანაგებს, მაშინ შინა-პარტიული დემოკრატია ცარიელი სიტყვები იქნებოდა. ორგანიზაციული ზემოქმედების ზომები აუცილებლად უნდა იქნან გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უთანხმოების ნიადაგზე ჩამოყალიბდებიან ჯგუფები და ფრაქციები, როცა ირღვევა პარტიის წესდება, როცა იქმნება განხეთქილების საფრთხე.

ვიმეორებ, პარტიას ამხ. ტროცკისთან უფრო მეტი უთანხმოება აქვს, ვიდრე ამხ. კამენევთან და ზინოვიევთან. ამას გარდა, მან სხვებზე უწინ წამოაყენა პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც უარჰყო პარტიამ. ამხ. ზინოვიევთან და კამენევთან ერთად პარტია გაცილებით უფრო დიდხანს მიდიოდა, ვიდრე ამხ. ტროცკისთან. მაგრამ ვინაიდან ამხ. ტროცკის არ გადაუდგამს ასეთი გამთიშავი ნაბიჯები, ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიას ამხ. ტროცკისთან გაცილებით მეტი უთანხმოება ჰქონდა, მის მიმართ არ იყო გამოყენებული ის ზომა, რომელიც უკანასკნელმა პლენუმმა მიიღო ამხ. ზინოვიევის მიმართ.

მე მგონია, რომ საკითხის მხოლოდ ასეთი დასმა არის სწორი პარტიული ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ყველაზე უფრო დიდი საფრთხე, რომელიც შეიძლება ელოდეს მუშათა კლასის დიქტატურას, ეს, რასაკვირველია, პარტიის განხეთქილებაა. მე თქვენ მოგიყვანეთ შლიაპნიკოვის საქმე იმისათვის, რომ მეჩვენებია, თუ როგორის ნერვიულობით, როგორის სიმტკიცით ლაპარაკობდა ლენინი ამ საქმეზე, რომელიც ლაშევიჩის, ბელენკის და სხ. საქმესთან შედარებით სულ უბრალო რამ წარმოადგენს.

ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის პლენუმი მეტად გაოცა როგორც იმან, რომ ამხ. ზინოვიევი არ იმიჯნებოდა ლაშევიჩების, ბელენკების, მიხაილოვებისა და სხ., ისე ყველა ამ ამხანაგების საქციელმა ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ეს ამხანაგები პარტიის უმაღლეს ორგანოების წინაშე თავს იჭერდენ ისე, როგორც პარტიისათვის უცხო პირები, იქცეოდენ ისე, როგორც სხვა პარტიის წევრები. ისინი უმალავდენ პარტიას თავის მოქმედებას, ისინი ფარავდენ იმ პირებს, რომლებიც მათთან ერთად ეწეოდენ გამთიშავ მუშაობას. ამ ამხანაგების მოქმედებამ ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომ. მთელ პლენუმს უჩვენა, თუ რა ძალიან შორს წავიდენ ზოგიერთი ამხანაგები თავის გამთიშავ მუშაობის წარმოებისას, პარტიის შიგნი ფრაქციის მოწყობის ცდის დროს. ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ბოლშევიკურ პარტიის წევრს პარტიისაგან დაემალათ რაიმე თავისი პარტიული მოღვაწეობიდან. ეხლა კონსპირაცია იქამდე მივიდა, რომ პარტიის წევრები თავიანთ საქციელს მალავენ ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმისგანაც კი. რომ გიჩვენოთ, თუ როგორი იყო ჯერ კიდევ ახლო ხანში პარტიული ცხოვრების ამგვარ მოვლენებისადმი დამოკიდებულება იმ პირების მხრივ, რომლებიც ეხლა ოპოზიციას მეთაურობენ, მე წაგიკითხავთ რამდენიმე ამონაწერს ამხ. ზინოვიევის სიტყვებიდან. 1924 წელს, 1 იანვარს ლენინგრადის კონფერენციაზე ამხ. ზინოვიევი ამბობდა:

„.... ხანდახან ამბობენ, რომ პარტიის ყოველგვარი უბედურებანი მე-10 ყრილობიდან დაიწყო. როგორ? განა სწორედ მე-10 ყრილობამ არა სცნო დისკუსიისა და მსჯელობის თავისუფლება პარტიაში? მაგრამ იმავე მე-10 ყრილობამ მიიღო ამხ. ლენინის წინადადება ფრაქციულობისა და ჯგუფობრიობის აკრძალვის შესახებ. აი, სწორედ ეს არ მოსწონს ვიღაცებს.

პარტიის მე-10 ყრილობის პოლიტიკა ლენინის პოლიტიკაა. აი, რატომაა საჭირო, ნათლად შევიგნოთ, რომ აქ არის თავდასხმა ბოლშევიკურ პოლიტიკურ საფუძვლებზე, ლენინიზმის საფუძვლებზე, იმ შედეგების საფუძვლებზე, რომლებიც მიღებულ იქნა მე-10 ყრილობის მიერ. და ამიტომ, ხაზტიკად უნდა იქნას განსხვავებული დისკუსიისა და მსჯელობის თავისუფლება ნებადართულ ფარგლებში და ფრაქციისა და ჯგუფობრიობის თავისუფლება. ეს სრულიად სხვადასხვაგვარი საქმეა.

პროლეტარული დიქტატურა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ერთი მთლიანი, მონოლიტური რამ. გაორებული დიქტატურა—ეს ლიტონი სიტყვაა, ეს აღარაა დიქტატურა, არამედ დიქტატურის დაღუპვა—აი, ამხანაგებო, რატომ მოვითხოვთ ასე დაჟინებით, რომ განსხვავებულ იქნას მსჯელობის თავისუფლება ჯგუფობრიობისა და ფრაქციულობის თავისუფლებისაგან“.

ამ ამონაწერში მოხსენებული რეზოლიუცია მიღებულ იქნა პარტიის მე-10 ყრილობის მიერ. ვლადიმერ ილიჩმა საკუთარი ხელით დასწერა ეს რეზოლიუცია და დასამტკიცებლად წარუდგინა პარტიის მე-10 ყრილობას; მე-13 ყრილობამ იგივე რეზოლიუცია კვლავ დაადასტურა. მე-10 ყრილობიდან მე-13 პარტკონფერენციამდე, მე10 ყრილობის გარდაწყვეტილების თანახმად, იგი პარტიის საიდუმლო საბუთად ითვლებოდა და გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ მე-13 კონფერენციის დადგენილებით. რეზოლიუციის ნამდვილი ტექსტი ასეთია:

„...იმისათვის, რომ განხორციელდეს მკაცრი დისციპლინა პარტიის შიგნი და მთელ საბჭოთა მუშაობაში, და მიღწეულ იქნას უდიდესი მთლიანობა, ყოველგვარი ფრაქციულობის აშორებით, ყრილობა აძლევს ცეკას რწმუნებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინა იქნა დარღვეული ან წარმოიშვა, აღორძინდა ფრაქციულობა, ცეკამ მიიღოს პარტიული დასჯის ყოველგვარი ზომები,—პარტიიდან გამორიცხვამდე, ცეკას წევრების მიმართ კი— კანდიდატად გადაყვანა, და უკიდურეს შემთხვევაში, პარტიიდან გამორიცხვა. ცეკას წევრების. ცეკას კანდიდატების და საკონტროლო კომისიის წევრების მიმართ ასეთი უკიდურესი ზომის გამოყენებისათვის უნდა იქნას მოწვეული ცეკას პლენუმი, რომელსაც უნდა დაესწრონ ცეკას კანდიდატები და ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრები.

თუ პარტიის ყველაზე უფრო პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ასეთი საერთო კრება 2/3 ხმით სცნობს აუცილებლად ცეკას წევრების კანდიდატებათ გადაყვანას ან პარტიიდან გამორიცხვას, მაშინ ასეთი ზომა დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხორციელებული“.

მოვიყვან კიდევ ერთ ამონაწერს ამხ. ზინოვიევის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა მოსკოვის აქტივის კრებაზე 1924 წლის 11 დეკემბერში, სადაც იგი უფრო მკაცრად ლაპარაკობდა ჯგუფობრიობის და ფრაქციულობის წინააღმდეგ.

„...ამიტომ ჩვენ გთხოვთ თქვენ, მოსკოვის ორგანიზაციას, მოვცეთ ჩვენ სწორი და ნათელი პასუხი. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც ლეგალიზაცია უნდა მივცეთ ფრაქციებს და ჯგუფებს, მაშინ სთქვით ეს პირდაპირ; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დრო არ დამდგარა და იგი საზოგადოთ არ დადგება არასდროს პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. (მხურვალე ტაში). იგი არ შეიძლება დადგეს იმიტომ, რომ ეს საკითხი დაკავშირებულია პრესის თავისუფლების საკითხთან, მოსახლეობის არაპროლეტარული ფენების პოლიტიკურ უფლებათა საკითხთან და სხ. ვისაც ეს არ ესმის, მას საერთოდ არაფერი ესმის. ეს დაკავშირებული არის გლეხობისადმი მთელი ჩვენი ურთიერთობის საკითხთან. ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ პარტიის გაორება, ვინაიდან თუ ჩვენ პარტიის ეს გაორება დაუშვით, ამით ჩვენ სახელმწიფოს გაორებას მოვახდენთ. სულ უმცირესი არევ-დარევა პარტიაში დაუყოვნებლივ იქონიებს გავლენას მთელ სახელმწიფოებრივ აპარატზე. განა თქვენ ეხლა ვერ ხედავთ იმას, რაც არის? ჩვენ ეხლა არა გვაქვს ისეთი კომისარიატი, სადაც ყველა მავთულებს არ აღელვებდენ, რომ ჩვენს პარტიაში ხდება რაღაც არაჩვეულებრივი და როგორ გათავდება იგი, ეს არავინ იცის. ამის შესახებ ლაპარაკობენ სპეცები, მუშაკთა სხვა ჯგუფები. პარტიის გაორება აუცილებლად იწვევს მთელი სახელმწიფო აპარატის გაორებას.

აი, რატომ არის ჯგუფობრიობის საკითხი ჩვენი პარტიის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი“...

აი, რას ამბობდა ზინოვიევი 1924 წლის დასასრულს და 1925 წლის დასაწყისში. სხვა ადგილას იგი ასე ამბობდა:

„.... ფრაქციულობა დაუყოვნებლივ უნდა შევმუსროთ, სანამ იგი ჯერ კიდევ ჩანასახშია, ვინაიდან ხანდახან დაგვიანებულია ფრაქციულობის ჩაკვლა, როცა იგი უკვე გაიზრდება, როგორც ეს ვნახეთ ზოგიერთ სხვა ქვეყნების მაგალითზე. აი, მაშინ შეიძლება მოხდეს განხეთქილება...“

ეს უკანასკნელი ფრაზა მე იმისათვის მოვიყვანე, რომ მეჩვენებია, რომ ზინოვიევის მიხედვით, ჩვენ ერთგვარის შეგვიანებით შევუტიეთ (სიცილი), და ეს ჰქონდათ შეგნებული ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ყველა წევრებს. ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმზე გამოსული ბევრი ამხანაგი ცეკას აბრალებდა ლმობიერებას, იმას, რომ იგი მეტად სუსტად და გაუბედავათ ებრძვის ოპოზიციას. ზოგიერთები მოითხოვდენ უფრო მკაცრი ზომების მიღებას ლაშევიჩისა, ბელენკისა და მთელ რიგ სხვა პირების მიმართ. მე ვფიქრობ, მე-14 ყრილობა კარგად მოიქცა, როცა იგი ყოველგვარი საშუალებით ეცადა, რომ მშვიდობიანი გზით მოეღო ბოლო უთანხმოებისათვის, როცა მან პარტიის ცეკაში შეიყვანა ოპოზიციის წარმომადგენლები; პარტიის ცეკაც კარგად მოიქცა, როცა მან ოპოზიციის წარმომადგენლები პოლიტბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა.

ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ოპოზიციისათვის პარტიასთან საქმიანი მუშაობის საშუალება მიგვეცა, რომ ოპოზიციისათვის მიგვეცა საშუალება საკუთარ შეხედულებათა ცეკას, პოლიტბიუროს და ცენტრ. საკონტრ. კომისიის შიგნი ლეგალური დაცვისა.

ყრილობის შემდეგ 6 ნახ. თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში პარტია, მისი ცეკა და ცენტრ. საკონტრ. კომისია ყოველგვარი ძალღონით სცდილობდენ, რომ ერთად მუშაობის ნიადაგზე უზრუნველეყო პარტიის მთლიანობა, მოქმედებათა ერთობა, უთანხმოებათა აღმოფხვრა. მაგრამ ოპოზიციამ არა თუ არ გამოიჩინა რაიმე ცდა ამ მიმართულებით, არამედ თავისი შეუწყვეტელი შეტევით ცეკას უმრავლესობის წინააღმდეგ, უთანხმოებათა გამწვავებისაკენ მისწრაფებით, მათი გართულებით, მათი მონახვით აქ, სადაც ისინი არ არიან, შექმნა ისეთი გარემოება, რომელმაც გააძნელა პარტიისა და სახელმწიფო მუშაობის სისტემატიური, გეგმა-შეზომილი ხელმძღვანელობა. პარტია თითქოს თავდაცვის მდგომარეობაში იყო. დადგა მომენტი, როცა მთლიანობის, პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნების ინტერესებისათვის პარტია თავდაცვიდან შეტევაზე უნდა გადავიდეს. ამხ. ლაშევიჩის, ბელენკის და სხ. გამთიშავი მუშაობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პარტიის მთლიანობას ამჟამად გაცილებით მეტი საფრთხე ელის, ვიდრე ოდესმე ელოდა. ეს მით უფრო საშიშია, რომ ჩვენთან აღარ არის ამხ. ლენინი. ვლადიმერ ილიჩის სიცოცხლეში პარტიამ კრიზისების მთელი რიგი გაიარა—ბრესტის ზავის პერიოდში, პროფკავშირის შესახებ კამათის ხანაში, მუშათა ოპოზიციასთან დაკავშირებულ კამათის პერიოდში და სხ. ეყრდნობოდა რა პარტიის უმრავლესობას, ამხ. ლენინი ისეთის ძალით უტევდა ოპოზიციას, რომ უკანასკნელი სწრაფად კარგავდა ყოველგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

პარტიული ცხოვრების უმთავრესი საკითხი, რომელიც დასმული იქნა ამხ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული კადრების შემჭიდროებით, პასუხისმგებლობის გაძლიერებით და პარტიის თვითეული წევრის ყურადღების გამახვილებით პარტიის 1 მილიონიან წევრთა მასის პარტდისციპლინისადმი, გაწეული იქნას ამხ. ლენინის მაგიერობა იმ განსაკუთრებული როლის შესასრულებლად, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე. მედგრად უნდა ვიბრძოლოთ პარტიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის; ისე უნდა აღვზარდოთ იგი, რომ მას ისეთივე გაბედულებით და სიმტკიცით როგორც ამხ. ლენინს, შეეძლო პარტიაში განხეთქილების შეტანის ყოველგვარი ცდის აშორება, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს ცდა. როგორც დავვანახვეს მე-13 პარტკონფერენციამ, მე-13 და მე-14 პარტყრილობებმა და ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელმა გაერთიანებულმა პლენუმმა,—ეხლა უკვე მიღწეულია პარტიული კადრების ისეთი შემჭიდროება, რომ პარტიას შეუძლია წესრიგისაკენ მოუწოდოს პარტიის ყოველ წევრს, რომლის მოღვაწეობა საფრთხეში ჩააყენებდა პარტიის მთლიანობას.

ორგანიზაციულ ზეგავლენის ის ზომები. რომელიც პარტიამ მიიღო ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სახით, წარმოადგენს სერიოზულ გაფრთხილებას ყველასათვის, როგორი ადგილიც არ უნდა ეჭიროს მას პარტიაში, ვინც მთელი თავისი მუშაობით საფრთხეში აყენებს პარტიის მთლიანობას, ჩვენი პარტია—საკავშირო კომუნისტური პარტია—წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის პარტიას, რომელიც ამ დიქტატურას ახორციელებს ბურჟუაზიულ გარემოცვის და ქვეყნის კლასიურ ძალთა ბრძოლის არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში. პროლეტარიატი ხომ თავისი რიცხვით დღემდის წარმოადგენს უმცირესობას ჩვენს ქვეყანაში. საკავშირო კომპარტია შესძლებს თავის ისტორიულ ამოცანის განხორციელებას სოციალისტურ საზოგადოების შენებას მხოლოდ პარტიულ რიგების ურყევ და მტკიცე მთლიანობის პირობებში. თუ ყოველი ის პირი, რომელმაც დაარღვია პარტიის მუშური, პროლეტარული დისციპლინა გაფიცვის ჩატარების დროს, არის შტრეიკბრეხერი, მაშინ ყოველი ის პირიც, ვინც არღვევს პროლეტარულ დიქტატურის პარტიის დისციპლინას, შტრეიკბრეხერზე უარესია. თუ იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, პარტიას არ ეყო ძალა და გამბედაობა თავის დროზე შეაჩეროს თვითეული ხელმძღვანელის გამთიშავი ნაბიჯი, იქნება ეს ზინოვიევი, იქნება ეს რიკოვი, იქნება ეს ტროცკი, თუ სხვა ვინმე, ეს იქნება იმის მომასწავებელი, რომ საკავშირო კომპარტია ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ზოგიერთი ამხანაგები საკითხს აყენებენ ასე: განა უკეთესი არ იქნებოდა პარტიისათვის, რომ პარტიის უმრავლესობის და ოპოზიციის ხელმძღვანელებს ურთიერთისადმი დათმობისა და კომპრომისის გზით მიეღწიათ შეთანხმებისათვის.

საკითხის ასე დაყენება არ არის სწორი. იგი გამომდინარეობს პარტიის ისეთი გაგებიდან, თითქოს უკანასკნელი წარმოადგენდეს სხვადასხვა მიმდინარეობათა, ფრაქციების, ჯგუფების ფედერაციას ან კავშირს, და თითქოს ამ სხვადასხვა ჯგუფების ხელმძღვანელები მიდიოდენ პოლიტიკურ კომპრომისებზე შეთანხმების მისაღწევად. ის, ვინც ასე ფიქრობს, უცქერის პარტიას და ფრაქციას, როგორც ორ თანასწორუფლებიან მხარეს, ხოლო ცენტრალურ კომიტეტს—როგორც კოალიციონურ ორგანოს, ერთგვარ კოალიციონურ პარტიულ სამინისტროს, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა დამოუკიდებელ პლატფორმის მქონე ფრაქციების და ჯგუფების წარმომადგენლები. ასეთი თვალსაზრისის წინასწარ მოსაზრებას წარმოადგენს უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპის უარყოფა, ე. ი. განხეთქილების აუცილებლობა ან არსებობა. ერთად-ერთ სწორ, ერთადერთ პროლეტარულ და დემოკრატიულ მეთოდს პროლეტარულ კომუნისტურ პარტიის ნებისყოფის გამოსახატავათ წარმოადგენს პარტიის უმრავლესობის გარდაწყვეტილება. ყოველი სხვა თვალსაზრისი, ფრაქციების და ჯგუფების თავისუფლების დაცვა, არის ინტელიგენტური-ლიბერალური თვალსაზრისი პარტიაზე და იგი უარყოფს ლენინურ პარტიის შენების ძირითად პრინციპებს, ბოლშევიზმის მთელ ისტორიას და ორგანიზაციულ ტრადიციებს.

ჩვენი პარტია არის არა მარტო მმართველი პარტია, არამედ ერთადერთი ლეგალური პარტია უდიდეს ქვეყანაში.

მის სხვადასხვა წევრთა საშუალებით და პარტიის შიგნივ არსებულ პოლიტიკურ აზროვნების სხვადასხვა მიმართულებათა საშუალებით არ შეიძლება არ გამოაშკარავდეს ის ბრძოლა, რომელიც პარტიის გარეშე სწარმოებს, არ შეიძლება თავი არ იჩინოს მოსახლეობის არაპროლეტარულ ჯგუფების კლასიურმა ინტერესებმა და ამიტომ პარტიის შიგნივ ფრაქციების თავისუფალი ბრძოლა არსებითად იქნებოდა ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიების ბრძოლის სუროგატი. კიდევ მეტი, პარტიის შიგნივ ფრაქციების ბრძოლა არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი, მიმართული სხვადასხვა პარტიების დაარსებისა და ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის შემოღებისაკენ. პარტიის შიგნივ არსებული აზროვნების სხვადასხვა მიმართულებანი ბოლოს და ბოლოს შეეცდებიან ჩამოყალიბდენ ფრაქციათ საკუთარი დისციპლინით, საკუთარი წარმომადგენლობით პარტიის ცენტრალურ ორგანოებში და ამგვარად გადააქციონ იგი კოალიციის ორგანოებათ. ამიტომ ახალი ოპოზიციის დაცვა „ფრაქციების და ჯგუფების თავისუფლების“ ლოზუნგით წარმოადგენს იმ საკენს, იმ ლოზუნგს, რომელიც აერთიანებს მის გარშემო ყველა ოპოზიციონურ ელემენტებს.

ლაშევიჩის და სხვების საქმე წარმოადგენს ცხოველ ინტერესს იმიტომ, რომ ამხანაგების ამ ჯგუფმა გადასდგა ყველაზე უფრო გაბედული ნაბიჯები ფრაქციის ორგანიზაციისაკენ.

ეხლა ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ პარტიის უმრავლესობაც გაერთიანებულია ფრაქციაში, რომ უმრავლესობის ეს ფრაქცია არის ყველაზე უფრო საშიშარი და საზიანო პარტიის მთლიანობისათვის. ფრაქციების და ჯგუფების თავისუფლების დაცვას პოლიტიკურად ამართლებენ იმით, რომ ხედავენ განსხვავებას პოლიტიკურ შეხედულებასა და პოლიტიკურ პლატფორმაში პარტიის ერთი ნაწილის და მთელი პარტიის შორის. პარტიის უმრავლესობას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ისეთი პოლიტიკური შეხედულებანი და პოლიტიკური პლატფორმა რომელიც განასხვავებს მას მთელი პარტიისაგან, რადგან ეს უმრავლესობა განსაზღვრავს პარტიის პლატფორმას და პოლიტიკურ მოღვაწეობას, ამიტომ იმისი არგუმენტაცია, რომ პარტიის უმრავლესობა გაერთიანებულია სპეციალურ ფრაქციაში, რომელიც ყველაზე უფრო საშიში და საზიანოა, მოკლებულია პოლიტიკურ აზრს. ეს, რა თქმა უნდა, არ უარყოფს იმას, რომ შესაძლებელია საერთო პარტიული ხაზის მომხრეებმა გამართონ თათბირები სხვადასხვა საკითხებზე, მეტადრე შინაპარტიული ბრძოლის პერიოდში. ასეთ შემთხვევებს არა ერთხელ ჰქონდა ადგილი ვლადიმერ ილიჩის სიცოცხლეში. მაგალითად პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ ტროცკისთან წარმოებულ დისკუსიის პერიოდში ვლადიმერ ილიჩმა არა მარტო გამოუშვა პარტიის 11 წევრის მიერ ხელმოწერილი პლატფორმა, არამედ თავს უყრიდა თავის მომხრეებს ოპოზიციასთან საბრძოლველად.

რეზოლიუცია ლაშევიჩის და სხ. შესახებ გამოქვეყნებულია პრესაში. ცეკამ ჩაიდინა ეს იმიტომ, რომ საქმე ისე შორს წავიდა, რომ საჭიროა, რათა პარტიის ყველა წევრებმა, როგორც ერთმა კაცმა, დაიცვან პარტიის მთლიანობა. ამ ყველაზე უფრო არსებით და გადამწყვეტ საკითხის გარშემო,—პარტიის მთლიანობის საკითხის გარშემო,—უნდა დაირაზმონ ყველა პარტიული მასები. ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა წესრიგისაკენ მოუწოდა პარტიის გამოჩენილ წევრებს წესდების და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის. მთელმა პარტიულმა მასამ მხარი უნდა დაუჭიროს გაერთიანებულ პლენუმს ისეთი ერთსულოვნობით, რომ აღარავის აზრად აღარ მოუვიდეს პარტიის მთლიანობის დარღვევა. (ტაში).

ამხანაგებო! მე წინასწარ ვგრძნობ, რომ შემეკითხებიან, თუ რა მნიშვნელობა ექნება კომუნისტური ინტერნაციონალისათვის ამხ. ზინოვიევის მოხსნას პოლიტბიუროს წევრის თანამდებობიდან. კომუნისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ირჩევს კომუნისტურ ინტერნაციონალის საერთაშორისო ყრილობა. ამიტომ საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს არ შეუძლია არც დანიშნოს კომინტერნის თავმჯდომარე, არც მოხსნას ის.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის სხდომებს დაესწრო კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი და უცხოეთის კომუნისტურ პარტიების მთელი რიგი გამოჩენილი წევრები. მათ რიცხვში იყვენ ამხ. მელლე, ერკოლი, შმერალი, ნეიმანი და სხვ. ცეკას და ცენტ საკონტროლო კომისიის პლენუმ განაცხადეს, რომ ისინი სავსები რობიან ჩვენი პარტიის უმრავლ და თავიანთი რევოლიუციონური დისის წინაშე მოვალეთ სთვლიანთ დახმარება გაუწიონ ჩვენს პარტიას ზიციასთან ბრძოლაში, როგორც ჭოთა კავშირის შიგნივ, ისე საზ გარეთ. (ტაში).

სანამ დავასრულებდე ლაპარაკს პარტიულ მდგომარეობის შესახ გავსცემ პასუხს შეკითხვაზე, რომ ამგვარადაა ჩამოყალიბებული: ხმება თუ არა დემოკრატიზმს, ზინ ვის მოხსნა პოლიტბიუროდან და ხილული იყო თუ არა ეს საკითხ ურ კრებებზე“? უწინარეს ყოვ ლიტბიუროს ირჩევს არა ყრილო მედ პარტიის ცეკა. ყრილობა მხოლოდ ცეკას და ცენტრალურ ტროლო კომისიას. ცენტრალური ტეტი თავის წრიდან ირჩევს პო კურ და საორგანიზაციო ბიურ სამდივნოს. დემოკრატიზმი მდგო ობს არა მარტო იმაში, რომ პარტიის ვრები თავისუფლად ირჩევენ პარტ ორგანოებს, არამედ იმაშიაც, რომ ის ხელახლა ირჩევენ და სცვლიან მის მადგენლობას. ცეკას და ცენტრალ საკონტროლო კომისიის პლენუმმა ხმ ბის დიდი უმრავლესობით მოხსნა ზინ ვიევი პოლიტბიუროდან. ამბობენ, რო „ეს არ არის დემოკრატიაო“.

საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ

გადავდივარ მეორე დიდ საკითხზე, რომელიც ძალიან დეტალურად ირჩეოდა პლენუმზე,—საბჭოების ხელახალ არჩევნების საკითხზე.

უმთავრესი კამათი გაიმართა საკითხზე იმის შესახებ, გამოიწვია თუ არა საბჭოების ხელარჩევამ მუშათა კლასის გავლენის შესუსტება და საბჭოთა სისტემის გადაქანება ბურჟუაზიის მხარესაკენ, თუ პირიქით, მან განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურა. მე არ მოვიყვან ციფრებს ხელახალი არჩევნების შედეგების შესახებ: ეს ციფრები პრესაშია გამოქვეყნებული და ყველას შეუძლია გაეცნოს მას. საერთოთ აღმოჩნდა, რომ მუშათა კლასის აქტიობა ამ ხელახალ არჩევნებში იყო უფრო მეტი, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენ ფენებისა. მაგრამ, თუ შევადარებთ სოციალურ ჯგუფების სხვადასხვა ფენების აქტივობის ზრდის ტემპს, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობის ზოგიერთმა ფენებმა აქტივობის ზრდის მხრივ გამოიჩინეს უფრო ჩქარი ტემპი, ვიდრე მუშათა კლასმა. ეს დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს.

მრავალ წლების შემდეგ ეს პირველიდაა, როდესაც საბჭოების ხელახალი არჩევნები მიმდინარეობდა ფართო და აშკარა საარჩევნო კამპანიის, სრული სამოქალაქო მშვიდობიანობის და კავშირის მოსახლეობის ყველა ფენების აქტივობის ზრდის პირობებში. სოფლად ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინა საშუალო შეძლების გლეხობამ. სოფლის ღარიბი გლეხობა დღემდის თავისი დარაზმულობით და აქტივობით ჩამორჩება გლეხური მოსახლეობის სხვა ფენებს. მაგრამ, თუ შევადარებთ სოფლის ღარიბ გლეხობის დარაზმულობას და აქტივობას უკანასკნელ არჩევნებში იმასთან, რაც იყო წინად, საჭიროა აღინიშნოს, რომ მან თავისი თვითმოქმედებით პირველად დაიპყრო დიდი პოზიციები გლეხურ საზოგადოებრიობაში. საჭიროა, რათა პარტიამ მომავალში კიდევ მეტის ენერგიით, ვიდრე დღემდე, განაგრძოს თავისი მუშაობა სოფლის ღარიბ მოსახლეობას შორის.

თუ გაუკეთებთ ჯამს პარტიულ ხელმძღვანელობას ხელახალ არჩევნების კამპანიის დროს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჩადენილი იყო არსებითი შეცდომები პარტიული ორგანიზაციების მიერ; იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი უჯრედები იჩენდენ უმოქმედობას, არ აყენებდენ თავიანთ კანდიდატებს, არ გამოდიოდენ თავიანთი პლატფორმით. ერთი სიტყვით, იქცეოდენ ისე, როგორც ერთ დროს იქცეოდენ „მაჩაჩალები“ მუშათა მოძრაობაში. იყო შემთხვევები, როდესაც არღვევდენ, ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, სცდილობდენ დაერღვიათ კონსტიტუცია ხელახალ არჩევნების ინსტრუქციებში, ვინაიდან აფართოებდენ მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენების საარჩევნო უფლებებს. პარტიის ცეკას სამდივნოს ინიციატივით ეს ინსტრუქციები გადასინჯულ იქნენ.

სულ დიდი ხანი არ გასულა, რაც სოფლად გამეფებული იყო დანიშვნითი წესი, ადმინისტრატიული თვითნებობა, ბრძანება.

მართალი იყო ერთ-ერთი ორატორი, მგონი ჩრდილოეთ-კავკასიიდან, რომელმაც სთქვა, რომ წინად საბჭოთა ხელისუფლებას თემებში მეთაურობდენ კომუნისტები, რომელნიც ხშირად ვერ სარგებლობდენ გლეხებს შორის საკმარისი ავტორიტეტით. ეხლა ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების დაბალი საფეხურის ორგანოები, რომლებიც სარგებლობენ ფართო ნდობით გლეხების მხრივ და შესდგებიან ხშირად უპარტიო გლეხებისაგან. უკანასკნელნი მცირედის გამოკლებით არიან საბჭოთა წესწყობილების გულწრფელი დამცველნი და პარტიის თანამგრძნობნი.

მიუხედავად მთელ რიგ შეცდომებისა, უკანასკნელ არჩევნებში, ჩვენ მივაღწიეთ პირველ დიდ წარმატებებს იმ მხრივ, რომ გლეხობის ძირითადი მასა—საშუალო შეძლების გლეხობა—ჩამოშორდა სოფლის კულაკურ ფენებს. გლეხთა აქტივის შექმნამ, ღარიბი გლეხობის დარაზმვამ საშუალება მისცა პარტიას აშკარა პოლიტიკურ კამპანიაში დაეწყო ბრძოლა მოსახლეობის კულაკურ ფენების წინააღმდეგ ახალი მეთოდების, პოლიტიკური შეჯიბრების საშუალებით. დღემდის ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ სწარმოებდა უმთავრესად ბრძანებლობითი, ადმინისტრატიული მეთოდებით, რომლის მიზანი იყო სოფლის კულაკობის უშუალო მოსპობა. ისეთ კამპანიას, როგორიც პარტიამ ამჟამად ჩაატარა, არასოდეს ადგილი არ ჰქონია. პლენუმი სწორად მოიქცა, როდესაც მან ხაზი გაუსვა მთელ რიგ შეცდომებს, რომელიც ჩაიდინეს, როგორც პარტიულმა, ისე საბჭოთა ორგანიზაციებმა. აღინიშნა, რომ საერთოთ ხელახალი არჩევნების შედეგებმა დაამტკიცა უდიდესი წარმატებანი ჩვენი პარტიის მიერ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელობის დარგში, რომ ამ ხელახალმა არჩევნებმა დაამტკიცა პროლეტარული დიქტატურა და მუშათა და გლეხთა კავშირი.

მუშათა და პარტიულ კრებებზე მე არა ერთხელ აღმინიშნავს ხაზგასმით, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასების აქტივობის ზრდა წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო აღორძინების და სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების უდიდეს პოლიტიკურ ფაქტორს. უკანასკნელმა საარჩევნო კამპანიამ ხელახლა დაამტკიცა მოსახლეობის ყველა ფენების აქტივობის ზრდა, მაგრამ ამავე დროს დაგვანახვა, რომ ეს ზრდა მუშათა კლასის რიგებში რამოდენიმედ განელდა მოსახლეობის სხვა ფენების აქტივობის ზრდასთან შედარებით. ამის ერთგვარი ახსნა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ წინად მოსახლეობის სხვა ფენების აქტივობა სულ უმნიშვნელო იყო, ეს შეეხება არა მარტო გლეხობას, არამედ მოსახლეობის იმ ფენებსაც, როგორც მაგ. ქალებს ქალაქებში. თუ მივიღებთ მხედველობაში მათი აქტივობის უმნიშვნელო პროცენტს (მაგალითად მათი მონაწილეობა წინანდელ არჩევნებში უდრიდა 10-20 %-ს), მათ სულ ადვილად შეუძლიათ გააორკეცონ თავიანთი აქტივობა. მუშათა კლასმა კი, იმ უდიდის ყურადღებასთან ერთად, რომელსაც ის აქცევს სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებში მონაწილეობას, თავისი აქტივობის გასაძლიერებლად საარჩევნო კამპანიაში უნდა მიიზიდოს თავისი უკანასკნელი კადრები. მაგრამ მიუხედავად ამისა მუშათა კლასის აქტივობის შესუსტებამ უნდა აიძულოს პარტია გაორკეცებული ყურადღებით მოეპყრას მუშათა დემოკრატიის გამოცოცხლების საქმეს. მუშათა კლასს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ხელმძღვანელობა მოსახლეობის სხვა ფენების მიმართ მხოლოდ იმ პირობებში, თუ მისი პოლიტიკური აქტივობის ზრდა კი არ ჩამორჩება, არამედ გაასწრობს სხვა ფენების თვითმოქმედების განვითარებას.

ვღებულობთ თუ არა ჩვენ ყოველდღიურ მუშაობაში საჭირო ზომებს ამ თვითმოქმედების განსავითარებლად, მუშათა დემოკრატიის გასაცხოველებლად.

მე ვფიქრობ, რომ არა. დღემდის იყო შემთხვევები, როდესაც პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ამა თუ იმ მოქმედების საქმიან და ხშირად სამართლიან კრიტიკას ზოგიერთი ამხანაგები, ზოგჯერ ადმინისტრაციის და პარტიულ ორგანოების შემადგენლობიდან, მტრულად ხვდებოდენ. მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი შემთხვევები ხშირი მოვლენა იყოს. მაგრამ, თუ ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს ათასში ერთხელ, ესეც სრულიად არანორმალურია. მას ვინც კრიტიკას გაურბის, ვისაც ეშინია კრიტიკის, სრულიად არ შეუთვისებია პარტიის პოლიტიკა; მისთვის შინაპარტიული დემოკრატია, მშრომელთა ფართო მასების თვითმოქმედების განვითარება—ცარიელი სიტყვებია. მას არ ესმის ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანების სირთულე და სიდიადე და აგრეთვე არ ესმის ის, რომ ამ ამოცანების განხორციელება სრულიად შეუძლებელია მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობის გარეშე.

გარდა ამ ორი უმთავრესი საკითხისა (ლაშევიჩის საქმის და საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ) ცეკას პლენუმზე განხილული იყო კიდევ სამი საკითხი: საბინაო, პურის დასამზადებელი კამპანიის და ინგლისის მუშათა გაფიცვის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ საბინაო აღმშენებლობას და პურის დასამზადებელ კამპანიას ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე მიქცეული ჰქონდა ნაკლები ყურადღება, ვიდრე ეს საჭირო იყო. ეს აიხსნება ამით, რომ შინაპარტიული ბრძოლა, ოპოზიციის ბრძოლა უმრავლესობის წინააღმდეგ აფერხებს ჩვენს დადებით შემოქმედებით მუშაობას. საბჭოების ხელ-ახალ არჩევნების საკითხს, ლაშევიჩის საქმეს და ინგლისის მუშათა გაფიცვის საკითხს მოუნდა ბევრი სხდომები, კამათი მეტად გაცხარებული იყო; მხურვალე მონაწილეობას იღებდა ოპოზიცია და მთელი პლენუმი. საბინაო აღმშენებლობის და პურის დამზადების საკითხი საკმარისად არ იყო გაშუქებული და განხილული. ამ ცალკე მაგალითით შეიძლება ვიქონიოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მოუვა ჩვენს დადებით მუშაობას, სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, თუ ყველა პარტიული ორგანიზაციები გამართავენ ფართო დისკუსიას ოპოზიციასთან უთანხმოების შესახებ. პარტიის მიერ სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის რთული მუშაობის ხელმძღვანელობის ასეთი პირობებში ჩვენ გაგვიჭირდება იმ წარმოებათა მიღწევა სოციალიზმის მშენებლობაში, რის მიღწევაც შეიძლება ქვეყნის ობიექტურ პირობების მიხედვით.

ხმაროთ ინგლისელ მემაღაროელებს

საქართველოს ყველა მუშა ქალებს

ძვირფასო ამხანაგებო, საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშა-ქალებო!

უკვე მეოთხე თვეა გრძელდება ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვა. მიუხედავად მსოფლიო მძარცველების შემოტევისა, მიუხედავად გაჭირვებისა და სიმშილისა, ინგლისის სამთამადნო მუშებმა მტკიცედ გადასწყვიტეს, რომ დაუღალავად ებრძოლონ თავის კლასიურ მტრებს და არაფერი არ დაუთმონ მათ. ამდენი ხნის განმავლობაში ბრძოლის წარმოება მეტად სამძიმოა მათთვის. ინგლისისა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებს იმედი აქვთ, რომ ინგლისის გაფიცული სამთამადნო მუშები ამ ბრძოლაში დამარცხდებიან და მათ საშუალება მიეცემათ შეტევაზე გადავიდნენ მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით ჩაახშონ ის მოთხოვნილებები, რომლებსაც მუშები ურდგენენ. ინგლისის მუშათა ზოგიერთი შემთანხმებელი ბელადები და მათთან ერთად გენსაბჭოს ბელადები ყოველის ძალღონით სცდილობენ, რომ შესწყვიტონ გაფიცვა მუშებისათვის დამამცირებელ პირობებში და ამიტომ ყოველმხრივ აბრკოლებენ გაფიცულთა აქტიურობას. ინგლისის პროფმოძრაობის ბელადთა შემთანხმებელი პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერს ყვითელი ინტერნაციონალი, კიდევ უფრო ამაგრებს კაპიტალისტების უიმისოდაც მაგარ ფრონტს. ამიტომ ინგლისის სამთამადნო მუშათა ბრძოლა მეტად მძიმე პირობებში სწარმოებს და შეიძლება იგი აუტანელი გახდეს, თუ მებრძოლებს არ დაეხმარებიან სხვა ქვეყნის მუშები.

ინგლისის სამთამადნო მუშებს ყველაზე უფრო ეხმარებიან საბჭოთა კავშირის მუშები და მათ შორის საქართველოს მუშები. მაგრამ რადგან გაფიცვა ძალიან გაგრძელდა, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ეს დახმარება.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოსთან არსებული მუშა-ქალთა კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ყველა მუშა-ქალებს, რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და მომავალშიაც ბოლომდე ხელი შეუწყონ ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშებს.

ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს მუშა-ქალებო! თქვენ იცით, რომ ინგლისის მუშათა გარდა შიმშილს და გაჭირვებას განიცდიან აგრეთვე მათი ცოლები, დედები და შვილები. თქვენ, მუშა-ქალებო, დედებო და ცოლებო, რომლებიც მეტად გრძნობიერად განიცდით თქვენი ოჯახის გაჭირვებას, ასევე გრძნობიერად უნდა განიცადოთ ინგლისის სამთამადნო მუშათა ოჯახის წევრების შიმშილი და უკიდურესი მდგომარეობა.

ჩვენი კლასიური გრძნობა გვიკარნახებს ხელი შეუშალოთ ინგლისის ბურჟუაზიას, რომ არ დაახრჩოს სამთამადნო მუშები და არ აიძულოს აუტანელი მუშაობის პირობების მიღება.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მუშა-ქალები, საბჭოთა კავშირის მუშა-ქალებთან ერთად შესძლებენ შედარებით შეამსუბუქონ ცხოვრების ის აუტანელი პირობები, რომლებსაც განიცდიან ინგლისში გაფიცულ მუშათა ოჯახის წევრები კაპიტალის შემოტევის გამო.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოსთან არსებული მუშა-ქალთა კომიტეტი იმედოვნებს, რომ საქართველოს მუშა-ქალები პირველ რიგებში იდგებიან და არა სიტყვით, არამედ საქმით გაუწევენ დახმარებას სამთამადნო მუშებს და მათ ოჯახებს.

ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშათა ოჯახებისათვის ნივთიერი დახმარების აღმომჩენი კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. ხუტულაშვილი.
წევრები: მაისურაძე,
მაკარევიჩი,
ძიძიგური.
მდივანი ქართველიშვილი.

წითელ ჯარში

უვადო შვებულებისათვის მზადება

1-ლ და მე-2-ე ქართულ დივიზიების ნაწილები შეუდგნენ მზადებას წითელარმიელთა უვადო შვებულებაში დათხოვნისათვის.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაშვებული იქნება სახლში მრავალი ასეული წითელარმიელი, რომელთაც დაჰყვეს ყაზარმაში ორი წელი.

მიღებულია ზომები, რომ წითელარმიელი დაბრუნდეს სახლში ისეთი ცოდნით, რომელიც გამოადგება მას სოფლად მუშაობისათვის.

უვადო შვებულებაში წამსვლელთ მიეცემათ სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა. გამოცემულ იქნება წიგნი „სახსოვრად უვადო შვებულებაში მიმავალს", რომელშიც მოთავსებული იქნება სოფლად მუშაობისათვის სახელმძღვანელო მასალა.

ყაზარმაში ჩამოყალიბებულ იქნება: ქოხ-სამკითხველოს და სამხედრო კუთხის გამგეების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატორების, მილიციონერთა და საბჭოთა მუშაკთა მოსამზადებელი კურსები, რომლებთა მიზანია საბჭოთა ძირითადი აპარატის მუშაკების მომზადება.

ვინაიდან ყველა ზემონაჩვენები მუშაობა მოითხოვს დიდ ხარჯებს, ქართული დივიზიების პოლიტგანყოფილებები დაუკავშირდნენ პოლიტგანყოფილების მთავარ მმართველობას და ადგილობრივ პოლიტგანებს. ეს უკანასკნელები დაეხმარებიან ჯარს ლექტორთა და სახელმძღვანელო მასალის მიწოდებით.

აღძრულია შუამდგომლობა პარტიის ცენტრ. კომიტეტის წინაშე, რათა მან მიიღოს ზომები უვადო შვებულებაში მიმავალთა წიგნებით უზრუნველსაყოფად.

ი—ა.

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

გამოცხადება გაწვევაზე

გაწვევის შესახებ განცხადებები გამოკრული იქნება ქალაქებში და სოფლებში—ქუჩებზე, სახელმწიფო დაწესებულებებში 1 თვით ადრე გაწვევის დაწყებამდე.

ამას გარდა, განცხადებები წაკითხულ იქნება სოფლის კრებებზე და ეცნობა გასაწვევ მოქალაქეებს კარზე ჩამოვლით, ხოლო ქალაქებში—ბინებზე.

ამიტომ არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლიან თავი იმართლოს და დაგვიანებით გამოცხადების მიზეზად დაასახელოს ის, რომ მას არ გაუგია გაწვევა.

ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, რომლებშიაც მუშაობენ გასაწვევი ახალგაზრდები, ვალდებულნი არიან დროზე განთავისუფლონ მუშაობისაგან გასაწვევნი, გაუსწორონ ხელფასი მუშაობის შეწყვეტის დღიდან და მისცენ მათ გამოსავალი დახმარება 2 კვირის საშუალო ხელფასის რაოდენობით.

უმუშევრები, რომლებიც ღებულობენ დახმარებას სალაროს საშუალებით, გაწვევის დროს ღებულობენ ერთდროულად ნახევარი თვის დახმარებას იმ რაოდენობით, რამდენსაც ღებულობენ ისინი უმუშევრობის დროს.

სროლა კარგათ შეითვისეს

(მე-6-ე ლეგიონი).

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ შეითვისეს ცვალებადელებმა სასროლო საქმე, გაიმართა შეჯიბრი საუკეთესო მსროლელზე.

კარგი სროლისათვის ნიშანი მიიღო 26 ცვალებადელმა. მათ შორის აღმოჩნდა ორი საუკეთესო მსროლელი—თათრები, რომელთაც მიეცათ დამატებითი ჯილდო.

შეჯიბრის შემდეგ გაიმართა კრება, რომელზედაც ლეგიონის თავმა გააკეთა მოხსენება მოსახლეობის გასამხედროებაზე და ცვალებადელთა მუშაობაზე სოფლად.

ლ.

ნაყოფიერად მუშაობით

(მე-2-ე ქართ. ლეგიონი).

ორი თვეა, რაც ჩვენი ლეგიონი გავიდა ბანაკად. საზაფხულო მუშაობის დროს გაღრმავებული იქნა ზამთარში მიღებული ცოდნა. წითელარმიელნი გაიწვრთნენ სამხედრო საქმეში და ჩინებულად შეითვისეს ბრძოლის წესები.

ჩავატარეთ ბანაკად რამოდენიმე მცირე მანევრი, რომლის დროსაც გვიხდებოდა სოფლად ყოფნა, თან დაგვდევდა მოძრავი კლუბი, რომელიც აწარმოებდა სკოლის გარეშე მუშაობას. გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთები, გლეხებისთვის გაიმართა წარმოდგენა.

ერთ მანევრის დროს დავბანაკდით სოფ. №-ში. ჩავატარეთ საუბრები გლეხობასთან, ვიბაასეთ სოფლის მდგომარეობაზე, გლეხთა საქმიანობაზე, ბაღ-ბოსტნების მოვლაზე.

გლეხობა ბლომად დაესწრო საუბრებს და გულმოდგინეთ გვისმენდნენ ლაპარაკს.

კ—ი.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ერევნის ორგანიზაციის საქალაქო კრების რეზოლუცია

ერევანი, 6 აგვისტო. სომხეთის კომპარტიის ერევნის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრებაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტ. საკონტ. კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნაზარეტიანი.

მიღებულ რეზოლუციაში ერევნის საერთო-საქალაქო კრება სავსებით და მთლიანად იწონებს პლენუმის გარდაწყვეტილებებს.

რეზოლუციაში ნათქვამია: კრებამ ყურადღებით მოისმინა ცნობა ახალი ოპოზიციის შესახებ, რომელსაც მეთაურობენ ამხ. ზინოვიევი და კამენევი, ტროცკისთან ერთად. განსაკუთრებულის აღშფოთებით მოისმინა კრებამ ოპოზიციონერების ჯგუფის ანტი-პარტიული გამოსვლის შესახებ, რომელსაც მეთაურობდა ლაშევიჩი და რომელიც სცდილობდა ბოლშევიკ. ლენინის პარტიის შიგნი არალეგალურ ფრაქციის შექმნის. კრება აღნიშნავს ახალი ოპოზიციის უპრინციპობას და იდეურ-პოლიტიკურ მერყეობას, რომელიც იქამდეც კი მივიდა, რომ ბლოკი შეკრა ლენინის მიერ გაკიცხულ მიმდინარეობასთან. კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის წარმომადგენელთა უკანასკნელი გამოსვლა მემარცხენე ფრაზების ნიღაბით, სრული კაპიტულიაციას წარმოადგენს ტროცკიზმის წინაშე. იდეური და ორგანიზაციული მხრით ოპოზიციონური ბლოკი, რომელსაც მეთაურობს ზინოვიევი და ტროცკი, ადგება კომინტერნისა და პარტიის შიგნი ყველა იმ უკიდურეს მემარცხენე და უკიდურეს მემარჯვენე ჯგუფებთან შეთანხმების გზას, რომლებსაც არა ერთხელ დასდო მსჯავრი კონგრესებმა და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პლენუმებმა. კრება იწონებს და მხარს უჭერს ცეკას უმრავლესობას ლენინურ პოზიციას ოპოზიციის ყოველგვარი გამოსვლების წინააღმდეგ, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უმზადებს პარტიას და კომინტერნის მთლიანობას, ძირს უთხრის პროლეტარულ დიქტატურას, მუშათა და გლეხთა კავშირის და პროლეტარულ ფრონტის მთლიანობას; კრება სავსებით სწორად სთვლის იმ ზომებს, რომელიც ცეკამ და ცენტ. საკონტ. კომისიამ მიიღო ოპოზიციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ჯგუფობრივობის და არალეგალურ ფრაქციული მუშაობის მოსპობის მიზნით. აღნიშნავს რა პარტიის მიღწევებს საბჭოების, პროფკავშირების და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მუშაობის განცხოველებას კრება ხაზს უსვამს სწორ ხელმძღვანელობას და მას, რომ ბიუროკრატიზმი ხელმძღვანელ ორგანოებში შეიძლება იქნას აღმოფხვრილი მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის გაღრმავებით, რომელიც უნდა განხორციელდეს ფართო მასების მონაწილეობის მიღებით პარტიული პოლიტიკის გადაწყვეტასა და განხილვაში; მაგრამ ამასთანავე შენარჩუნებულ უნდა იქნას პარტიის ფოლადისებური და შეურყეველი მთლიანობა, ბოლშევიზმს პრინციპები და გადაჭრილი ბრძოლა უნდა სწარმოებდეს პარტიის შიგნი ანტილენინური ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ.

ყულისკარის კომუჯრედი

(ზუგდიდის მაზრა)

ყულისკარის კომუჯრედში მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სისტემატიურად ეწყობა კრებები.

კომუჯრედს აქვს შედგენილი სამუშაო გეგმა. უჯრედი სათანადო ყურადღებას აქცევს ა. ლ. კ. კ-ს თემკომის მუშაობას.

თემსაბჭოზე ხელმძღვანელობა სწარმოებს კომფრაქციის საშუალებით. მუშაობა ქალთა შორის დამაკმაყოფილებელია. მოისუსტებს მუშაობა ნორჩ პიონერთა კოლექტივებში, მას შემდეგ რაც სკოლებში მეცადინეობა შესწყდა.

უჯრედს თავის ხარჯზე გახსნილი აქვს სამკითხველო, სადაც მიმაგრებულია ამხანაგი საუბრების ჩასატარებლად.

აგრეთვე თემის სამივე სოფლებში მოწყობილია წითელი კუთხეები, სადაც მოდის ყოველდღიური გაზეთი „კომუნისტი" და „ახალი სოფელი". კუთხეებში მუშაობას აწარმოებენ მიმაგრებული პარტ. ამხანაგები და მასწავლებლობა.

უჯრედს კავშირი აქვს ყოფილ წითელ არმიელებსა და ცვალებად შემადგენლობასთან. სისტემატიურად ესწრებიან უჯრედის ღია კრებაზე.

ყულისკარელი.

როგორ ტარდება ცეკას პლენუმის დირექტივები

ამ უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში აჭარისტანის საოლქო კომიტეტი მთავარ ყურადღებას აქცევდა ს. კომპარ. ც. კ. მარტის პლენუმის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, როგორც პარტიულ-ორგანიზაციული, საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის დარგში, საოლქო კომიტეტის მუშაობამ საანგარიშო წლის განმავლობაში გეგმიანი სახე მიიღო. სისტემატიურად ეწყობოდა ოლქკომის, ორგკოლეგიის, აგიტკოლეგიის და სხვა განყოფილებების თათბირები, მთავარი უჯრედების მდივნების თანდასწრებით. საოლქო კომიტეტმა ყურადღება მიაქცია შინაპარტიული მუშაობის გაძლიერებას უჯრედებში. ამ მიზნით მან ჩაატარა რამოდენიმე ტიპიური უჯრედის გამოკვლევა. ამ გამოკვლევიდან ცხადჰყო, რომ უჯრედების ბიუროები თითქმის არაფერს აკეთებენ, ისინი მოწყვეტილი არიან უჯრედებზე, თვით უჯრედები თავის მხრით დაშორებიან მასებს, უპარტიოებში მუშაობა არ სწარმოებს, ღია კრებები ნაკლებად ეწყობა, ემჩნევა პარტდისციპლინის დარღვევა და სხვა. საოლქო კომიტეტმა [illegible] ყურადღება მიაქცია ამ ნაკლის გამოსწორებას.

ჩატარებული იქნა ბიუროების გადარჩევის ფართო კამპანია და ბიუროებში იქნა შეყვანილი ახალი ენერგიული პარტაქტივი. მათი შემადგენლობა განახლებული იქნა 50%.

ოლქკომის მიერ უკვე გაბმულია ცოცხალი კავშირი უჯრედებთან ინსტრუქტორების და მიმაგრებული ამხ. საშუალებით. გამომუშავებულია სანიმუშო გეგმა უჯრედებისათვის და მიეცათ მათ ახსნა-განმარტება, თუ როგორ უნდა აწარმოონ მუშაობა უპარტიო აქტივის მოსამზადებლად და ჩასაბმელად საბჭოთა აღმშენებლობაში. ამ მოკლე ხანში ჩატარებული იქნება უჯრედების მდივნების თათბირი სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციული საკითხების დასამუშავებლად. ასეთივე მუშაობა სწარმოებს აჭარისტანის მაზრკომებშიც. ივლისის განმავლობაში ჩატარებული იქნა მაზრკომის გაფართოებული პლენუმი. მე-14 პარტყრილობის დადგენილებების შესწავლა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის უჯრედებში სწარმოებს გამოყოფილი ხელმძღვანელების საშუალებით.

კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, საოლქო კომიტეტს უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს, ბიუროებში ჩააბა საუკეთესო აქტივი კომკავშირთა პარტკადრიდან. მომავალში მეტი ყურადღება მიექცევა უჯრედების მდივნების სათანადოთ მომზადებას.

საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელობის დარგშიც ოლქკომს დიდი მიღწევები აქვს.

საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა საზოგადო ორგანიზაციებში ჩამოყალიბებულია კომფრაქციები. საბჭოები გადარჩევის შემდეგ აწარმოებენ სოფლად და ქალაქად ნაყოფიერ საბჭოთა აღმშენებლობას. შედეგათ ყოველივე ამისა არის ის, რომ პარტიის ავტორიტეტი მუშათა და გლეხთა მასებში თანდათან მტკიცდება და იზრდება.

გაუგებრობას საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს შორის ადგილი არა აქვს.

ამ რიგად, საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილებები და მითითებები მტკიცედ და ურყევად ტარდება ცხოვრებაში აჭარისტანის პარტორგანიზაციების მუშაობის გასაძლიერებლად და საბჭოთა აღმშენებლობის სულ წინ და წინ წასაწევად.

ი—ლი.

მუშაობა სუსტია

(ხიდისთავი, ოზურგ. მაზ.).

ხიდისთავის რაიონში ახ. კ. კ. წევრთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით ძალიან გაიზარდა. უპარტიო ახალგაზრდობა თანდათანობით ილტვის კომკავშირისაკენ. მართალია წევრთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ არც უჯრედებში და არც თვით თემკომში არ არის ისეთი მუშაობა, როგორც გასულ წელს იყო, არ არის კომკავშირელებს შორის აქტიობა, როგორც უჯრედის, ისე თემკომის კრებაზე ყველა წამოყენებულ საკითხს სწყვეტს რამოდენიმე კაცი, კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა კი ზის, როგორც მოწმე. უჯრედებს არ ჰქვს ხელმძღვანელობა, და ამიტომ ისინი ხშირად უშვებენ ხოლმე შეცდომებს. არის შემთხვევა, როცა უჯრედის მდივანი კრებას ხსნის, მაგრამ ბიუროს დღის წესრიგი არ აქვს გამომუშავებული.

არც თემკომის მუშაობა არის მაინც და მაინც კარგათ დაყენებული.

თემკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ამას წინედ თბილისიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა ლიტერატურულ გასამართლების მოწყობის სურვილი გამოსთქვეს, მაგრამ თემკომის უმოქმედობის გამო გასამართლება ვერ მოეწყო.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ მუშაობაში ნაკლი მარტო ხიდისთავს არა აქვს, ასეთივეა მდგომარეობა სხვა თემებშიც. ამის მიზეზია თემკომების ხშირი გამოცვლა.

კოტე ქვენობნელი.

პარტმუშაობა უჯრედებში

(ლეჩხუმი)

ამ უკანასკნელ ხანებში პარტიულ მუშაობას ლეჩხუმის მაზრაში ეტყობა გამოცოცხლება. ამას უმთავრესად ხელს უწყობს თემური სისტემა—თემკომების დაახლოვება უჯრედებთან და ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესება.

მაზრკომი აერთიანებს 9 თემკომს, რომლებშიაც 30 კომუჯრედი შედის. ამათში 28 არის სასოფლო და ორიც ქალაქის.

პარტორგანიზაციის აქტივი მცირეა, წევრთა პოლიტმომზადების დონე დაბალია.

თემკომების და უჯრედების მდივნები პოლიტიკურად სუსტი მომზადებული არიან, ამის მიზეზად ჩაითვლება მაზრაში პოლიტსკოლების სიმცირე. მაზრაში მხოლოდ ერთი მოძრავი სკოლა არსებობს, რაც ვერ სწვდება მთელ პარტიულ მასას. ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები ცუდად ვრცელდება, ვინაიდან თვითგანვითარების სურვილი, როგორც პარტიულებში ისე უპარტიოთა შორის სუსტია. ეს აიხსნება მაზრის საერთო კულტურული ჩამორჩენილობით და სიშორით.

პარტორგანიზაციებში პარტდისციპლინა გამტკიცებულია, თუმცა აქა-იქ აქვს ადგილი დისციპლინის დარღვევას, მაგრამ მათ აღმოსაფხვრელად მიღებულია სათანადო ზომები.

მაზრკომს აქვს დამყარებული თემკომებთან, როგორც ცოცხალი კავშირი—ინსტრუქტორების და პ. მგებელ ამხანაგების მიმაგრებით საშუალებით, აგრეთვე წერილობით. მაზრკომს ჰყავს ერთი ინსტრუქტორი, რომელიც თითქმის სულ თემებში იმყოფება. ამ უკანასკნელ თვეებში გამოკვლეული იქნა რამოდენიმე უჯრედების და თემკომების მუშაობა. გამოკვლევამ უჯრედებში ბევრი ნაკლი აღმოაჩინა. მაზრკომის მიერ გამომუშავებულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა დეფექტების გამოსასწორებლად. უჯრედების ხშირად გამოკვლევამ, პრაქტიკული ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებამ უჯრედებზე კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერებამ და სხვა ამგვარმა ზომებმა ხელი შეუწყვეს პარტიული მუშაობის გაუმჯობესებებს მაზრაში.

ამჟამად პასუხისმგებელი ამხანაგებისაგან შედგენილია კომისია, რომელიც იკვლევს მაზრაში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობას.

საბჭოებზე და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობა სამაზრო კომიტეტის მხრივ მტკიცეა. მოისუსტებს მხოლოდ კომფრაქციების მუშაობა სოფლად.

უპარტიო გლეხობაში მუშაობა მოისუსტებს. ღარიბ გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბება სუსტად მიმდინარეობს.

ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს ქალთა ორგანიზატორების მოუმზადებლობისა გამო.

გამოყოფილია უჯრედებიდან ქალთა ორგანიზატორები, მაგრამ ისინი ვერ უხელმძღვანელებენ ქალთა მუშაობას და ხშირად ვერ ერკვევიან ქალთა საკითხებში. ხელმძღვანელობა კომკავშირზე ნორმალურია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად ბევრ ალაგას ურთიერთ წარმომადგენლობა ფორმალურია და მიმაგრებულნი ხშირად არ ესწრებიან კრებებს.

კოოპერატივების, გლეხკომების მუშაობა ჩვეულებრივ მიმდინარეობს.

მომავალში საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბებას.

ილი.

პარტიული ქრონიკა

— **დუშეთის მაზრკომის პლენუმი.** დუშეთის მაზრკომმა დაადგინა: მორიგი პლენუმი იქნეს მოწვეული თემკომების მდივნების თანდასწრებით ა. წ. 20 აგვისტოსათვის.

— **უჯრედის დამტკიცება.** დუშეთის მაზრკომმა დაამტკიცა ფასანაურის ახალი უჯრედი, რომელიც იმუშავებს მაზრკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

— **პიონერთა ორგანიზაციების თათბირი.** დუშეთის მაზრკომს განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში მოიწვიოს პიონერ ორგანიზაციებში მომუშავეთა თათბირი.

— **ბიუროების არჩევნები.** ქუთაისის სამაზრო პარტკომი შეუდგა სოფლად და ქალაქად კომუჯრედების ბიუროების გადახალისებას, რომელიც უნდა დამთავრდეს აგვისტოს მეორე ნახევარში.

— **ღარიბ გლეხთა ჯგუფები.** ქუთაისის სამაზრო პარტკომი ამ ჟამად აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას სოფლის ღარიბ გლეხთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად. ამ საქმისათვის გამოყოფილი არიან სათანადოთ მომზადებული ამხანაგები.

— **თავისის კომუჯრედის შესახებ.** შორაპნის მაზრკომმა მოისმინა რა ინფორმაცია თავისის უჯრედის შესახებ გამოყო კომისია № უჯრედის მუშაობის გამოსაკვლევად.

— **პარტ. და საბჭოთა ორგანოების გამოკვლევა.** შორაპნის მაზრკომმა ზესტაფონის პარტ. და საბჭოთა ორგანიზაციების გამოსაკვლევად გამოყო კომისია.

— **ავიაქიმის შესახებ.** შორაპნის მაზრკომა გამოყო სარევიზიო კომისია, რომელმაც ამ მოკლე ხანში უნდა მოახდინოს ავიაქიმის მუშაობის გამოკვლევა შორაპნის მაზრაში.

— **საკანდიდატო ჯგუფი.** სიღნაღის მაზრკომმა იორ-მუღანლოს თემში ჩამოაყალიბა საკანდიდატო ჯგუფი 8 კანდიდატისგან და მიამაგრა სამუშაოდ პასუხისმგებელი ამხანაგი.

პატარა ფელეტონი

პოლიანდრე რაკრიკაძის საჩივარი

პოლიანდრეს მსაჯულისთვის
მიუცია განცხადება,
ათასგვარი უმართებლო
მას შეუთხზავს იქ ბრალდება.
თან მოითხოვს: „რადგან საქმეს
ავნებს შორით გადადება,
სწრაფ გაირჩეს, რომ „ხოზიკა"-ს
ვაწყევლინო დაბადება".

⁂

ერთ დღეს, დილით, სასამართლოს
მომიტანეს მე უწყება.
შიგ ეწერა: ამ და ამ დროს
თქვენი საქმე დაიწყება.
მომჩივანი რაკრიკაძე,
მოპასუხე თქვენ—„ხოზიკა",
სხდომა ათზე გაიხსნება;
ამ დროისთვის დარჩით იქა.
თუმც მშიშარა არ ვარ კაცი,
მაგრამ ცოტა მაინც შევკრთი.
ვსთქვი: ვაი თუ გამამტყუნეს,—
მოვტყუილდი ან და შევცდი.
მაგრამ თავი ვინუგეშე:
ბრალი დამდოს უნდა რაში,
განა მე არ შეუკაზმე
უკვდავყოფის იმას რაში?!
მთელ ქვეყანას გავაცანი
ვანავარდე ძირს და ცაში,
„ნაფოტხავიც" კი გავხადე
და სწავლულთა უსტაბაში.
მაშ, რიღასთვის სჩივის ნეტა,
რაღა უნდა, რას მთხოვს კიდე,
ამის შემდეგ მოდი შენ და
კაცი აქე ან ადიდე.
ეს ქვეყანა მუდამ იყო
ცბიერი და უმადური;
კაცს აქ გინდა მადლი უყა
გინდ ამოსცხე ნიშადური.

⁂

დანიშნულ დღეს (მაშ რა მექნა)
მივაკითხე სასამართლოს,
ერთხან შესვლაც ვერ გავბედე,
უტრიალე შორი ახლოს.
შემდეგ, რაკი დავინახე,
რომ შევიდა პოლიანდრე,
გავაყოლე თვალი მას და
ბოლოს შესვლა მეც „ვიკადრე".
მსაჯულმა რომ სასამართლოს
საპროცესო გახსნა სხდომა,
პოლიანდრემ პირველ რიგში
სიტყვა თვისთვის მოინდომა
და როდესაც მისცეს ნება
მან ქაღალდი ამოიღო,
დარბაისლათ გაშალა და
წაიკითხა შიგ რაც იყო:
„სასამართლოს და პროკურორს:
მოქალაქის აწ ცნობილის,
„ნაფოტტრესტის" თავმჯდომარის,
ასტრონომის თან ყოფილის,
მეცხრე უბნის მცხოვრებელის,
(რომ პეტრუზა, ტუპიკ ბლილის)
პოლიანდრე რაკრიკაძის
განცხადება.
გოროდ თბილის,
ორი თვეა, ცოტა მეტიც,
რაც ხოზიკა მემტერება,
„ნაფოტტრესტში" სწორედ იმან
ჩამიშალა მოხსენება,
სხვაგანაც არ გამაჩერა
აღარ მაძლევს მოსვენებას
და მუდამ დღე კვლავ მაყენებს
მე,—პოლიანდრს, იგი ვნებას.
ვაბჩე ნადა ატმეტიტი
ეტო ოჩინ მოი ვრაგი,
ონ ზეგაიტ კაჯნი დენი
სმატრი კაჯნი მოი შაგი
კაჯნი დენი ონ მეშაიტ,
სდელიტ ოპეტ ნოვი შტუკა,
ტაკ ნე მოგუ ია რაბოტიტ
დელა სპორტიტ ონ ნაუკა.
ცილსა მწამებს, თითქოს, ენა
არ ვიცოდე მე რუსული,
თითქოს ამ ჩემ სწავლულობას
უდიოდეს ცუდი სული.
თითქოს, ამინდს ვერ ვარჩევდე
ვერ ვამბობდე წინ-წინ სწორად.
ერთი სიტყვით, გადაიქცა
იგი ულევ გუდა-ქორად.
მე ვამტკიცებ: კარგათ ვიცი
რუსულიც და ქართულიცა;
ზედმიწევნით შევისწავლე
ატმოსფერა და რთული ცა
არასოდეს შემცდენია,
ღრუბლიანი ცა თუ კია;
მოვა სეტყვა, ან და წვიმ
ან გაივლის,—ეს მითქვია.
რუსული ხომ, მე წყალსავ
მეხერხება ლაპარაკი,
დღეს კი არა, ის ვიცოდი
როცა ვიყავ ლაწირაკი.
ყველამ იცის, რომ ჯერ კიდევ
გიმნაზიის მერვე კლასში,
ჰიცვალებულს სიტყვა უთხარ,
საათს ჰქუხდა ხოლმე ტაში.
აი, თუ გსურთ, იმ სიტყვასაც
თქვენ წინაშე ვიტყვი ეხლა
და გასაჯეთ, ღირს თუ არა
ხოზიკასთან ჩემი შეხლა.
თვრამეტ წელში, ჩვენ მოგვიკვდა
მოღვაწე და მეგობარი,
რა თქმა უნდა, სამარემდის
მივაცილეთ ყველამ მკვდარი,—
და საფლავზე მე რუსულად
მოკლე სიტყვა მას უთხარი.
პოლიანდრემ მსაჯულს მისცა
დაწერილი თვისი სიტყვა
(აჰ, ის სიტყვაც, იმ საფლავზე
„რომელიც რომ" მაშინ ითქვა)
დარაგაია კოწია!
ტი ბილა ნაშა ბოძია.
ტი ვსეგდა ბილა ლიდეროი
ნაშა ბრატია,
ტი ნე ზნალ პომირათ
რა დაგმართია?!
ტი ბილა სინოიუ
პრასტოი ნაროდ.
ტი ბილა ვმესტე სნი
ი კუშალა ლობია.
ნე ხვატალა ადინ,
დვა თებშ ნე ხვატალ,
ი კუშალა ტოლდა ცელაია გობია.
ტი ლიუბილა ვსეგდა პრასტოი ნაროდ.
როდსტვენიკ ხვალილა,
ა ვრაგა რუგალა ნა როტ.
ტი სვაია გალავა
ნა პრასტოი ნაროდ,
ნიკადა ნე ჟალელა.
ძნოგო ტრუდნო ვიდალ,
ნო სვოი კისერ
პრიამო დერჟალ.
ტი ვსეგდა შლა ვპერიოდ,
ს ატკრიტოი გალავოი
ი კრეპკო სტოიალა ნა მესტა.
ლეჟი ნა სლადკოი მაგილა!...
ტვოი პამიატ ატნინე,
ვსეგდა ბუდიტ ნა ნას.
სპი დარაგაია ბელად!

⁂

თქვენ რას იტყვით, თავს იმართლებთ?
მოსამართლემ მე მომმართა.
რა მეთქმოდა, ვგრძნობდი უკვე
ცუდი საქმე დამემართა.
რა ვიცოდი, პოლიანდრეს
როცა იყო კიდევ ბავში,
სიტყვა უთქვამს სასახელო,
(დღეს დამარტყა სწორედ თავში).
ცხადი იყო, რომ გავმტყუნდი;
პოლიანდრემ გაიმარჯვა,
მოსამართლემ განაჩენზე
კალმის ტარი მოიმარჯვა.
რა მეთქმოდა, მაგრამ მაინც
თავის დახსნა შევეცადე.
სასამართლოს გასაგონათ
მე შემდეგი განვაცხადე:
„ეს სიტყვა, რომ პოლიანდრეს
მიერ არის სწორედ თქმული,
ვთხოვთ იქვე არ შეიტანოთ
რადგან არის მეტათ ბრძნული.
მე არ მესმის, ვერ გავიგე,
პოლიანდრეს ჩემზე რისხვა,
აქ რაღაცა შეცდომაა,—
გამოირკვეს უნდა კითხვა.
მე ეს კაცი საგანგებოდ
ვიპოვე და გამოვნახე,
სადაც წავა თან დავყვებ
ქების მეტი რა შევახე?!..
მის ცოდნის და სწავლულობის
ამბავს ვაცნობ მთელ ქვეყანას;
ვცდილობ მისი ღირსებების
ფართოთ ხალხში გამოტანას.
რა ვიცრუე, ან და ნეტა
რომელი ვსთქვი როდის ჭორი?!
ეხლაც ვამბობ, პოლიანდრეს,
დღეს არა ჰყავს ჩვენში სწორი.
„ნაფოტტრესტში" სამსახურს მან
თავი თვითვე გაანება,
ასტრონომად გახდა შემდეგ,
მაგრამ აღარც ის ინება.
თქვენ გასაჯეთ: მის წინაშე
თუ მიმიძღვის რამე ბრალი,
და, მსაჯულო, მიუდგომლად
დააწესე სამართალი.
პოლიანდრემ იღრიალა:
„ცბიერია მისი სიტყვა,
დამცინის და მჯაყავს ხალხში,
ნათელია უკვე კითხვა!
სასამართლოს მე ვსთხოვ შემდეგს:
მოიწვიოს ექსპერტები,
ჩემი ცოდნის დამტკიცებას
მე იმათთან შევეცდები.
მსაჯულებმა ითათბირეს
და შემდეგი განაცხადეს:
პოლიანდრე რაკრიკაძე
ექსპერტებთან გამოცხადდე
ექსპერტებმა პოლიანდრის
შეამოწმეს იმ დღეს ცოდნა.
სასამართლოს მოახსენეს:
იმისაგან რა „გამოდნა".
სწორედ იმ დღეს, გაზეთებში
მოკლე ცნობა რაღაც იყო,
ნიაღვრისგან სადღაც, რაღაც
გაფუჭებულ-წამხდარიყო,
და პოლიანდრს ის გაზეთი
მიაწოდეს სწორედ ხელში,
დაავალეს, რომ ეთარგმნა
გამწყდარიყო თუნდა წელში.
„Гвоздь событий. Ливнем ночью
Полотно ж. д. размыто.
Поезда теперь не ходят;
Не мало кур, свиней побито.
Подвоза нет и очень крупный
Имеем мы товарный голод.
Хвосты кругом, друг друга травит
В очередях и стар и мол
პოლიანდრემ რუსულიდან
ასე სთარგმნა ეგი ცნობა,
და შედეგი იმ ექსპერტებს
სიხარულით მყის აცნობა:
„დღის ლურსმანი. ნიაღვარმ
გადარეცხა ტილო ღამით.
პოეზები აღარ დადის,
ღორ ქათამი მოკვდა ამით.
პოლოზკის ქვეშ სიმშილია
მსხვილფეხიან საქონელის.
ირგვლივ კუდი. ყველა ერთაღ
ოჩერედში ბალახს ელის".

⁂

პოლიანდრე განაჩენით
ისევ დარჩა უმადური.
გასაგონათ უთხრა ყველას
მან შემდეგი საყვედური:
ნეტუ, კაცო, სამართალი,
ტეპერ ვეზდე პროტექცია.
რომ მომეგო საქმე სწორედ
წაგებასა ის მერჩია.

ხოზიკა.

მეცნიერება და ტექნიკა

ელექტრონის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე

პირველ წერილში*) აღნიშნული იყო, რომ ელდენის უარყოფითი მოქმედება უფრო საშიშ ხასიათს ატარებს იმ პირების მიმართ, ვისაც მუდამ საქმე აქვთ ელექტრობასთან. ასეთ პირებს ეკუთვნიან ელექტრო-ტეხნიკოსები პროფესიონალები. ელექტრო დადგმულობათა (სადაც მუშავდება ელექტრობა), მოსამსახურე პირები არა თუ უფრო ხშირად, ვინემ სხვები, ხდებიან მსხვერპლი ელდენის „დარტყმის", არამედ მათ შორის გავრცელებულია სპეციალური ავადმყოფობანი.

ცენტრალურ სადგურებში მომუშავე პირთა შორის გავრცელებულია ყელის ავადმყოფობა. ყელის ავადმყოფობას იწვევს თბილი შენობიდან გასვლა გარეთ სუფთა ჰაერზე ან ცივ შენობაში, ნახშირის მტვერის და აკუმულიატორებისგან გამოყოფილ გაზების გამაღიზიანებელი მოქმედება.

აკუმულიატორზე მომუშავე პერსონალი ხშირად იწამლება ტყვიით ადამიანის სხეულის კანის გაკაწრულ და დაბეჟილ ადგილებში შესვლით ტყვიის ჟანგი იწვევს სისხლის მოწამვლას. ტყვიით მოწამვლა მძიმე შედეგებს იძლევა და მორჩენა შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული საშუალებით. ელექტრო-განათებაზე და ენერგიის გადაცემაზე მომუშავეთა შორის ძლიერ გავრცელებულია გულის და თვალის ავადმყოფობა.

ელექტრონის სინათლის ელვარე სხივები, რომლებიც მდიდარია აქტიურად მომქმედ იისფერ და ულტრაიისფერ ტალღებით, ელექტრო-ტეხნიკოსებში ხშირად იწვევს თვალების, განსაკუთრებით რქისებურ გარსის ანთებას, მხედველობის დაკლებას, თვალის კუნთების დამბლას და მრავალ სხვა მძიმე შედეგებს. განსაკუთრებით საშიშია ვოლტას რკალის სინათლის უარყოფითი მოქმედება თვალზე, რაც ხშირად სრულ სიბრმავეს იწვევს, თუ ვოლტას რკალზე მომუშავე არ ატარებს სპეციალურ სათვალეებს. იგივე ითქმის საპროექციო მაშუქის შესახებ, რომელიც უკანასკნელ ხანებში ძლიერ გავრცელებულია სკოლებში და ლექციების კითხვის დროს.

ზოგიერთ ექიმების აზრით ჩვეულებრივი ბინის ელექტრონული განათება არ წარმოადგენს საშიშროებას თვალისათვის. იმ ექიმების აზრით რომლებიც ბინის განათებაშიაც ხედავენ ელექტრობის ცუდ გავლენაზე თვალზე, საკმარისია ელნათურათა უფერულ მინის ხუფები შევცვალოთ ყვითელი მინის ხუფით, რომელთაც თვალის გამაღიზიანებელ ულტრაიისფერ სხივების შთანთქმის თვისება აქვთ.

თვალზე ძლიერ ცუდათ მოქმედებს აგრეთვე არა თანაბარი სინათლე.

მართალია რენტგენის სხივები დიდ გამოყენებას პოულობს მედიცინაში მრავალ ავადმყოფობის წინააღმდეგ. მაგრამ მისი მოხმარა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. რენტგენის სხივების აღმოჩენის პირველ ხანებშივე იქნა შენიშნული მისი გამანადგურებელი მოქმედება ადამიანის და საერთოდ ცხოველის კანზე. რენტგენის სხივები იწვევს აგრეთვე სისხლის შემადგენლობის ცვლას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სისხლში შემავალი თეთრი ბურთულები სრულიად ნადგურდება. რადგანაც თეთრი ბურთულების ლეიკოციტების დანიშნულებას წარმოადგენს ბრძოლა გადამდებ ავადმყოფობათა მოქმედის წინააღმდეგ, ამიტომ მათი განადგურება იწვევს ადამიანის ორგანიზმის ნაკლებ გამძლეობას გადამდებ ავადმყოფობათა მიმართ.

აქედან ცხადია, რომ რენტგენის სხივების გამოყენების დროს მედიცინაში დიდი სიფრთხილეა საჭირო. არა ერთი და ორი რენტგენოლოგი გამხდარა გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.

მაშასადამე ზოგიერთ პირობებში რენტგენის სხივები არა თუ არჩენს დაავადებულ ორგანოს არამედ თვით ხდება მიზეზი მისი დაავადებისა. რენტგენის სხივების ხმარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. [illegible] სუსტი განსაზღვრა სხივების თვისი[illegible] ენერგიის იმ ოდენობის სწორი განსაზ[illegible]ლის მოქმედები[illegible] ქვეშაც იქნება დაავადებული ორგანო. აღსანიშნავია ისიც, რომ რენტგენის სხივების გამანადგურებელი, უარყოფითი მოქმედების შედეგი აშკარავდება რენტგენზაციიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ.

გერცის ტალღების საშიშროება ადამიანის ორგანიზმისათვის არაა ჯერ კიდევ დაწვრილებით შესწავლილი, მაგრამ თქმა იმისა, რომ მას არ მოაქვს რაიმე ვნება ადამიანის ორგანიზმისათვის არ შეიძლება. გერცის ტალღების მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე აწარმოებდა ფრანგი ექიმი ბელილი სამხედრო გემ „დეკარტზე".

თავის ცდებს ექიმი, ბელილი, აწარმოებდა მარკონის აპარატზე მომუშავე მეზღვაურებზე და აღმოაჩინა, რომ აპარატზე მომუშავეთა შორის ადგილი ჰქონდა თვალების ავადმყოფობას.

მეზღვაურებს აგრეთვე აღმოაჩნდათ ეკზემის ნიშნები ხელებზე. ელექტრო-ტალღათა ასეთ უარყოფით მოქმედების საწინააღმდეგოთ შემოღებულ იქმნა ყვითელ-მწვანე სათვალეები და გუტაფისის (გუტაპერჩი) ხელთათმანები. რადიო-ტელეფონისტებში გავრცელებული იყო გამაღებული გულის ძგერა და ნერვიულობა.

ფიქრობენ, რომ გერცის ტალღები წარმოადგენენ არა მარტო ინდივიდუალურ საშიშროებას. მსოფლიო ომის დაწყების წინ აღლუმის დროს აფეთქდა საფრანგეთის სამხედრო გემი. აფეთქების მიზეზი გამოურკვეველი იყო, რადგან არავითარ თვალსაჩინო მიზეზს ადგილი არ ჰქონია. ბოლოს დაუშვეს, რომ აფეთქების მიზეზი შეიძლება გერცის ტალღები იყვნენ, რომელთაც გემის თოფის წამლის საწყობის აფეთქება გამოიწვიეს, რასაც მოჰყვა გემის დაღუპვა. მართლაც, არა ერთხელ შემჩნეულია, რომ როდესაც მუშაობს პარიზის რადიო სადგური, მის ახლოს მდებარე სახლების გაზების გამტარ მილებ შორის ნაპერწკლები გასხლტებიან. ერთ გემზე შენიშნული იყო აგრეთვე შემდეგი მოვლენა: როდესაც გემის რადიო-ტელეგრაფი მუშაობდა გემის ღუზის ჯაჭვის რგოლებს შორის ნაპერწკლები ჩნდებოდენ კრეისერ „კონდე"-ზე მაღალ ანძის წვერში დაკიდული იყო ელექტრო-მაშუქი (ფანარი). ანძის ძირში მოწყობილი იყო რადიო-სადგური. როგორც კი რადიო აპარატი ამუშავდებოდა, მაშუქი იმ წამსვე სწყვეტდა თავის მოქმედებას.

მოყვანილ მაგალითებიდან სჩანს, რომ გერცის ტალღები ხშირად გვევლინებიან, როგორც გამანადგურებელი ძალა.

პირველ წერილში და აქ აღნიშნული საშიშროება ელდენისა ადამიანის ორგანიზმისადმი, როდესაც მავთულებზე გადის მაღალი ძაბვის დენი, გვიკარნახებს იმ ზომების მიღებას, რომლითაც შესაძლებელი გახდება თავიდან ავიცილოთ ელდენის „დარტყმის" მავნე შედეგი.

ერთ და იმავე დროს ხელით არ უნდა შევეხოთ ორივე გამტარს: ერთს, რომელსაც ელდენის წყაროდან მოაქვს დენი და მეორეს, რომელსაც მიჰყავს უკან.

არ შეიძლება ხელით შეხება შიშველი გამტარისა, თუ ადამიანი უშუალოთ მიწაზე სდგას, რადგან დენი ამ შემთხვევაში ადამიანზე გავლით დედამიწაში გადის. გამტარების გამხოლოება, მათი გადაკეთება ელექტრო-ტეხნიკოსების სპეციალისტების საქმეა და ამიტომ მომხმარებელმა, თუ იგი რამ საშიშროებას ხედავს, უნდა მიმართოს სპეციალისტებს და მისთვის საკმარისია ცოდნა იმისა რომ შეხება ასეთ გამტარებისა საშიშია. როგორც აღნიშნული გვქონდა ტელეფონის წვრილი მავთულიც კი სასიკვდილოა განსაზღვრულ პირობებში.

ელექტრო ენერგიის მომხმარებელმა გამტართა გაყვანის დროს უნდა მიმართოს მცოდნე პირებს, რათა გაყვანის დროს მიღებული იქნეს ყველა საჭირო ზომები. თუ დენის „დარტყმის" შემდეგ ადამიანი იმ წუთსვე არ იქნა [illegible] შესაძლებელია მისი გადარჩენა. [illegible] დაშავებული მოვა[illegible]ბას, რისთვისაც [illegible] მოთავსება, დაუძახოთ ექიმს, მის მოსვლამდის განვათავისუფლოთ ვიწრო ტანისამოსისგან, თავზე დავადოთ ცივი კომპრესი და კან ქვეშ შეუშხაპუნოთ ქაფურის ზეთი. სუნთქვის გამოსაწვევათ იქცევიან ისე, როგორც წყალში დამხრჩვალის მიმართ. თუ ორი საათის განმავლობაში სუნთქვის გამოწვევა არ მოხერხდა დაშავებულის გადარჩენაც შეუძლებელია.

⁂

აქნამდის ჩვენ საუბარი გვქონდა ადამიანის ორგანიზმზე ელექტრობის უარყოფით მოქმედების შესახებ, მაგრამ ელექტრობას შეუძლია არა მარტო დაშავება ან მოკვლა ადამიანისა, არამედ ის გვევლინება ხშირათ როგორც მკურნალი ადამიანის ავათმყოფობისა. ერთ ხანს იმის ცდებიც კი იყო, რომ მკვდარი ორგანიზმი როგორმე გაეცოცხლებინათ ელექტრობის საშუალებით.

ჯიოვანი გალვანის ცნობილი ცდების შემდეგ მისი დისწული ალდინი ახდენდა ცდებს სხვა ცხოველებზე. ახლად დაკლული ცხვრები, ხარები და კურდღლები ელექტრობის გავლენით მოძრაობდენ. ასეთ ცდებს ცხოველებზე აწარმოებდენ სხვებიც. მაგალითად გუმბოლდტი ახდენდა თევზების გალვანიზაციას, ზანოტი კი—მწერებისა? ფრანგმა ქირურგმა ლარეიმ პირველმა მოახდინა ადამიანის გალვანიზაციის ცდა. ცდა მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანის მოჭრილ ფეხის ნერვებთან ელექტრო წყვილის მიახლოვებით ფეხმა მოძრაობა დაიწყო. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ცდები იმ დროინდელ საზოგადოებაზე; მაგრამ ყველაზე საკვირველ შედეგებს ამ მხრით მიაღწია ექიმმა იურმა ქალაქ გლაზგოში.

1818 წელს 4 ნოემბერს ქალაქ გლაზგოში (შოტლანდია) სახრჩობელაზე ჩამოხრჩობით დასჯილ იქნა კაცის მკვლელი.

დასჯილი თითქმის ერთი საათი ეკიდა სახრჩობელაზე, რის შემდეგ გადატანილ იქმნა ანატომიურ თეატრში. სხეული რამდენიმე ადგილას დანით გასჭრეს რათა აღმოეჩინათ ნერვები. ელექტრო ბატარეის პოლიუსებიდან მომავალი ერთი გამტარი შეუერთეს ხერხემლის ტვინს, მეორე ფეხის გულს. მეორე გამტარის შეხებამდის ფეხი მოხრილი იყო მუხლში. გამტარის შეხებისთანავე ფეხი ისეთი სისწრაფით და სიძლიერით გაიმართა, რომ ის იყო ძირს არ დასცა იქვე მდგომი ასისტენტი. გამტართა შესაბამ ნერვებთან შეერთებით გამოწვეულ იქმნა „სუნთქვა" მკერდი მოძრაობდა როგორც ბუნებრივ სუნთქვის დროს. მკერდის მოძრაობასთან სდევდა მუცლის მოძრაობა.

როდესაც იურმა სახის კუთების გალვანიზაცია მოახდინა ისეთი საშინელი გამომეტყველება მიიღო ცხედარის სახემ, რომ ბევრი იქ მყოფნი ქუჩაში გავარდნენ. ერთმა მათგანმა კი გრძნობა დაჰკარგა რამდენიმე დღე გალიუცინაციით იყო შეპყრობილი. მრავალი ცდების შემდეგ იურმა სცადა გამოეწვია გულისცემა და სისხლის ბრუნვა, რითაც მას სურდა ცხედრისთვის სიცოცხლე დაებრუნებინა, მაგრამ ასეთი ცდა უშედეგოდ გათავდა...

საერთოთ კი ელექტრობის გავლენას ორგანიზმზე და მის გამოყენებას ექიმობაში ძველადაც იცნობდენ. ქარვის და ე. წ. ელექტრო-თევზების მკურნალობითი მოქმედება დამბლის და ნერვიულ ავათმყოფობის დროს უძველეს ხანაში იყო ცნობილი.

შემდეგ, როდესაც ელექტრო მეცნიერება მეცხრამეტე საუკუნიდან ძლიერ განვითარდა და ვრცლათ იქნა შესწავლილი ელექტრობის ფიზიოლოგიური მოქმედება, ელექტრო წამლობაც ერთ სერიოზულ დარგათ იქცა მედიცინაში. მედიცინაში ამჟამათ ელექტრობის ყოველი სახის ენერგია არის გამოყენებული.

ინდუქტიური დენი (ფარადიზაცია), გალვანური მუდმივი დენი (გალვანიზაცია), სტატიური ელექტრობა (ფრანკლინიზაცია) დიდი სიხშირის დენი (დარსონვალიზაცია) და უკანასკნელი-რენტგენის სხივები...

მეცნიერება ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრ შესაძლებლობის წინ სდგას. ადამიანის ორგანიზმის და საერთოდ ცოცხალ ორგანიზმის და ელექტრო მოვლენათა კავშირი ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოებას შეიცავს, [illegible] ახსნა და გამოც[illegible]ობა მეცნიერების მორ[illegible] ადგენს.

ვ.

---

*) [illegible] და [illegible]
[illegible]ლიყო ოსმალეთის [illegible] ოეთი

მოძრავი ფილაქნები

მსოფლიო ცენტრებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მეტროპოლიტენი (მიწის ქვეშა რკინისგზა), რადგან იგი ვერ აუდის არაჩვეულებრივად გაზრდილ მიმოსვლას. გარდა ამისა მეტროპოლიტენი ძლიერ ბევრს დროს აკარგვინებს მგზავრებს სადგურის რაიონში მატარებლის შემადგენლობის მოძრაობის სისწრაფის ცვლის გამო. ეს გარემოება თითქმის ორჯერ ადიდებს სადგურიდან სადგურამდი მატარებლის გადარბენის დროს.

მეტროპოლიტენის არადამაკმაყოფილებლობამ უკვე დიდი ხანია დასვა ქალაქებში ხალხის გადაყვანა-გადმოყვანის ახალი საშუალების აღმოჩენის საკითხი.

პირველათ შეჩერდენ განუწყვეტელი მოძრაობის მატარებლის იდეაზე. ლონდონის მიწის ქვეშა რკინისგზაზე დადიოდა ამგვარი მატარებელი. იგი წარმოადგენდა რამოდენიმე ვაგონს, რომლებიც უსასრულო ხრახნილით იყვნენ ერთმანეთთან შეერთებული. მატარებელი მიდიოდა ცვალებადი სისწრაფით: 38 კილომეტრის სისწრაფით სადგურებს შორის და 5 კილომეტრის სისწრაფით სადგურთან.



ბუშეს სისტემის „დამაჩქარებელი"

ეს მატარებელი არ ჩერდებოდა სადგურებზე, მგზავრების დაჯდომა და გადმოსვლა ხდებოდა მატარებლის სვლის დროს, რადგან 5 კილომეტრიანი სისწრაფე უახლოვდება ადამიანის მოძრაობის საშუალო სისწრაფეს.

მაგრამ ეს სისტემა უხერხული აღმოჩნდა. მგზავრების დაჯდომა-გადმოჯდომის დროს ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს; საერთოდ ეს სისტემა ფსიქიურად უარყოფითად მოქმედებდა მგზავრებზე. გარდა ამისა, კარებთან საჭირო იყო მოსამსახურეების ყოლა, რაც ადიდებდა რკინისგზის ექსპლოატაციის ხარჯებს.

საკითხის გადაჭრის მეორე ცდას წარმოადგენდა მოძრავი ფილაქანი, რომელიც პირველათ 1900 წ. მსოფლიო გამოფენაზე იქნა ნაჩვენები.

ეს ფილაქნები გაკეთებული იყო ე. წ. რთული რტყელას (сложная лента) პრინციპის მიხედვით უკანასკნელი თეორიის ნიშნავს იმას, რომ ფილაქანი შესდგება რამდენიმე, ჩვეულებრივათ—სამ, გვერდი-გვერდ მოთავსებული რტყელასაგან, რომლებიც მოძრაობენ სხვადასხვა სისწრაფით: 5,10 და 15 კილომეტრი საათში. 15 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობს მთავარი, ყველაზე უფრო ფართე რტყელა. არსებითად რომ ვსთქვათ, მხოლოდ იგი წარმოადგენს ფილაქანს. დანარჩენი რტყელები, რომლებიც გაცილებით უფრო ვიწრო არიან, ასრულებენ მთავარ ფილაქანზე მგზავრების ასასვლელ და ჩამოსასვლელ საშუალებას. სადგურთან ახლო მოძრაობს ნელა სავალი რტყელა—5 კილომეტრის სისწრაფით საათში. მგზავრებს სურვილისამებრ შეუძლიათ ისარგებლონ პირველი ან მეორე ფილაქანით და თვით იარონ 5 კილომეტრის სისწრაფით.

ამრიგათ, თუ მგზავრი ისარგებლებს მთავარი ფილაქანით და ფეხით ივლის, საათში იგი გაივლის 20 კილომეტრს, რაც ორჯერ აღემატება მეტროპოლიტენის სისწრაფეს.

რთული რტყელას სისტემის ფილაქანს ის ნაკლი აქვს, რომ იგი მაინც მოუხერხებელია: დიდძალი ხალხის თავმოყრის დროს წესრიგის დაცვა შეუძლებელია, არის ჯახი და სხვ.

ამიტომ არის, რომ მოძრავი ფილაქნების ახალი სისტემა შესდგება ერთი რტყელასაგან, რომელიც მოძრაობს 15 ან 20 კილომეტრის სისწრაფით საათში. მგზავრები გადიან მასზე [illegible] ბაქანიდან, რომელიც ასეთივე სის[illegible] გადადიან ე. წ. „დამაჩქარებლის" საშუალებით. პირიქით, ბაქანიდან სადგურში მგზავრები გადადიან მოძრაობის ე. წ. „შემნელებელის" საშუალებით.

მოძრაობის დამჩქარებელი წარმოადგენს მთელ რიგ, ერთმანეთის გვერდით მდებარე რტყელებს, რომლებიც გარშემო უვლიან მბრუნავ ბარაბანებს. თითეული რტყელა განსაზღვრული სისწრაფით მოძრაობს. სისწრაფე თანდათანობით იზრდება მოძრავ ბაქანთან მიახლოებასთან შეფარდებით. სისწრაფე ასე იცვლება: 1½, 3, 4½, 6, 7½, 9, 10½, 12, 13½ და 15 კილომეტრი საათში. ამ რტყელების სიგრძე დიდი არ არის—ერთ მეტრზე ნაკლებია. მგზავრი ერთი რტყელადან მეორეზე გადასვლის პროცესში უფრო მეტის და მეტის სისწრაფით მოძრაობს, სანამ არ მოხვდება მოძრავ ბაქანზე, საიდანაც მოძრავ ფილაქანზე გადასვლა სიძნელეს აღარ წარმოადგენს.

დანიშნულების სადგურზე გადმოსვლის დროს მგზავრი ფილაქანიდან გადადის მოძრავ ბაქანზე და იქიდან—„სვლის შემნელებელის" საშუალებით—სადგურში. „სვლის შემნელებელს" იგივე მოწყობილობა აქვს, როგორც დამჩქარებელს, მაგრამ რტყელების ნაკვეთები მოძრაობენ დამჩქარებელის საწინააღმდეგო მიმართულებით თანდათანობით მკლები სისწრაფით—15, 13½, 12, 10½, 9, 7½, 6, 4½, 3 და 1½ კილომეტრი საათში.

ზემოთ-აღწერილი სისტემა ეკუთვნის გალტერსა და ლეპსს. პროექტში, რომელიც შეიმუშავა ბუშემ ერთ-რტყელიანი მოძრავი ფილაქნის მოსაწყობათ, სვლის დამჩქარებელი და შემნელებელი ცოტა სხვანაირათ არის მოწყობილი. იგინი წარმოადგენს მოძრავ ზედაპირს, რომელიც რეზინა-გადაკრულ ღერძაკებისაგან შესდგება. ღერძაკები მოძრაობენ მკლები ან მატებითი სისწრაფით. ადამიანის ფეხი ერთბაშათ რამდენიმე ღერძაკზე ედება და ამრიგად მგზავრი მექანიკურად უფრო და უფრო სწრაფად მოძრაობს. სვლის შემნელებელში, რასაკვირველია, პირიქითი მოვლენას აქვს ადგილი.

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ფილაქანის მოწყობილობის შესახებ. მას აქვს კედლები, ჭერი და არსებითად რომ ვსთქვათ, წარმოადგენს ბორბლებზე დადგმულ გრძელ, მოძრავ დერეფანს. იატაკი, კედლები და ჭერი ისეა მოწყობილი, რომ ფილაქანის მოძრაობა მოსახვევებში არ შეფერხდეს.

შიგნით ფილაქანი დიდის კომფორტით არის მოწყობილი: რბილი სავარძლები, ფართე ფანჯრის მინები, ელექტრონული განათება და სხ.



მოძრავი ფილაქანი შიგნიდან

ბაქანებზე, სვლის დამჩქარებლებზე და შემნელებლებზე ზევიდან გადმოკიდებულია მოძრავი ხელის მოსაკიდი, რომ მგზავრი არ წაიქცეს.

ფილაქანები მოძრაობაში მოჰყავთ ელექტრო-მოტორების საშუალებით ელექტრო-მოტორები დადგმულია ან სადგურებში, გზის ორივე მხარეზე, ან თვით ფილაქანზე.

მოძრავ ფილაქანს საათში შეუძლია გაატაროს 150.00 კაცი, ეს იმ დროს, როცა მეტროპოლიტენით საათში მხოლოდ 5-20 ათასი კაცის გადაყვანა შეიძლება მხოლოდ.

ინჟ. ვ. ყაისაროვი.

ჰავის პერიოდული ცვლა

უკანასკნელი წლების „არანორმალურად" ცივი და იმავე დროს ასეთივე „არანორმალურად" თბილი ზამთრები უნებლიეთ იწვევენ კითხვას—ხომ არ იცვლება ჩვენი ჰავა.

თავისი ისტორიის განმავლობაში დედამიწას ჰავის მრავალგვარი ცვლა განუცდია, რასაც ამტკიცებენ გეოლოგიური ნაშთები. ასე მაგალითად, თაბაშირისა (ГИПС) და მარილის საბუდოები ძველათ არსებულ უდაბნოებზე მიგვითითებენ, ქვანახშირი—ტროპიკული და ნესტიანი ჰავის არსებობას ამტკიცებს; გაქვავებული ხეები წლიური წრეებით ზომიერი ჰავის უტყუარ მოწმეებს წარმოადგენენ; ყინულოვანი ეპოქის მსუსხავმა ჰავამ თავისი კვალი დასტოვა კაჭრებში (валун) და სხვაგან. ოდესღაც შპიცბერგენი დაფარული იყო ტროპიკული ჭაობებით, რომლებიდანაც წარმოიშვენ კუნძულზე ახლა არსებული ნახშირის საბუდოები, სამხრეთ-აფრიკაში კი უძველეს დროში იქ, სადაც ახლა უდაბნოებია, ყველაფერი ყინულით იყო დაფარული. „სულ რამდენიმე ხნის წინათ" (გეოლოგიისათვის ეს მცირე დროა)—100—150.000 წლის წინათ—ევროპიული რუსეთი და მთელი შუა ევროპა ყინულით იყო დაფარული. ასეთივე ბედი ეწვია კანადას, ჩრდილოეთ-ამერიკას და სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს. ეს ყინულოვანი პერიოდი რამდენიმეჯერ, ასე ვსთქვათ, „გაწყვეტილი" იქნა უფრო თბილი ე. წ. ყინულთაშორისო პერიოდებით. როცა თანდათან იღვიძებდა სიცოცხლე დედამიწაზე და ჩნდებოდა მინდორ-ველები და ტყე სპილოებით, მარტორქებით და სხვა ცხოველებით, რომლებიც ცხოვრობდნენ იქ, სადაც ახლა გუგუნებენ ლონდონის, პარიზისა და ბერლინის ქუჩები.

ისტორიულ ეპოქაშიც აღნიშნულია ჰავის გამოცვლა, მართალია, არა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც უძველეს დროში, მაგრამ საკმაოთ მკვეთრი.

მეთვრამეტე საუკუნეში ისეთი ცივი ზამთრები იყო, რომ ბალტიის ზღვა არა-ერთელ გაყინულა მთლიანად და ხალხი ცხენით მოგზაურობდა შვეციიდან აღმოსავლეთ-პრუსიაში და ლიფლიანდიაში.

ამრიგად, ჰავის შეცვლა, საკმაოდ შესამჩნევადაც კი, არ წარმოადგენს რაღაც არაბუნებრივ მოვლენას. რით არის გამოწვეული ჰავის ასეთი ცვლა? ჩვეულებრივათ ამ კითხვაზე უპასუხებენ ეკლიპტიკის მიმართ დედამიწის ღერძის დახრილობის შეცვლით. როგორც ვიცით, ეკლიპტიკა ეწოდება იმ სიბრტყეს, რომლითაც დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და რომელიც დახრილია დედამიწის ეკვატორისადმი 23—24° კუთხით.

ამ კუთხეზეა სწორეთ დამოკიდებული წლის დროთა ცვლა. ამ დახრილობის წყალობით, დედამიწის სხვადასხვა რაიონები (სარტყელები), მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის დროს მეტ ან ნაკლებ მზის სხივებს ღებულობენ—დგება ხან ზაფხული, ხან ზამთარი. რომ დედამიწის ღერძი არ იყოს დახრილი ეკლიპტიკისადმი და უკანასკნელი ეკვატორის ხაზზე მდებარეობდეს, დედამიწის ერთი და იგივე რაიონები ყოველთვის ერთნაირის რაოდენობით მიიღებდენ სითბოს და იმ დროს, როცა დედამიწის ერთ ნაწილში მუდმივი ზაფხული იქნებოდა, მეორე ნაწილი მუდმივი ზამთრის მთელ საშინელებას განიცდიდა.

ყოველგვარი ცვლილება დედამიწის ღერძის დახრილობაში ეკლიპტიკის მიმართ, იწვევს დედამიწის კლიმატიური რაიონების გადაჯგუფებას—პოლიარულ ქვეყნების ეკვატორიალური ხასიათი ეძლევათ, ეკვატორთან მდებარე ქვეყნებს კი—პოლიარული. რაც შეეხება თვით დედამიწის ღერძის დახრილობის შეცვლის მიზეზებს, ამ საკითხის გარშემო გაცხოველებული დავაა.

უკანასკნელ ხანებში ყველაზე უფრო მეტის ნდობით სარგებლობს ცნობილ შვედ მეცნიერ—გეოფიზიკოს სვანტე არრენიუსის მიერ წამოყენებული თეორია. მისი აზრით, ჰავის შეცვლა გამოწვეულია ნახშირმჟავას რაოდენობის ცვლით დედამიწის ატმოსფერაში. საქმე იმაშია, რომ ნახშირ-მჟავა შთაუნთქავად ატარებს მზიდან დედამიწაზე მომავალ მზის სხივებს. სითბოს იმ სხივებს კი, რომელსაც იტყორცნის გამთბარი დედამიწა, აკავებს ნახშირმჟავა გაზი, რომელიც ან ნთქავს მას, ან უკუაგდებს. რომ დედამიწის ატმოსფერიდან გაქრეს ნახშირმჟავა გაზი, რომელიც 0,03% რაოდენობით მოიპოვება მასში, საშუალო წლიური ტემპერატურა დედამიწაზე დაიკლებს 9 გრადუსით.

ნახშირმჟავა გაზის რაოდენობის ზრდა იწვევს უფრო ზომიერი, ე. წ. ზღვის ჰავის დადგომას, როცა წლის სხვადასხვა დროთა შორის ერთგვარი თანაზომიერება მყარდება.

ცნობილი მეტეოროლოგი ზორე ამბობს: უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ჩვენ მუდამ გვეწინასწარმეტყველებენ ცივ და სუსხიან ზამთარს და ყოველთვის ეს წინასწარმეტყველება შემცდარი გამოდის. მე ვფიქრობ, რომ წინანდელმა თაობებმა იცოდენ წლის დროთა უფრო სწორად განსაზღვრა, ვიდრე ახლა. ე. ი., როცა ზამთარი მართლა ცივი იყო, ზაფხული კი—ცხელი. ასე იყო, არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ სხვა მხარეებშიც ნორვეგიის ექსპედიციებმა, რომლებიც ყინულიან ოკეანეში მუშაობენ, ჯერ კიდევ 1918 წ. შენიშნეს ტემპერატურის ზრდა.

ახლანდელი პოლიარული ტემპერატურა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ნანსენს ჰქონდა წარსული საუკუნის მიწურულში. 1926 წ. თებერვალში შპიცბერგენის ახლო არ შეუნიშნავთ ჩვეულებრივი მოძრავი ყინული, კინგსბეი კი სრულიად თავისუფალი იყო ყინულიდან. ამავე დროს შემჩნეულია ყინულების სწრაფი დნობა ალპებში. რაც შეეხება ზაფხულის ამინდს, იგი უკანასკნელი წლების განმავლობაში პირდაპირ აუტანელი შეიქნა.

ნ. ტ.

დედამიწის საკუთარი სინათლე

ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ დედამიწა ბნელი სხეულია, რომელიც არ ანათებს. უკანასკნელი გამოკვლევები კი ამტკიცებენ: უდავოა, რომ ჩვენი პლანეტა რაღაც სინათლეს ისვრის ატმოსფერაში. მისი ატმოსფერის ზედაფენებიდან გამომდინარეობს რაღაც მკრთალი ელვარება, რომელიც ვარსკვლავთა კაშკაშს უერთდება და ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი ყოფილა. თუ ნათელ, უმთვარო ღამეში ტელესკოპით შევხედავთ ცის იმ ერთ-ერთ ნაკვეთს, სადაც არ სჩანს არც ერთი ვარსკვლავი, უსათუოდ შევნიშნავთ რაღაც მკრთალ სინათლეს. საიდან გაჩნდა ეს უცნაური სინათლე?

ეს საკითხი, რომელიც გადაიჭრა მხოლოდ ამ რამოდენიმე ხნის წინათ, წამოიჭრა ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მიწურულში. წამოაყენა იგი ცნობილმა ამერიკელმა ასტრონომმა (აწ უკვე განსვენებულმა), ნიუკომმა. ნიუკომმა მიზნათ დაისახა ვარსკვლავთა მთელი სინათლის ძალის გაზომვა. აღმოჩნდა, რომ უმთვარო ღამის სინათლის ძალა მეტია, ვიდრე ვარსკვლავების მიერ გამოგზავნილი სინათლის. თუ ღამის ცის სინათლეს გამოვაკლებთ ვარსკვლავების სინათლეს, დაგვრჩება რაღაც მონარჩომი, რომლის წყარო სადღაც სხვაგან უნდა ვეძიოთ. ამ ზედმეტი სინათლის ახსნა იმით, რომ იგი ხელოვნური სინათლის ანარეკლია, არ შეიძლება, რადგან ეს უცნაური სინათლე შემჩნეულია დასახლებული ადგილებიდან უშორეს მანძილზე მდებარე რაიონებშიც.

შეეცადენ აეხსნათ ამ სინათლის არსებობის მიზეზები დედამიწის ატმოსფერის გამფანტავი მოქმედების ზეგავლენით: ჰაერი ისევე ჰფანტავს ვარსკვლავთ სინათლეს, როგორც დღისით ჰფანტავს მზის სხივებს. ყველამ იცის, რომ დღისით სინათლეა არა მარტო იქ, სადაც პირდაპირ ხვდება მზის სინათლე: სინათლე და ჩრდილი იმიტომაა, რომ იქ იჭრება გარშემო მდებარე საგნების, ღრუბლების და ჰაერის ნაწილაკების მიერ განატყორცნი სინათლე. მაგრამ საკითხის დეტალური განხილვით გამოირკვა, რომ ვარსკვლავთ სინათლის გაფანტვა ჰაერის ნაწილაკების მიერ არ არის საკმაო ღამის ამ უცნაური სინათლის ასახსნელათ. ნიუკომმა საკითხი გადაუჭრელად აღიარა და თავის მიმდევრებს უანდერძა მისი გადაჭრა.

ნებას მივსცემ ჩემს თავს მოვიყვანო ზოგიერთი ციფრები, რათა შესაძლებლად გახდეს წარმოდგენა ღამის იმ სინათლის ძალის, რომელზედაც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი. რა ძალით ანათებს მთვარე? სავსე მთვარე იმდენივე სინათლეს გამოჰყოფს, რამდენსაც თეთრი ქრქალი დისკო განათებული 1200 სანთლით ერთი მეტრის სიშორიდან. ღამის ცის უცნაური სინათლის ძალა კი 6 მილიონჯერ სუსტია. იგივე დისკო უნდა განათდეს მხოლოდ ერთი სანთლით 70 მეტრის სიშორიდან, რომ მივიღოთ ამ ძალის სინათლე.

ბუნებრივათ წარმოიშვა აზრი: ხომ არ არის ღამის ეს სინათლე რაღაც ჩრდილოეთის ელვარების მაგვარი? ასეთი მოსაზრება წამოაყენა რამდენიმე მეცნიერმა, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ღამის ცა თანაბრად არის განათებული ყველგან, პოლიარული ელვარების სიძლიერე კი მატულობს ეკვატორისგან დაშორების მიხედვით. მაშასადამე, თუ პოლიარულ ელვარებებს შეაქვთ თავისი წვლილი ამ „ზევარსკვლავეურ სინამდვილეში"—მისი მთავარი წყარო მაინც სხვა უნდა იყოს.

ამ წყაროს აღმოჩენის დამსახურება მიუძღვის ამერიკელ ასტრონომ გემფრის. დედამიწის ატმოსფერა იმიტომ ანათებს, რომ მას განუწყვეტლივ ჰკვეთენ და სერვენ სხვადასხვა მიმართულებით ცთომილი ვარსკვლავები.

სამყარო, რომლის სივრცეში საშინელის სისწრაფით მოძრაობს ჩვენი პლანეტა, სავსეა კოსმიური მტვერით. დედამიწა იზიდავს ნაწილაკებს, ისინი საშინელი სისწრაფით მოისწრაფვიან დედამიწისაკენ, ატმოსფერაზე ხახუნის გამო ენთებიან და იწვიან. მათგან უფრო დიდებს, რომლებიც ღრმად იჭრებიან ჩვენს ატმოსფერაში, ვამჩნევთ ვარსკვლავებს შორის ანთებულ ცეცხლს რკალების სახით, მაგრამ მანათობელ ციურ სტუმრების დიდი ნაწილის შემჩნევა ცალ-ცალკე შეუძლებელია. ისინი ერთდებიან ერთ ძლიან ელვარებაში. ეს არის სწორედ დედამიწის საკუთარი სინათლე, რომელიც ვარსკვლავების სინათლეს უერთდება.

გამოანგარიშებით მტკიცდება, რომ ასეთი სინათლის ეფექტის წარმოსაშობათ საჭიროა მეტეორული მტვერის წვიმა, რომელსაც ყოველივე წამში მოაქვს დედამიწაზე 3 კილოგრამი ნივთიერება. ეს შეადგენს წელიწადში 6.200.000 ფუთ ნივთიერებას, რომელიც უერთდება ჩვენს პლანეტის მასას. მაგრამ ჩვენი დედამიწის სიდიდესთან შედარებით, ეს მატება ძლიერ უმნიშვნელოა: ასეული მილიონი წლები გავა მანამდე, სანამ ჩვენს პლანეტას ამ მეტეორული წვიმის წყალობით ერთი სანტიმეტრი სისქე მიემატება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჩვენი პლანეტა არ არის ბნელი სხეული. მისი ატმოსფერა მუდამ ანათებს იმ კოსმიური ნაწილაკების ზეგავლენით, რომლებიც აურაცხელის რაოდენობით მოისწრაფვიან დედამიწისაკენ.

ი. პერელმანი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

თამბაქოს ქარხანა „ფაზისი“

ქუთაისი, 7 აგვისტო. თამბაქოს ქარხანა—„ფაზისი“, რომელიც ინვალიდების კოოპერატიულ ამხანაგობას ეკუთვნოდა და მუნდშტუკების მასალის უქონლობის გამო უნდა დახურულიყო, არ იხურება. ფაბრიკამ როსტოვში იყიდა 3.000 რგოლი მუნდშტუკის მასალისა, რომლის ნაწილი უკვე მიღებულია. ფაბრიკა მასალით 1 წლით არის უზრუნველყოფილი. ფაბრიკის მწარმოებლობა აყვანილია 70.000 ცალ პაპიროსზე ერთი დღის განმავლობაში. ფაბრიკის ნამუშევარზე მოთხოვნილებები იზრდება.

ფასების დაწევა ფქვილზე

ქუთაისი, 7 აგვისტო. კერძო ბაზარზე ფქვილის ფასებმა დაიწია. ყუბანის პირველი ხარისხის თეთრი ფქვილის ფუთის ფასი დაეცა 4 მან. 30 კაპიკიდან—3 მან. 70 კაპიკამდე.

ლენინის ძეგლი ქუთაისში

ქუთაისი, 7 აგვისტო. დამთავრდა ლენინის ძეგლის აგება პარიზის კომუნის მოედანზე. ძეგლის გახსნა სექტემბერში შესდგება.

უძრავი ქონების ხელმეორე შეფასება

ქუთაისი, 7 აგვისტო. სახელმწ. დაზღვევის ქუთაისის სააგენტო შეუდგა კერძო უძრავი ქონების აღწერას მათი ხელმეორე შეფასების მიზნით. ეს მუშაობა ამ მოკლე ხანში დამთავრდება.

ქუთაისი, 7 აგვისტო. 15 აგვისტოს ქუთაისში გაიხსნება პასტერის სადგური, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიით.

მეცადინეობის დაწყება სკოლებში

ქუთაისი, 7 აგვისტო. ქუთაისის ყველა სასწავლებლებში 4, 7 და 9 წლედებში გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. მეცადინეობა —მეცადინეობა 15 სექტემბრიდან.

ბორანი

ქუთაისი, 7 აგვისტო. ზეკარის გზაზე, მდინარე ყვირილაზე, გაკეთებულ იქნა ბორანი. ბორანი მთელი მოწყობილებით დაჯდა 6.000 მანეთი.

ახალქალაქის ველებზე

ახალქალაქი, 7 აგვისტო. მაზრის ცენტრალურ ნაწილში ივლისის მეორე ნახევრიდან დაიწყო გვალვა და მშრალი ქარები. გვალვამ გავლენა იქონია მოსავალზე. მოსავალი ჯერ არ მოუწევიათ.

მავნებლები

ახალ-ქალაქი, 7 აგვისტო. სოფ. ნაქალაქევის, მარგასტანის და ანაკეტის რაიონის ბოსტნებში მავნებლები ანადგურებენ მოსტნეულს. აგრო-განყოფილებამ მიიღო ზომები მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

თესლის დასამზადებლად

ახალ-ქალაქი, 7 აგვისტო. სამაზრო აღმასკომის სასოფლო - სამეურნეობაში გამოუყენებელ თავისუფალ თანხებს გადასცემს მიწის განყოფილების საკვები ბალახეულის თესლის დასამზადებლად. ჯერ-ჯერობით დამზადებულია 1.000 ფუთი თესლი. ამას გარდა განზრახულია კიდევ დამზადდეს 3.000 ფუთი. დამზადება საკრედიტო ამხანაგობის საშუალებით სწარმოებს.

ტყეების გლეხობაზე გადაცემა

გორი 7 აგვისტო. დამთავრდა გორის მაზრაში ადგილობრივ მნიშვნელობის მქონე ტყეების გლეხებზე გადაცემა. სულ გლეხებს გადასცეს 33.310 ნახ. დესეტინა; ტყეების საყარაულოთ და მოსავლელად სოფლელებმა აირჩიეს ტყის დარაჯები, რომელნიც მაზრის სატყეო ინსპექციასთან შეთანხმებით იმუშავებენ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

გორი, 7 აგვისტო. გორში და ახლო-მახლო სოფლებში ჩატარებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის („წერკუმსი“-ს) კვირეული. „წერკუმსი“-ს სამაზრო სამმართველოს კვირეულმა კარგი შედეგები მოიტანა, როგორც აგიტაციის საქმეში, ისე ფონდის გამაგრების მხრივ. გრძელდება კვირეულის ჩატარება მაზრის დანარჩენ ნაწილებში.

მოსავალი სიღნაღის მაზრაში

სიღნაღი, 7 აგვისტო. წრეულს ელოდნენ განსაკუთრებულ მოსავალს, თუმცა, ივლისის წვიმებმა მისი ხარისხი შეამცირა. ვენახები ძლიერ დაზიანდა სეტყვის გამო; ზოგიერთ რაიონებში, როგორც მაგალითად, გურჯაანის რაიონში, ვენახი სანახევროდ განადგურდა. კაჭრეთის რაიონში ნიაღვარმა წაიღო თივა, მკა შეჩერდა ხშირი წვიმების გამო. თამბაქოს ნათესები კარგ მდგომარეობაშია.

ექსკურსიები გორში

გორი, 7 აგვისტო. ჩამოვიდა ლენინგრადის კომუნისტურ უნივერსიტეტის ექსკურსია. ექსკურსიის შემადგენლობაში შედის ფინელები და ესტონელები. სამაზრო აღმასკომის მიერ დანიშნულ პირის ხელმძღვანელობით ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ციხე-სიმაგრე, ვაჟაზებული, ქალაქი უფლის-ციხე და სხვ. გორიდან ექსკურსია გაემგზავრება თბილისში. იმავე დღეს ბაქოდან ჩამოვიდა საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის მოწაფეთა ექსკურსია.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

სიღნაღი, 7 აგვისტო. სამაზრო აღმასკომი ალაზნის იქითა რაიონში სოფ. ქიაურში ხსნის ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

მუშათა საცხოვრებელი ბინები

ბათომი, 7 აგვისტო. მუშათა საცხოვრებელი ბინების შენება ჩქარის ტემპით სწარმოებს. ნავთის სინდიკატმა ხელახლა შეიძინა 10.000 ფუთი ცემენტი, ჩაყრილია საძირკველი 8 ახალ სახლსათვის.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 7 აგვისტო. სტამბოლში წავიდა იტალიის გემი „ატლასი“, რომელმაც წაიღო 2.539 ტონი ნავთი. საზოგადოება „პაკე“-ს გემმა „მონი“-მ წაიღო 400 ტონი ნოხები, ფრიზოები და სხვა, რომელიც მარსელში უნდა ჩავიდეს.

ზღვაში დახრჩობა

ბათომი, 7 აგვისტო. 4 აგვისტოს მოქ. პეტროვა, რომელიც თავის 13 წლის ვაჟს და 15 წლის ქალს მიჰყველა, რომ მდინარეში დახრჩობისაგან გადაერჩინა, თვითონ მოექცა ჩქერში და წყალში ჩაიძირა. ადგილობრივ მშველელმა პუნქტმა ბავშები ამოიყვანეს წყლიდან და გრძნობაზე მოიყვანეს. პეტროვას გადარჩენა კი არ მოხერხდა. მისი ცხედარი ალმოაჩინეს.

სავაგზლო მიმოსვლის გაგრძელება

ბათომი, 7 აგვისტო. ამიერ-კავკასიის რკინისგზის ბათომის ქსელში მოაგარაკეთა და ექსკურსანტების მოზღვავების გამო გაძლიერებულია მიმოსვლა ბათომ-ქობულეთსა და ბათომ-ოზურგეთს შორის. სახმარათ გადაყვანილ იქნა ლენინგრადის რონოდების მშენებელი ქარხნების 50 ახალი მაგარი რონოდა.

ზეთისხილი ოსმალეთიდან

ბათომი, 7 აგვისტო. ტრაპიზონიდან ჩამოიტანეს ახალ მოსავლის ზეთისხილის პირველი პარტია, 2500 ვედრის რაოდენობით.

აბრეშუმის პარკის ექსპორტი

ბათომი, 7 აგვისტო. საზოგადოება „სპარსეთის აბრეშუმი“-ს მორიგე გემით მარსელში გაგზავნილ იქნა 12 რონოდა (18000 კილო) აბრეშუმის პარკი, რომელიც ენზელიდან იყო მიღებული (ორტრანს-ის) საზოგადოების მიერ „ტრანსპორტის“ საზოგადოების საწყობებში დამზადებულ იქნა 20000 კილო აბრეშუმის პარკი, მილანში გასაგზავნად.

ხანძრის საწინააღმდეგო ზომების მიღება

ბათომი, 7 აგვისტო. ბათომის მეხანძრეთა ინსპექციამ თავის მუშაობა გააფართოვა რესპუბლიკანური მასშტაბით. ჩაქვში სოფლელ მოხალისეებიდან დაარსდა ხანძრის ჩამქრობი პუნქტი. ყველა აუცილებელი ინვენტარი დამზადებულია.

შემდეგში ასეთი პუნქტები მოეწყობა ხულოს, ქედას და აჭარის წყალში.

ამბულატორია მუშებისათვის

ბათომი, 7 აგვისტო. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო ქვეგანყოფილებამ, თამბაქოს ფაბრიკა „აღმოსავლეთ“-თან გახსნა ამბულატორია, რომელიც სამსახურს გაუწევს ფაბრიკის 150 მუშას.

სასაკლაოსათვის წყლის მიწოდება

ბათომი, 7 აგვისტო. ქალაქის აღმასკომის კომბინატი აწარმოებს სასაკლაოზე წყლის მისაწოდებელ მუშაობას, რომელიც აგრეთვე ახლო მდებარე სოფელს ანგისასაც მისწვდება. მილების ხაზი გაყვანილია 3 ვერსის მანძილზე, მუშაობაზე იხარჯება 25.000 მან. უწინ სასაკლაოს წყალი კასრებით მოჰქონდათ მეჯინა-სუს წყაროდან.

წითელი „ნახევარი მთვარე“ სოფელში

ბათომი, 7 აგვისტო. „წითელი ნახევარი მთვარის“ აჭარისტანის კომიტეტი აწარმოებს სააგიტაციო კამპანიას სოფლის მცხოვრებლების მთელ რიგ ორგანიზაციებში ჩასაბმელად. კამპანია ჩქარის ტემპით ტარდება. ხელახლა ჩაეწერა 6000 წევრი გლეხებიდან.

წერილები

იყო და აღარ არის გიორგობიანი

(გლდანი, თბილისის მ.)

იყო გლდანში, თბილისის მაზრაში, ერთი ჩუმი და უწყინარი მოქალაქე, გიორგობიანი. იყო და აღარ არის. რა გულით [illegible] გლდანის გლეხები ამ მშვენიერ ყმაწვილს, რამდენ ცრემლებს ღვრიან ასეთ ვაჟკაცის უდროოდ დაკარგვისათვის.

მაგრამ თავისივე თავს დააბრალონ. რათ გაადაცდინეს კაცი სწორ გზას, რათ დალუპეს სამუდამოთ და ისეთი საქმე მიაჩნიეს, რომელზედაც გიორგობიანს ეცვალა ფერი, როგორც ზღაპრულ იესო ქრისტეს ფერისცვალების ღამეს.

დღეს გლდანში არის მხოლოდ თავმჯდომარე გიორგობიანი, რომელიც არ სცნობს არც სასამართლოს, არც სამართალს და არც ღარიბ გლეხების ინტერესებს. ფაქტი გინდათ, არა? კეთილი ინებეთ.

ღარიბ- ცალფეხა გლეხს, მაისურაძეს, მეზობლის ვენახში კამეჩი შეუვიდა. თავმჯდომარემ დაიბარა კამეჩის პატრონი და მრისხანე ხმით გამოუცხადა: „მოკვდი და გაიჩინე 10 მანეთი ბაღის პატრონის სასარგებლოთ და ერთი მანეთიც სოფლის საბჭოს სალაროში შეიტანეო“. კაცი გაშეშდა, კამეჩს იოტის ოდენა არაფერი წაუხდენია. სახლში კატა შიმშილით უკვდებოდა, სად უნდა გაეჩინა ეს ფული?

შეეხვეწა ისევ თავმჯდომარეს. „შენმა თვალის სინათლემ, შენმა სიყრმემ, ნუ გადამახდევინებ ფულსა ვენახოთ რა შეჭამა იმ მუცელზე გასახეთქმა, ი სამგლემ: სიმინდი იქნება, სიმინდათ ვზღამ, ლობიოს—ლობიოთი გადავიხდიო“.

მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ. აკი მოგახსენეთ, აღარ არის ძველი, უწყინარი გიორგობიანი. არის მხოლოდ სოფლის თავნება ადმინისტრატორი—თემაღმასკომის თავ-რე გიორგობიანი. რისთვის, ან რათ დასჭირდა მას გლეხების ასე დიდი თანხით დაჯარიმება? ნუ თუ სოფელში წესრიგის დაცვის ინტერესით, ან საქმის სიყვარულით? ამასაც ქვემოთ დაინახავთ.

სადაც იყო და როგორც იყო, „პირში სული ამოიძრო“, სესხით და ვახშით შეაგროვა მაისურაძემ ჯარიმა. როცა მან მიიტანა ფული გადასახდელათ, თავმჯდომარე და „მოძოვებულ“ ადგილის პატრონი ერთად ისხდენ სამიკიტნოში. დაინახეს თუ არა ფული, ხელად კვარტი-კვარტზე გადმოიშვა. გაჩნდა ერთი ყლაპაყლუპი. გიორგობიანმა იმდენი ნამუსი კიდევ იხმარა, რომ მაისურაძესაც დაუძახა, ხელში ერთი ჭიქა ღვინო მისცა, სუფრა დაალოცვინა და უთხრა „შერიგდით შენა და იმ მამულის პატრონი, დღეიდან ერთად შეზრდილი ძმებივით დარჩით“-ო.

საწყალ მაისურაძეს რაღა ეღონებოდა. უცებ გადაჰკრა ჭიქას ხელი, მერე ისე დაიჭყანა, თითქოს მუცლის საწმენდი ზეთი დალევიაო და გულდამწვარი წამოვიდა სახლისაკენ.

ზონა ქალი.

როგორ ვაჭრობენ მიწით

მიწის ყიდვა-გაყიდვა ფართე ხასიათს ღებულობს. საჭიროა მას დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადოს. სამწუხაროდ, ადგილებზე ზოგჯერ ვერ არის სავსებით გაგებული ის საშიშროება, რომელსაც რევოლიუციის ერთ უდიდეს მონაპოვარს უმზადებს ეს სენი.

ამ ბოროტებასთან საბრძოლველად საჭიროა მიწის კოდექსის პოპულიარიზაცია. ამ მხრივ კი ძლიერ ცოტაა გაკეთებული.

მე შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი მიწის სასამართლოს სხდომას, სადაც თემში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგი აცხადებდა, რომ იგი შუამავალი იყო მყიდველსა და გამყიდველს შორის. ამხანაგს რომ კანონი სცოდნოდა, ის შუამავალი კი არა, მიწის გაყიდვის შეუბრალებელი მტერი იქნებოდა, როგორიც ეხლა არის.

მიწის კანონების ერთი საუკეთესო გამავრცელებელი ჩვენი სასამართლოებია. ზოგი მოსამართლე გაურბის მიწის მოვაჭრის საჯარო გასამართლებას. მიწის საქმეები სოფლებში, ადგილებზე უნდა ირჩეოდეს სესიების საშუალებით—ჯერ არც ეს არის ყოველგან შემოღებული

ასეთ მუშაობასთან ერთად, უცილებლად საჭიროა რეპრესიაც. მიწის გამყიდველი და მყიდველი რევოლიუციის უდიდესი მტერია და იგი უნდა დაისაჯოს. სამწუხაროდ არც აქ არის ზოგჯერ ყველაფერი რიგზე.

საქმის გაჭიანურება, პირობითი სასჯელი და სხვა. სრულებით აქარწყლებს იმ შედეგს, რომელსაც სასამართლოს განაჩენი უნდა იძლეოდეს.

დასასრულ სანოტარო კანტორების შესახებ. აქ ამხანაგებს მართებს ყველაზე მეტი სიფრთხილე და სწორი, კლასიური მიდგომა საკითხისადმი. ჩვენი კანონებით დაშვებულია საცხოვრებელი სახლის გაყიდვა სახლის მყიდველის სარგებლობაში საეზოვე მიწაც გადადის. ეს აქტი ფორმალურად მტკიცდება ნოტარიუსთან.

რა ხდება ხშირად?

საეზოვე მიწაზე პატარა სამზარეულოა, სასიმინდე ან სხვა ასეთი უმნიშვნელო შენობა და ასეთი—50 მანეთად ღირებული შენობა „ყოველგვარ ფორმალურ მხარეების დაცვით“, იყიდება 500-600 მანეთად. რა გაიყიდა ასეთ შემთხვევაში: მიწა თუ სამზარეულო? ადვილი გასაგებია.

კიდევ შემთხვევა: მიწის მყიდველი გამყიდველთან წინასწარ შეთანხმებით (როდესაც უკანასკნელს სათანადო შესაძლებლობა არ აქვს), აშენებს პატარა შენობას სხვის სარგებლობაში მყოფ მიწაზე და შემდეგ ყიდულობს, როგორც თავის საკუთარ შენობას, ისე სხვის მიწასაც.

რამდენი ამგვარი კომბინაციები გნებავთ კიდევ?! ერთი სიტყვით, დიდი სიფრთხილეა საჭირო.

დ. ნ—ი.

მასწავლებელთა კურსები

(თელავი)

15 ივლისიდან უკვე ქ. თელავში თავი მოიყარა გადასამზადებელ კურსებში მივლინებულ და გამოწვეულმა მასწავლებლობამ. მეცადინეობა 16-დან დაიწყო. სოფლის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში მომუშავეების მოხსენებები გაგრძელდა თითქმის 10 დღეს. მოხსენებას ესწრებოდენ სხვა კურსების მსმენელებიც როგორც საზოგადოებათ-მეცნიერების, ისე ბუნებისმეტყველების. ხაზგასმით უნდა ითქვას რომ გლეხთა ახალ სკოლების თანამშრომლები, განსაკუთრებით ბევრს მუშაობენ და აკეთებენ.

რაც შეეხება საზ.-მეცნიერების და ბუნებისმეტყველების კურსების მსმენელებს, ისინი დაყოფილ იქნენ სექციებად და თითეულ სექციას მიეცა თემა კოლექტიურად დასამუშავებლად. თემა მუშავდება და სისტემატიურად იკითხება. მუშაობა აქაც მიმდინარეობს. რომ ჩვენმა სკოლებმა მომავლისათვის შეასრულონ და გაამართლონ ყველა ის მიზნები, რომელსაც ისინი ისახავენ, საჭიროა კურსებიდან გაგვაყოლონ მასწავლებლობას შეძლებისდაგვარად ლიტერატურა. იმედია განათლების კომისარიატი ამას მოახერხებს.

გარდა ამისა კურსებში თავმოყრილია მასწავლებლობა რესპუბლიკის მასშტაბით. კარგი იქნება და სასურველიც, რომ კურსების გამგის და ხელმძღვანელების ინიციატივით მოეწყობოდეს ექსკურსია ან ბაქოში ან და ბათომში. ტეხნიკური მხარეების მოწყობა შესაძლებელია თუ კი ცოტა დახმარება იქნება.

ვ. პაჭკორია.

რა შექმნა მუშკოოპმა

სართაჭალის, მარტყოფის და ყარაიაზის თემებში თბილისის მუშკოოპი ახდენს თავის განყოფილებების რეორგანიზაციას. განყოფილებათა მაგიერ არსდება ადგილობრივი მომხმარებელთა საზოგადოებები „ეპო“. მუშკოოპს ჩამოსცილდება საკრედიტო, და საწარმოო ფუნქციები. მათ მაგიერ არსდება ამხანაგობები.

რასაკვირველია, ეს საკითხი უკვე მომწიფებულია. ის თვით ცხოვრებამ წარმოშვა. უკვე დრო არის, რომ გლეხობა ჩაებას თვითმოქმედების საქმეში და თვითონ გახდეს საკუთარი კოოპერაციის ხელმძღვანელი.

მაგრამ ამ რეორგანიზაციას მთელი გლეხობა უარყოფით შეხვდა. ისინი გამოსთქვამდენ შიშს, არ დაგვემართოს ის, რაც უკვე გადაგვხდიაო! გარე-კახეთში ოთხჯერ დაიღუპა კოოპერატივი და დაიღუპა ხალხის ფულიც.

სულ სხვაა მუშკოოპი. სამი წლის წინათ მუშკოოპმა დაიწყო ქალაქ-გარეთ მუშაობა ერთი დუქნით, შემდეგ აიყვანა 13 დუქნამდის, რომლის ბრუნვა უდრის თვეში 80—90 ათასი მანეთს (წინათ კი 2.000 მან.). გაიხსნა 6 სარძეო ქარხნები საუკეთესო მანქანებით. რძის გადაზიდვა თბილისში აიყვანა 100 ფუთიდან თვეში 10.000 ფუთამდის.

გახსნა საკრედიტო განყოფილება, რომლის საშუალებით უღარიბეს გლეხობისათვის იყო შეძენილი 400 ძროხა, 100 ხარი და ცხენი.

ასეთია მუშკოოპის სამი თვის მოღვაწეობის საერთო სურათი. ამიტომაა, რომ მუშკოოპის წასვლა დღეს რაიონებიდან აცრემლებს მთელს გლეხობას.

ა. ს.

მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის

(სენაკის მაზრა)

რაიონებში მიმაგრებულნი პარტინსტრუქტორები 1 ივლისიდან შეუდგენ თემაღმასკომის საშუალებით უღარიბესი, ღარიბი და საშუალო გლეხთა აღრიცხვას. რაც გაგრძელდა 15 ივლისამდე. აღრიცხვის შემდეგ თემები დაიყო რამოდენიმე უბნებად, რომ ზემოხსენებული გლეხობა შეგროვილი იყო უბნებში, რათა მეტი აქტივობა გამოეჩინა მათ კრებაზე.

მიუხედავად მინდვრის მუშაობისა, გლეხობის საკმაო პროცენტი ესწრება კრებას, სადაც ისმენენ მოხსენებას „უღარიბესი გლეხთა ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების“ შესახებ.

გლეხები სურვილს გამოსთქვამდენ ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბების და მისთვის ხელის შეწყობის შესახებ. კრება მოითხოვდა აგრეთვე სოფლად კოლექტიური მეურნეობის მოწყობა-გამაგრებას. კოლექტივები ნაწილობრივად ზოგიერთ თემებში უკვე დაარსებულია, რასაც მომავლისათვის უნდა გაეწიოს სათანადო ხელმძღვანელობა.

ლეო თოდუა.

პირველი ცდა

(ლია, ზუგდ. მ.)

ჩვენს რაიონში აუარებელი თუთის ხეა, რაც ხელს უწყობს მეაბრეშუმეობის განვითარებას. აქ არსებობს რაიონული სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობა „მეურნე“. მან მიზნად დაისახა გლეხობისაგან პარკის შესყიდვა და განაღდება. მიმდინარე წელს „მეურნე“ პირველად აწარმოებს აბრეშუმის ოპერაციას. მისი თანამშრომლები ცდილობდენ ამ საქმის რიგიანად ჩატარებას და არავითარ ენერგიას არ ზოგავდენ გლეხების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა მათ მაინც მიაღწიეს მიზანს.

კოოპერატივში გლეხებს განუწყვეტლივ მოჰქონდათ პარკი. ღირებულებასაც იმ წამსვე ღებულობდენ და დიდათ კმაყოფილნი ბრუნდებოდენ სახლში. უკანასკნელ ხანებში ამხ-ბის ორივე ფარდულში შეგროვდა 1700 ფუთი პარკი. მართალია საზოგადოება „აბრეშუმიდან“ საკმარისი თანხა არ ქონდა ჩვენს კოოპერატივს მიღებული, მაგრამ ისე მოაწყო საქმე, რომ ერთი საათი არ დაუტოვებია გლეხი დაუკმაყოფილებლად.

შიგნით ფარდულებში პარკის მომზადება ზედმიწევნითაა დაყენებული. პეპლების გამოსვლას და სხვა დაზარალებას ადგილი არ ქონია. გლეხები კოოპერატივის ასეთი ენერგიული მუშაობით, როგორც აბრეშუმის პარკის ოპერაციაში, ისე სხვა დარგებში დიდათ კმაყოფილნი არიან.

აჯაბუჯა.

წერილებიდან

წითელ-ქალაქი (გორ. მ.)

უბრალოდ დაკარგული ბავში. გასულ წლის 16 აგვისტოს, აქაურ მცხოვრებ, ბარნოვის ბაღში გადაპარულიყო მწყემსი ბავში ნაზარბეგოვი. ბარნოვმა ბავშს წაართვა ხარი და მამასთან დაბეზღებასაც შეჰპირდა. შეშინებული ბავში მაშინვე სადღაც გადავარდა და დღემდი არ დაბრუნებულა. ბარნოვისათვის პასუხი არავის არ მოუთხოვია.

წყარო.

ზანძა (სენ. მაზრა)

ცირუ დასეირნობს. მასწავლებელი ცირუ შავდია თავს ავადმყოფად იკატუნებს. ყველას შეჩივის ავათ ვარო და საქმეს არ აკეთებს. რომ შეხედოთ, მდევს გადაყლაპავს ისეთი გამომეტყველებისაა. თან ხშირად თბილისში და ბათომში დასეირნობს. დაილოცა ცირუს ავადმყოფობა.

ი. სურაშვილი.

წაღვერად

აგარაკს არ შეშვენის. წაღვერი ცნობილი საგარაკო ადგილია, მაგრამ აქ სამაგიეროთ საგარაკო უსუფთაობასაც აქვს ადგილი. აღმასკომის სანიტარულ კომისიას სალათას ძილით სძინავს. გარდა ამისა, მოაგარაკენი წარმოუდგენელ წვალებას განიცდიან უწყლობის გამო. თუმცა ონკანები თითქმის ყველა უბნებში არის, მაგრამ წყალი არსად გამოდის. აგარაკზე ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია.

მელი რეველი.

მუხური (ზუგდ. მაზ.)

ნახეს გასართობი. ჩვენი სოფელი ცნობილია, როგორც აგარაკი. აქ ამჟამად დიდძალი ინტელიგენციაა თავშეყრილი. მუხური კულტურულად ჩამორჩენილი კუთხეა. იმის მაგივრად, რომ მოაგარაკეებმა დაეხმარონ სოფელს კულტურულ მუშაობაში, ისინი მთელი დღეობით კარტსა და ნარდს თამაშობენ. ექიმი, პროვიზორი, მასწავლებელი და სხვები მუდამ დუქნებში სხედან და თამაშობენ.

აიდა.

სოფლის ფოსტა

ი. შ-ხ. (ცაიშის-კარათი, ზუგ. მ.) შეკითხვა გადაუგზავნეთ სოც. უზრუნ. სახ. კომისარიატს.

ნაოსნობა მტკვარზე

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის წინადადების თანახმად ა.-კ. ნავთსადგურების განყოფილება და წყალთა გზების სამმართველო ამუშავებს მდ. მტკვარზე ნაოსნობის მოწყობის ხარჯთ-აღრიცხვას და გეგმას, რომელიც დასაბუთებული იქნება ეკონომიური და ტეხნიკური თვალსაზრისით. საგეგმო კომისიის დადგენილებით ჯერ-ჯერობით ნაოსნობა მდ. მტკვარზე აღდგენილი უნდა იქნეს ბაქოდან სად. ევლახამდე, ხოლო უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში ალაზნის შესართავამდე. პირველ ხანებში მდინარე მტკვრის კალაპოტი გაწმენდილი იქნება შხერებისაგან და სანაოსნო მდგომარეობაში მოყვანილი. პირველი ხუთი წლის განმავლობაში ნაოსნობის აღსადგენ მუშაობაზე დახარჯულ უნდა იქნეს 2.198.000 მანეთი.

სტატისტიკური აღწერები

1926—27 წლის სტატისტიკურ აღწერების წარმატებით ჩასატარებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად გამოსცა და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუგზავნა დადგენილება. ამ დადგენილების ძალით სასოფლო აღმასკომები მოვალენი არიან არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა შეადგინონ და შეამოწმონ მოსახლეთა სიები სოფლად იმ თანამდებობის დაცვით, როგორც გაშენებულია სოფლის მოსახლეთა კარ-მიდამო. სიებში აღნიშნული უნდა იქნეს მოსახლის გვარი, სახელი, მამის სახელი, და ოჯახის წევრთა სრული შემადგენლობა.

ამავე დადგენილების ძალით ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს პირველ ოქტომბრისა აღადგენენ უბნების, ქუჩების, შესახვევების და სხვ. სიებს ქალაქებში და ქალაქის მავვარ ახალშენებში. ქალაქებში დანომრილი უნდა იქნეს ყველა სახლები. თბილისში, ბათომში და ქუთაისში დანომრილი უნდა იქნეს ცალკე ბინებიც.

ქალაქის აღმასკომებმა უნდა გადასინჯონ ქალაქების არსებული გეგმები. ხოლო, სადაც ასეთი გეგმები არ მოიპოვება, გეგმები შედგენილი უნდა იქნეს ქალაქის ფარგლების შემოხაზვით.

ადმინისტრატიული გადაჯგუფება

თემების რიცხვის შემცირება

საქართველოს სამაზრო აღმასკომები უკვე შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას ქვედა ადმინისტრატიულ აპარატის გადასახალისებლად. ჯერ-ჯერობით მუშაობის დაწყების შესახებ ცნობები მოსულია ქუთაისის და ახალქალაქის მაზრებიდან.

ქუთაისის მაზრა

შინაგან საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლის თანდასწრებით, ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა შეამციროს ქუთაისის მაზრის თემების რიცხვი 40 ერთეულამდე. ამ მიზნით გაერთიანებული იქნება შემდეგი თემები: გოდოგნის თემი ჭოგნარის თემთან. გოდოგან-ჭოგნარის თემის სახელწოდებით: ადმინისტრატიულ ცენტრით სოფ. გოდოგანში მუხიანის თემი ფარცხანაყანევის თემთან,—მუხიან-ფარცხანაყანევის სახელწოდებით—ადმინისტრატიული ცენტრით ფარცხანაყანევში; იანეთის თემი ეწერის თემთან ეწერ-იანეთის სახელწოდებით—ადმინისტრატ. ცენტრით სოფელ ეწერში; ღანირ-ქვიტირის თემი ღანირ ქვიტირის თემთან, სახელწოდებით ღანირის თემი—ადმინისტრატ. ცენტრით სოფელ ღანირში. გუბის თემი—კუხის თემთან, ადმინისტრატ. ცენტრით სოფელ კუხში. თემების ასეთი შემცირება ქუთაისის სამაზრო ბიუჯეტში იწვევს 7.000 მანეთის დაზოგვის წლიურად.

ახალქალაქის მაზრა

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთან ერთად გამოიტანა დადგენილება მაზრის ახალი ადმინისტრატიული დაყოფის შესახებ. ამ დადგენილებათა თანახმად განზრახულია ქალაქს ახლო მდებარე ორი თემის—გულიკამის და დალისკის თემების ერთ ადმინისტ. ერთეულში გაერთიანება.

განზრახულია აგრეთვე ორი სასოფლო საბჭოს მოწყობა სამაზრო ცენტრიდგან დაშორებული—თავფარავანის და კარხანის რაიონებში. ახალი ადმინისტრატიული დაყოფა იწვევს მთელი რიგ. სოფლების ერთი თემებიდან მეორე თემზე მიკერების საჭიროებას.

მესაქონლეობის გამოკვლევა

მიწ. სახ. კომ. სასოფლო-მეურნეობის სამმართველოს მესაქონლეობის განყოფილების მიერ აპრილიდან ივლისამდე გამოკვლეულია ქსანის ხეობის, სამხრეთ-ოსეთის და სვანეთის მესაქონლეობის რაიონები. გარდა ამისა დამუშავებულია გამომკვლევი ექსპედიციების მიერ წინა თვეებში შეგროვილი მასალები მთიულეთის, ხევსურეთის და სიღნაღის მაზრის მესაქონლეობის შესახებ.

ამხ. ლუნაჩარსკი თბილისში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა რუსეთის განათლების სახალხო კომისარი **ამხ. ლუნაჩარსკი.**

კავკავში ამხ. ლუნაჩარსკის შეხვდენ პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის გამგე—ამხ. ლ. რუხაძე და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

დღეს ამხ. ლუნაჩარსკი დასასვენებლად მიემგზავრება ბორჯომში, სადაც დაჰყოფს დაახლოვებით ერთ თვეს.

ენკენისთვის პირველ რიცხვებში ამხ. ლუნაჩარსკი ჩამოვა თბილისში, სადაც სახელმწიფო ოპერის თეატრში წაიკითხავს ორ ლექციას ყოფა-ცხოვრებისა და თანამედროვე ინტელიგენციის შესახებ.

ასეთივე ლექციები წაკითხული იქნება ბაქოშიაც.

ემიგრანტების დაბრუნება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ემიგრანტების: **ერეთოს რამიშვილის, ლიუბა კვინიხიძის** და **მარიამ რევიშვილის** შუამდგომლობა, საქართველოში დაბრუნების შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

გადასახადების და ანარიცხების თავის დროზე შეტანისათვის

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა საქართველოს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

„ს. ს. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს და სახ. მეურ. საბჭოს ამა წლის 28 ივნისის დადგენილების თანახმად, ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, მათი ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობით ვალდებული არიან ყოველ მიზეზს გარეშე და თავის დროზე შეიტანონ ხაზინაში მათი კუთვნილი გადასახადები.

სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებულნი არიან აგრეთვე ხაზინაში შეიტანონ 1925—26 წლის მოგების 75 პროც. ანარიცხი, რომელიც მათზეა დარჩენილი. საქ. მ.-გ. ინსპექცია მოაგონებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ ეს თანხა მათ უნდა შეეტანათ არა უგვიანეს ამა წლის 1-ლ აგვისტოსა, ხოლო დანარჩენი 25 პროც. კი არა უგვიანეს ამა წლის 1-ლ სექტემბრისა, რაც დღემდე არ არის შესრულებული.

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია მომავალში მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინის დაცვის მიზნით ს. კ. საბჭოს ხსენებული დადგენილების დარღვევისათვის სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელთ მისცემს პასუხისგებაში“.

სახალხო განათლება საქართველოში

(სტატისტიკური ცნობები)

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უკანასკნელი აღწერა-გამოკვლევის მიხედვით საქართველოში ამჟამად არსებობს სულ 3.947 სასწავლო დაწესებულება. აქედან სოციალურ აღზრდის სასწავლებელია—2.345; პროფესიონალური განათლების—104; პოლიტ-საგანმანათლებლო (წ. კ. უ. სალიკვიდაციო პუნქტები, საერთო განათლების სკოლები, პარტიული სკოლები და სხვა)—1.498.

ყველა ზემოხსენებულ სასწავლო დაწესებულებაში სწავლობს სულ 330.311 მოწაფე.

განათლების ხასიათის მიხედვით ეს რიცხვი შემდეგნაირათ ნაწილდება:

სოციალური აღზრდის სასწავლებლებში სწავლობს—270.578 მოწაფე, პროფესიონალურ განათლების სკოლებში—10.947 მოწაფე და პოლიტ-საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში—48.836.

განათლების სამივე დარგის მასწავლებელთა საერთო რაოდენობა უდრის—12.175 კაცს. აქედან სოციალური აღზრდის დარგში მუშაობს—9.516 კაცი, პროფესიონალურ განათლების დარგში—977 კაცი, პოლიტ საგანმანათლებლო დარგში—1.682 კაცი.

ამგვარად ყოველ სკოლაზე საშუალოდ მოდის—84 მოწაფე და 3—4 მასწავლებელი, ხოლო ყოველ პედაგოგზე—20—30 მოწაფე.

ბამბის ქარხანა

ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტმა ბამბის ქარხნის ასაგებლად თბილისში გადასდო 475.288 მანეთი.

ბინის ქირის გარშემო

ბინის ქირის ახალი პროექტი

თბილისის აღმასკომის ქონებათა სამართველომ გამოიმუშავა ბინის ქირის ახალი ცხრილი.

ამჟამად ამ ახალ საბინაო ტარიფს იხილავენ და არჩევენ პროფესიონალური ორგანიზაციები და მთავრობის ორგანოები. **ტარიფი საბოლოოდ დამტკიცებული არ არის და მხოლოდ პროექტს** წარმოადგენს. ჯერ-ჯერობით პროექტი განიხილა და მიიღო თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა. ვიდრე ბინის ქირის ახალი პროექტი სავალდებულო ტარიფად გამოცხადდებოდეს, **იგი განხილული და მიღებული უნდა იქნეს ჯერ თბილისის აღმასკომის და შემდეგ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.** მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს საბოლოო დამტკიცების შემდეგ პროექტს ეძლევა სავალდებულო ხასიათი.

აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ პროექტი მიღებულია შემდეგი სახით:

მოქალაქენი, რომელნიც იღებენ თვიურად 20 მანეთს და ამაზე ნაკლებს იხდიან—კვადრატ. არშინზე—2,5 კაპ.

20 მან. — 30 მანეთამდე — 4 კაპ.
30 მან. — 40 მანეთამდე — 5,5 კაპ.
40 მან. — 50 მანეთამდე — 7 კაპ.
50 მან. — 60 მანეთამდე — 8,5 კაპ.
60 მან. — 70 მანეთამდე — 10 კაპ.
70 მან. — 80 მანეთამდე — 11,5 კაპ.
80 მან. — 90 მანეთამდე — 13 კაპ.
90 მან. —100 მანეთამდე — 14,5 კაპ.
100 მან. —110 მანეთამდე — 16 კაპ.
110 მან. —125 მანეთამდე — 17,5 კაპ.
125 მან. —150 მანეთამდე — 19 კაპ.
150 მან. —175 მანეთამდე — 21 კაპ.
175 მან. —200 მანეთამდე — 23 კაპ.
200 მან. —225 მანეთამდე — 25 კაპ.
225 მან. —250 მანეთამდე — 27 კაპ.
250 მან. —275 მანეთამდე — 29 კაპ.

მოქალაქენი, რომელნიც თვიურად იღებენ 275 მანეთზე მეტ ხელფასს, ყოველ 25 მანეთზე ამ თანხის ზევით თვიურად კვადრატ. არშინისათვის თვეში იხდიან 2,5 კაპეიკს,—მაგრამ მათი საბინაო ქირა კვადრატ. არშინზე თვეში არ უნდა აღემატებოდეს 67 კაპეიკს.

ბინის ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული მუშა-მოსამსახურეთა ზედმეტ ნამუშევრის ხელფასი, არც იმ პირთა სპეციალური დატვირთვა, რომელნიც ხელფასს პასუხისმგებელ მუშაკთა განაკვეთით ღებულობენ.

ის პირნი, რომელნიც პერსონალურ ან სპეციალურ განაკვეთს ღებულობენ, ან მუშაობენ შეთავსებით სხვადასხვა დაწესებულებებში, ან აქვთ სამსახურს გარეთ კიდევ სხვა შემოსავალი, აგრეთვე ისინიც, ვინც განაკვეთს გარდა ღებულობენ მუდმივ განსაზღვრულ დატვირთვას, ტანტიემას, საკომისიო და პროცენტულ ანარიცხებს. აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი ბინის ქირას იხდიან ყოველი სახის თვიური შემოსავლის ჯამის მიხედვით. ამავე დროს პერსონალურ და სპეც. განაკვეთით ჯამაგირის მიმღებ პირებს, იმ პირების ბინის ქირასთან გათანასწორების მიზნით, რომელნიც 275 მანეთზე მეტს თვიურ ხელფასს არ ღებულობენ, საერთო თვიური შემოსავლიდან ხდებათ შემდეგი პროცენტით ნაკლები. ისინი, რომელნიც 100 მანეთით მეტს ღებულობენ იხდიან 15 პროც. ნაკლებს, 100 მანეთიდან 125 მანეთით მეტს—20%-ით ნაკლებს, 125 მანეთიდან 150 მანეთით—25 პროც. ნაკლებს, და 150 მანეთს ზევით—30%-ით ნაკლებს.

უმუშევრები, რომელნიც პროფკავშირის წევრები არიან, და რომლებზედაც სოციალური დაზღვევა ვრცელდება, იხდიან 2,5 კაპ.

ცალკე ერთეული მუშები, **დღიური მუშები,** მემუსიკეები, კერძო მასწავლებლობა და ამათ მაგვარნი, როგორც პროფკავშირის წევრები, ისე არა წევრები, რომელთაც მუდმივი სამუშაო არა აქვთ, იხდიან პროფკავშირთა წევრის სათანადო კვალიფიკაციის მუშის ხელფასის მიხედვით.

სარეწაო და შრომის არტელების წევრები, რომელნიც განსაზღვრულ ჯამაგ. ღებულობენ, ბინის ქირას იხდიან, როგორც დაქირავებული პირები თავიანთ ხელფასთან შეფარდებით.

შინა მრეწველნი და ხელოსნები (არიან თუ არ არიან შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრები), რომელთაც ჰყავთ არა უმეტეს 5 დაქირავებული პირისა, და აგრეთვე **სარეწაო და შრომის არტელების წევრები,** რომელთაც არა აქვთ მტკიცედ განსაზღვრული ხელფასი, ქირას იხდიან სახ. მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 11 კაპეიკისა და არა უმეტეს—43 კაპეიკისა. შინამრეწველნი და ხელოსნები, რომელთაც 5-ზე მეტი დაქირავებული პირი ჰყავთ, იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით,—მაგრამ არა ნაკლებ 43 კაპეიკისა, და არა უმეტეს ერთი მანეთისა.

სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი პირები, რომელთაც არსებობის სხვა წყარო არ გააჩნიათ; წითელ არმიელთა ოჯახები, რომელნიც მათ კმაყოფაზე იმყოფებოდენ მათს სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და, რომელთაც ამჟამად შემოსავლის სხვა წყარო არა აქვთ, და აგრეთვე სახელმწიფო სტიპენდიაზე მყოფი მოწაფეები იხდიან კვადრატ. არშინზე—2,5 კაპეიკს.

მოწაფის დღიური მუშაობით და გაკვეთილების მიცემით (რეპეტიტორობით) აღებული ფული ბინის ქირის გამოანგარიშების დროს ანგარიშში არ შედის.

თავისუფალი პროფესიის პირები, როგორც ექიმები, ინჟინერები, დამცველთა კოლეგიის წევრები და მათ მაგვარნი ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 17,5 კაპეიკისა და არა უმეტეს ერთი მანეთისა.

ლიტერატორები, მხატვრები და სამეცნიერო მუშაკნი ქირას იხდიან ტარიფის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ 13 კაპეიკისა.

პირები, რომელნიც არაშრომითი შემოსავლით სცხოვრობენ, იხდიან— პირველი კატეგორიის პატენტის ამღებნი—15 კაპეიკს კვადრატ. არშინზე, დანარჩენი სახლის მმართველობასთან შეთანხმებით,—მაგრამ არა ნაკლებ ერთი მანეთისა.

თვითეულ სულის საბინაო ნორმად დაწესებულია 20 კვადრატ. არშინი. ამაზე ზედმეტ საბინაო არეს დაკავებისათვის დამქირავებელნი იხდიან ორმაგ ქირას; ნორმაზე მეტი ქირა შედის თბილისის აღმასკომის სალაროში საბინაო-სააღმშენებლო ფონდის გასაძლიერებლად.

პროექტით ახალი საბინაო ტარიფი ძალაში უნდა შევიდეს 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან.

დღეს იხსნება ფოილოს ხიდი

დღეს იხსნება ფოილოს რკინისგზის ახალი ხიდი. ეს მოვლენა ამ.კავ. რკინისგზის ისტორიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად ჩაითვლება.

ამ.-კავ. რკინისგზების ყველა ხიდებს შორის ფოილოს ძველი ხიდი ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი გადაკეთების საკითხი ჯერ კიდევ ომის წინ წამოიჭრა და ძველის ნაცვლად ახალი ხიდის აგება განზრახული იყო 1913 წლისათვის. მაგრამ ეს საქმე მაშინ შეფერხდა და შემდეგ კი ომმა და მის მიმდევარმა ამბებმა დიდის ხნით გადასწია მისი განხორციელება.

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ხიდის მდგომარეობას: ჩატარებულ იქნა ფოილოს ხიდის დაწვრილებითი გამოკვლევა და გამოცდა. გამოირკვა ხიდის საგრძნობი დაზიანება და მასზე დაწესებულ იქნა განსაზღვრული მოძრაობა. სახელდობრ, აიკრძალა მძლავრ ორთქლმავლების გატარება, ხოლო დანარჩენ მატარებლებისათვის დაწესდა მინიმალური სისწრაფე, რომელიც ედრებოდა ფეხით მიმავალ კაცის სიჩქარეს.



ფოილოს ხიდის სქემა

ასეთი მდგომარეობა ძალზე ზღუდავდა მოძრაობის განვითარებას და ამის გამო ახალი ხიდის აგების საკითხი უფრო მწვავედ წამოიჭრა.

რკინისგზების სამმართველოს მიერ ამის გამო 1924 წელს აღძრული იყო შუამდგომლობა გზათა-მიმოსვლის კომისარიატის წინაშე, საჭირო საშუალებათა გაღების შესახებ.

ხიდის აგების ღირებულება გამოანგარიშებული იყო 1 მილიონ მანეთის ფარგლებში. ვინაიდან ასეთი მსხვილი თანხის გაღება შეუძლებელი შეიქნა, გზათა-მიმოსვლის კომისარიატმა, ამ.-კავ. რკინისგზებს დაუთმო ხიდის გზა გადასარბენი ნაგებობანი, რკინისგზის დაკეტილ გზებიდან— ფუძეების ასაშენებლად საჭირო იყო 690.000 მანეთი.

იმავე წელს პროფ. **ზაჩრიევის** მიერ შედგენილ იქნა ახალი ხიდის პროექტი და დაიწყო მუშაობა

ხიდის აგების სამუშაოები, უნდა აღინიშნოს მძიმე პირობებში მიმდინარეობდა: აუცილებელ მოწყობილობათა უქონლობა, კვალიფიციურ მუშა-ხელის უყოლობა, მასალების ნაკლებობა და ადგილის (ფოილო) მალარიანობა. ყველა ეს აძნელებდა მუშაობას. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ რთული საკესონო (წყალში ფუძეების საძირკვლის ჩადგმა), სამუშაოები, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ სპეციალისტებს და მოწყობილობებს. დიდი ხნის შეჩერების შემდეგ პირველად სწარმოებდა ამიერ-კავკასიაში. მიუხედავად ამისა, მუშაობამ კარგად ჩაიარა და ხიდი დამთავრებულ იქნა მიმდინარე წლის თებერვალში.

საერთოდ, ხიდის შენება გრძელდებოდა დაახლოებით ერთ წელიწადს და უნდა ითქვას, რომ ეს დრო, ასეთი დიდი აღმშენებლობისათვის არ არის დიდი. ხიდის აგება სულ დაჯდა 700.000 მანეთი, გარდა გზა გადასარბენ ნაშენობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ხიდი უკვე დამთავრებული იყო ამა წლის თებერვალში, მასზე მოძრაობის გახსნა მაშინვე შეუძლებელი იყო, რადგან მის ახლოს მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები დაღმართების შესარბილებლად, რათა შესაძლებელი გამხდარიყო გრძელი და მძიმე მატარებლების თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფა. ეს სამუშაოები დამთავრდა მხოლოდ ეხლა.

ხიდი დაწვრილებით იქნა გამოცდილი ამა წლის 22 და 23 მაისს, თოხი, ამ.-კავ. რკინისგზების ყველაზე უფრო მძლავრი ორთქლმავლით და ამ გამოცდამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიტანა. ეხლა, გახსნის დროს წარმოებული იქნება კიდევ ხიდის ე. წ. დინამიური გამოცდა, ე. ი. გამოცდა ძლიერი მატარებლის გაშვებით. ასეთი გამოცდების დროს გამოყენებული იქნება უახლესი ხელსაწყოები, რომლებიც ამ.-კავ. რკინისგზებს გამოწერილი აქვს საზღვარ-გარეთიდან.

ახალ ხიდზე მოძრაობის გახსნა რკინისგზებს საშუალებას მისცემს გამოიყენოს მატარებლის სამოძრაოთ მძლავრი ორთქლმავლები, რაც გააიაფებს საქონლის გადაზიდვას.

ა. ქ—ძე.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა დაბრუნება

ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა 15 ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულთა შუამდგომლობა, მათი საქართველოში დაბრუნების შესახებ. დაბრუნების ნება მიიღეს: გაბრიელ ლომთათიძემ, რაფიელ თარგამაძემ, ვლადიმერ არშიძემ, სევასტი რამიშვილმა, გიორგი ტუხკიამ, დავით სხილაძემ, ვლადიმერ დათვანაშვილმა, სევერიან რამიშვილმა, არისტარხო ხოფერიამ, პავლე სურგულაძემ, შალვა რამიშვილმა, მიხეილ ნაკაიძემ, სიმონ ორაგველიძემ, ნიკოლოზ ხოშტარიამ და ნესტორ დოლიძემ.

გორის აღმასკომის შუამდგომლობა

საქართველოს ცაკმა დააკმაყოფილა გორის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა, სადგერის ბორჯომის თემზე მიწერის შესახებ. სოფ. სადგერი ამჟამად წაღვერის თემში შედის.

სასჯელის შეცვლა

საქართველოს ცაკმა დააკმაყოფილა სამხრეთ-ოსეთის ცაკის შუამდგომლობა, რათა ბისაქართველოს ცაკმა დააკმაყოფილა სამხითალ-ექიმს დავით ნიგაევს სასჯელი შეეცვალოს იძულებითი სამუშაოთი.

ცაკის წევრობიდან გამორიცხვა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა საქ. ცაკის წევრობიდან გამორიცხა ფ. ონიანი ცაკის წევრისათვის შეუფერებელ მოქმედების გამო. ეს დადგენილება მოხსენდება საქ. ცაკის მომავალ სესიას.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოში

ცენტრ. კომისია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლად

ამ.-კავ. სახ. კომისართა საბჭოსთან მოეწყო ცენტრალური კომისია 1926—27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლად. კომისიაში შედიან: ამხ. გენკინი (თავმჯდომარე), ბელენკი, გოგიჩაიშვილი, დენისოვი (ფინ. სახ. კომისარიატიდან), ამხ. გრიგორიანი (ამ.-კავ. ცენტრ. სტატ. სამმარ.), იაკუბოვი (ამ.-კავ. პროფსაბჭოებიდან), მედვედევი (აზერ. მიწ. სახ. კომის.), ათაბეგოვი (სომხეთის მიწ. სახ. კომის.) და ხოფერია (საქ. მიწად. სახ. კომის.).

თანხები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის

ამ.-კავ. სახ. კომისართა საბჭომ გაანაწილა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ ამ.-კავ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის გადადებული 300 ათასი მანეთი. ამ თანხიდან საქართველოს და აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის დანიშნულია 120 ათასი მანეთი თვითეულისათვის, ხოლო სომხეთისათვის— 60 ათასი მან.

ზაჰესის კონტროლი

ამ.-კავ. სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ აღიარა, რომ ზაჰესის სამუშაოების ფინანსიური კონტროლის აპარატი არსებობდეს თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილებასთან საქ. ფინ. სახკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ტრაქტორების გამოცდა

ამ.-კავ. სახ. კომ. საბჭომ ზედმეტად სცნო ცალკე კომიტეტის მოწყობა ტრაქტორების გამოსაცდელად. ტრაქტორების გამოცდის ოპერატიული ნაწილი დაკისრებული აქვს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებს. ტრაქტორების გამოყენების საკითხს მეცნიერული შესწავლა—საგეგმო კომისიასთან არსებულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს საერთოდ სასოფლო-მეურნეობის მექანიზაციის საკითხის შესწავლა.

ზომა-წონის პალატა

ვინაიდან საბჭ. კავშირის ფინ. სახკომის განმარტებით ზომა-წონის შესამოწმებელი პალატები არ წარმოადგენენ კომერციულ დაწესებულებებს, ამ.-კავ. სახ. კომ. საბჭომ წინადადება მისცა საქ. ეკონ. საბჭოს გადასინჯოს თავისი პალატაზე გასაწერ სარეწაო და საშემოსავლო დადგენილება ზომა-წონის პალატაზე გასაწერ სარეწაო და საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

სახლები მუშებისათვის

ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტმა გადასწყვიტა, სომხეთსა, საქართველოსა და აზერბეიჯანში ააგოს ახალი შენობები, რისთვისაც გადასდო საჭირო თანხები. სომხეთის მებამბეობის კომიტეტის კანტორის შენობის ასაგებათ გადასდო 100.000 მან.; ქარხანა № 2-ის მუშათა შენობისთვის 60.000 მან. დავალის ქარხნის მუშათა სახლისთვის 67. 500 მან.; საქართველოსათვის გადადებულია: შულავერის ქარხნის მუშათა შენობის ასაგებათ 10.000 მან., სამტრედიაში კანტორისა და მოსამსახურეთა შენობისთვის 19.000 მან. აზერბაიჯანისათვის გადადებულია: ევლახის ქარხნის მუშათა სახლის ასაგებათ 37.500 მანეთი.

ტყიბულის ქვანახშირის რაიონში

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები 5 ვერსის მანძილზე ზოლად გასდევენ ნაქერალის მთაგრეხილს. დამახასიათებელი თვისება ამ ფენებისა არის მათი მეტის მეტი სისქე და ამოღების სიძნელე. რომლის სუფთად და სრულიად ამოღება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ნახშირის ფენები ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია 50 საჟ. სიღრმემდე.

სუფთა ქვანახშირის სისქე აღწევს 12 საჟ., ფენები დალაგებულია 45—50 ვარდნის კუთხით (угол падения).

ქვანახშირის ბადობათა დასავლეთის ნაკვეთი (ახალი მაღაროები) იყოფა ექვს პირობით ფენებად: **პირველი ქვანახშირის ფენა,** სისქით 2 საჟ., რომელსაც აკრავს თიხნარი კვარცი, მიწის ფენა—სისქით 2 საჟ.; **მეორე ქვანახშირის ფენა,** სისქით 2½ საჟ., რომელსაც აკრავს ნახშირნარი (სლანეცი), რომლიდანაც, როგორც დამხმარე ნივთიერებიდან, შეიძლება ბუნებრივი გაზის მიღებაც; **მესამე ქვანახშირის ფენა;** სისქით 8 საჟ., რომელსაც აკრავს ბითუმინოზური ჯიში, 2 საჟ. სისქე; **მეოთხე ქვანახშირის ფენა,** სისქით 8½ საჟ., რომელსაც აკრავს მეხუთე არა მუშა ფენა. ამ ფენის შემდეგ იწყობა ქვიშიანი თიხნარი, ფენა სისქით 1 საჟ. და ბოლოს, ამ უკანასკნელს აკრავს 4 საჟ. სისქის ქვანახშირის ფენა.

ნახშირის ამოღება

ქვანახშირის ფენათა აღმოსაჩენად საჭიროა დედამიწის ზედაპირიდან ჩაითხაროს შურფები (ჭები) ან მიწა ჩაიბურღოს რამდენიმე ადგილას. ამნაირად შეიძლება გამოირკვეს ფენის სისქე, მისი სივრცე და მარაგი მთელი ადგილბადისა.

ამის შემდეგ იწყებენ ნახშირის ამოსაღებლათ შემზადებას.

ნახშირის ამომგრეველები („ზაბოიშჩიკი“) ჩერდებიან ფენების წინ და თვითეულ მათგანს ეძლევა წილი 1 საჟ. სიგანის, სისქით ძირიდან 3/4 არშინისა, და სიღრმით 3/4 არშინით. ეს ნაკვეთი ამომგრევმა უნდა ამოიღოს 7 ს. განმავლობაში.

იმ დროს, როდესაც ამომგრევენი მუშაობენ, მბურღავნი აკეთებენ ხვრელებს (შპურებს), როცა ჭდეები და ხვრელები დამზადებულია, მოდის ამფეთქებელი დინამიტით და აფეთქებს, რის გამო მთელი ნაკვეთი ინგრევა ჭდემდე.

ამის შემდეგ ამომგრევი ერთი საჟენის სიმაღლეს ამონგრეულს გამოცლის ძირამდე და ხდება შემაგრება დაცარიელებულ ადგილისა. როცა ამ სახით მთელი 5 საჟენის სიგრძე ამოიღება და ცარიელი ადგილები შემაგრდება ,იწყება ამის ზემოდან მეორე რიგის ამოღება. ამოღების შემდეგ ხდება ცარიელი ადგილის შემაგრება.

როცა ამ სახით ორი წყება ამოიღება, ცარიელი ადგილი ივსება უბრალო მიწის ჯიშით. პირველი რიგის გამოტანის შემდეგ იწყება ამოღება მესამე წყებისა, მესამე წყების ამოღების შემდეგ იწყებენ მეორე წყების ადგილის ამოვსებას, რის გათავების შემდეგ იწყებენ მეოთხე წყების ამოღებას და ასე განაგრძობენ 8 წყებამდე. ამოღებული და დაგროვილ ქვანახშირის ლიანდაგამდე მიტანა ხდება ვადაყრით, რისთვისაც მიჩენილია მიმხვეტი.

ამის შემდეგ მტვირთავი ტვირთავს ნახშირს რონოდებზე და მეორე გამგორებელი მიაგორებს ნახშირს მიწის ზედაპირის ლიფტთან.

ყველაზე საპასუხისმგებლო მუშაობა ქვანახშირის მაღაროებში აქვს ქვანახშირისაგან განთავისუფლებულ ცარიელ ადგილების შემმაგრებელს („ზაკრეპშჩიკ“), იმიტომ რომ ხშირია მიწის ჩამოწოლა და ჩამონგრევა. შემმაგრებლებს პასუხისმგებლობის სიმძიმით მისდევენ გეზენკების ზაბოიშჩიკები—ამომხსნელები. ამათ უხდებათ მუშაობა სუფთა ჰაერის მცირე დენის დროს და ამ მიზნით უდგამენ ხელოვნურ ჰაერის გამასუფთავებელს. უკანასკნელთ მისდევენ ამოსაღებ კამერების „ზაბოიშჩიკები“.

ნახშირი იზიდება 25 ფუთის ტევის, ხის ან რკინის რონოდებით. ცხენით ზიდვა არ არის, რის გამოც რონოდებს ხელით მიაგორებენ მიწის ზედაპირამდე.

მუშაობის პირობები

ქვანახშირის ყველა ნამუშევარი ნამიანია. ყველა შტოლნები და შტრეკები სავსეა წყლით, რიგიანი არხების უქონლობის გამო.

მაღაროებში განათება სხვადასხვა ნაირია და ისიც არა საკმარისი. მთავარ გასაზიდ შტრეკში—ელექტრონია. ის ადგილები, საიდანაც ნახშირი იღება, განათებულია ჭრაქებით. გასავლელი ადგილები—დახურული ვოლფის და დევი-ის სისტემის ლამპებით. განათების მასალად იხმარება ნავთი და ბენზინი.

მაღაროებში ჰაერი სუფთავდება ბუნებრივად, გარდა გეზენკებისა, სადაც სუფთა ჰაერის დენა საკმაო არ არის და ამიტომ აქ მიმართავენ ხელის ვენტილიატორით ჰაერის წმენდას. სამუშაოთა ადგილები სუფთავდება ფართე, სადი ჰაერის დენით. მაღაროებში სუფთა ჰაერის დენაზე ჩვენ სწორი ცნობები ხელთ არა გვაქვს. ეს შეგვიძლიან მივიღოთ მხოლოდ ანემომეტრის საშუალებით.

იგივე ითქმება გაზების შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლიან გაზების მავნებლობაზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, ვინაიდან არ ვახდენდით მაღაროს ჰაერის გამოკვლევას, გაზების რაოდენობის გამოსარკვევად. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან ვიქონიოთ ნამდვილი წარმოდგენა სამუშაოთა სანიტარულ-ჰიგიენურ პირობათა შესახებ მაღაროებში.

გარეთა სამუშაოები

მიწის ქვეშ მუშაობათა შემდეგ ქვანახშირი, რომელიც ამოდის ზედა პირზე, მაშინვე რონოდებით იზიდება მბრუნავ გადამყრელზე, საიდანაც ნახშირი გადადის უძრავ რახრახაზე. აქ ხდება დანაწილება მსხვილ და წვრილ ნამტვრევებად: მუშტის და მსხვილი კაკლის სიმსხო ნატეხები გადადიან წყლით მოძრავ დაუსრულებელ ლითონის ლენტზე.

ამ ლენტის ორთავ მხარეს სდგანან გადამრჩევნი, რომლებიც ხელით აცლიან ნახშირს უბრალო მიწის ჯიშს.

კაკლის სიმსხო და წვრილმანი ნახშირი, ღარის საშუალებით გადადის რონოდებში, საიდანაც იყრება მიმღებ განყოფილებაში. აქედან კი წყლის საშუალებით, ღარებით გადადის ბადის ღარში.

აქ წყლის დახმარებით და ხვედრითი წონის საშუალებით ნახშირი იყოფა კაკლის სიმსხოდ და წვრილმანად; ჩამონარჩენი გადის სხვა ცხრილებში, საიდანაც ხვდება დაწოლილ ღარებში.

ამის შემდეგ იტვირთება რონოდები და იგზავნება მტვირთავ სადგურზე.

მსხვილი და მუშტის სიმსხო ნახშირი მშრალად დახარისხების შემდეგ მიდის მტვირთავ სადგურზე. აქ მთელი ნახშირი იტვირთება რკინის გზის რონოდებში.

მთელი მუშაობა სწარმოებს ღია ჰაერზე. და მხარისხებელი განყოფილება [illegible]

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი

მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი მაღაროებში ა. წ. შუა ივლისში უდრიდა 972 კაცს, რომელთაგან 877 მუშაა და 96 მოსამსახურე.

ყველა სამუშაოებებს, როგორც ამოღებას, დახარისხებას და სხვ. აწარმოებენ მომეტებულ ნაწილად ადგილობრივი მცხოვრებნი, სოფ. ტყიბულის, მუხურის, სათირის, დგიროვანის, ლაბა-ძველი, საცხეთის და სხვების, რომლებიც მაღაროებზე დაშორებულნი არიან 3—8 ვერსით ან უფრო მეტითაც.

სამუშაო დღე და დასვენება

მიწის ქვეშ მუშაობა სწარმოებს შეუჩერებლად სამწყებად და სამუშაო დღე გრძელდება 7 საათს. პირველი წყება ადგება მუშაობას ნაშუადღევის 3 საათზე და ათავებს ღამის 10 ს. მეორე წყება იწყებს ღამის 11 ს. და ათავებს დილის 6 ს. და მესამე წყება იწყებს დილის 6 ს. და ათავებს ნაშუადღევის 2 ს. მიწის ზედა პირზე სამუშაო დღე გრძელდება 8 საათს.

მიწის ქვეშ მომუშავეთათვის სავალდებულოა სამუშაოზე გამოსვლა, თვეში 21 დღე, რომელიც აძლევს უფლებას მიიღოს წელიწადში ერთი თვის შვებულება და პრემიები.

სპეც-ტანისამოსი და მცველი საგნები

მაღაროს მუშებს აქვთ შემდეგი სპეც-ტანისამოსი :1) „ზაბოიშჩიკის“ ტყავის „ბათინკები“—2 წყვილი წელიწადში; მბურღავს, ამფეთქებელს და გზის ოსტატს შარვალი და ხალათი წელიწადში 2 წყ.; „კრეპილშჩიკს“ იგივე და ხელთათმანები 4 წყ.; „ზაბუდჩიკს“ წინსაფარი 2 ც. წელ. და ხელთათმანები 4 წყ. წელ.; გამგორებელს—„ბათინკები“ 2 წყ .წელ.; გამხვეტს ხელთათმანები 4 წყ. წელ. და დამტვირთავს იგივე.

საჭიროების და მიხედვით წვიმის დროს სველ გასავლებში „ზაბოიშჩიკებს“ და „ზაბუდჩიკებს“ ეძლევათ მუშაობის დროს საწვიმარები.

ყველა გარედ მომუშავე გადამგდებლები, მიმგორებლები, დამხარისხებლები, ლიფტებთან მდგომნი, გამგორებლები, გადამბმელები, პლატებზე მომუშავენი, დამტვირთავნი რკინის გზის რონოდებზე და მემუხრუჭენი იღებენ ტყავის ფეხსაცმელებს 2 წყ. წელიწადში, ხელთათმანებს 4 წყ. წელიწადში. ბრეზენტის საწვიმრებს ორ წელიწადში 1 ც.; გარდა დამხარისხებელთა, რომლებიც იღებენ ყველაფერს, ფეხსაცმელების გარდა.

ბინებში

ორივე მაღაროში აქვთ თითო აბანო ახალ მაღაროსთან არსებული აბანო შესდგება საერთო განყოფილებისაგან და ცალკე ნომრებისაგან. აბანო გაატარებს ერთ საათში 40 კაცს. საერთო მოედანი აბანოებისა უდრის 29,70 ოთხკუთხ საჟ. შენობა ძველია და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

ფეხსადგილების შესახებ მაღაროებში საქმე არაა მოწესრიგებული .მუშები იძულებულნი არიან ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ იქვე მიტოვებულ ნათხარებში, ან კიდევ ამოვიდნენ მიწის ზედა პირზე. არსებულ წესდებათა მიხედვით მუშა მოვალეა გავიდეს გარედ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ იღებს რა მხედველობაში, როგორც ნორმის გამომუშავებას, ისე მიწის ზედაპირის სიშორეს, საჭიროა, რომ მუშები გასცილდნენ მაღაროს. ისინი იძულებულნი ხდებიან იქვე დაიკმაყოფილონ თავი რის გამო მაღაროს ნიადაგი ჭუჭყიანდება და აქედან ფუჭდება თვით ჰაერიც.

მაღაროებში სამუშაოთა ადგილებში არ არის [illegible] როებში ინახება სასმელი წყალი, რომელიც, როგორც ფერით, ისე გემოთი, კარგია. მას ზიდავენ მცირე წლოვანები მახლობელ წყაროებიდან. მუშებს არა აქვთ აგრეთვე პირის საბანი, პირსახოცები და საპონი.

ახალ და ძველ მაღაროებთან /არსებულ საცხოვრებელ ბინების უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საოჯახო სახლის ტიპს. მცირე ნაწილი კი ყაზარმულ ტიპისაა.

ახალ მაღაროებთან არის 24 საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან 21 საოჯახოა და 3 ყაზარმული ტიპის .საერთო სარგებლობის იატაკი ამ სახლებში უდრის 13.995 კვ. არშ.

ძველ მაღაროებთან კი არის 40 საცხოვრებელი სახლი, რომელთაგან 39 საოჯახოა და 1 ყაზარმა. საერთო სარგებლობის იატაკის მოედანი ამ სახლებში უდრის დაახლოვებით 12.578 კვ. არშინს.

მუშათა რიცხვი, მათი ოჯახებით, ძველ მაღაროებთან უდრის 386 სულს, მაშასადამე თვითეულ სულზე მოდის არა ნაკლებ 32 კვ. არშ., რაც ნორმალურზე მეტად უნდა ჩაითვალოს.

დაახლოვებით იგივე მდგომარეობაა ახალ მაღაროებთანაც. მაგრამ უნდა აღინიშნოს არანორმალური განაწილება მუშა-მოსამსახურეთა შორის საცხოვრებელი ბინებისა. სწორეთ ეს მოვლენა არის საცხოვრებელ ბინის კრიზისის ერთი მიზეზთაგანი. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ბევრი სახლების სრული უვარგისობა. ასე რომ, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს ესაჭიროება საცხოვრებელ ბინების 20-25 პროც. გადიდება.

ბევრი სახლები დანგრევის პირას არიან. სანიტარულ ჰიგიენურ პირობების მხრივ სრულიად არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას და საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას.

საექიმო დახმარება

საავადმყოფო მოთავსებულია ძველ მაღაროებში. სადაც მუშები უფასოდ იღებენ დახმარებას. საავადმყოფოს უჭირავს ერთსართულიანი აგურის სახლი, 7 ოთახი, 57,66 კვ. საჟ. იატაკის მოედნით.

თითო ოთახი აქვს დათმობილი ტერაპევტიულ, ქირურგიულ და სამეანო-გინეკოლოგიურ პალატებს. ერთი ოთახი ამბულატორიას—ექიმის კაბინეტის და მორიგისას. ერთი ოთახი აფთიაქს, ორი ოთახი საოპერაციოს. მოსაცდელად დათმობილია ერთი პატარა ცივი და ჭუჭყიანი დერეფანი.

ოთახების უხერხული განაწილება ავადმყოფ ქალებს აიძულებს მამაკაცთა ტერაპევტიულ განყოფილებით იარონ ფეხსადგილში და საბანაო ოთახში. საბანაო ოთახი კი სანახევროდ მინგრეულია.

ოპერაცია-გაკეთებული ავადმყოფები გაჰყავთ ამბულატორიაში ცივ და ჭუჭყიანი დერეფნით თვით შენობა საავადმყოფოსი დაძველებულია.

ოთახები ამრიგად არ აკმაყოფილებს საავადმყოფოს მოთხოვნილებებს.

მორიგე პერსონალს არა აქვს თავის კუთხე. ერთ და იმავე ოთახში მოთავსებულია ექიმის კაბინეტი, სამორიგეო და ამბულატორია.

საავადმყოფოში, ცალკე ბინაზე, მოთავსებულია სამზარეულო. იქვე პატარა ოთახში სანოვაგის საწყობი (საკუჭნაო) და ამისთანავე ოთახში თეთრეულის საწყობი. ამ უკანასკნელს შესავალი სამზარეულოდან აქვს. სამზარეულოს უკანა პატარა ოთახში მოთავსებულია კბილის ექიმის კაბინეტი, რომელსაც არა აქვს შესაფერი მოწყობილობა და იარაღები.

აქ მომუშავე ექიმს აქვს თავისი საკუთარი იარაღები ,რომელშიაც იღებს ცალკე ფასს. საერთოდ მედიკამენტებში და შესახვევ მარლაში დიდ ნაკლებულებას განიცდის. მაგ. ივლისში შესახვევი და სხვილი ბინტები იყო მხოლოდ 4 ცალ. არ იყო კოდეინი, მორფი სა- [illegible] სპეციალური პრეპარატები, სანტონინი, [illegible] ორი თვეა რაც საავადმყოფოს აღარ მოპოვება. არ არის აგრეთვე მოწყობილობა ვენერიულ ავადმყოფთა საქმიოდ. პალატებში არა აქვთ ტუმბოჩკები, არსად არ არის ჩასაფურთხებელი. გადამდებ ავადმყოფთათვის არ არის ბარაკები, თუმცა ინფექციურ ავადმყოფობას კი ჰქონდა ადგილი. ზეწრების ანუ ჩარსავების უქონლობის გამო ავადმყოფნი წვანან ტიტველა ლეიბებზე.

ივლისში საავადმყოფოში იყო 35 ჩარსავი თეთრეული. საცვლები კი თითქმის სულ არ იყო. ნაკლები არის ლეიბები, საბნები და ბალიშის პირები.

საზრდოს მხრივაც ტყიბულს საავადმყოფო ვერ ისახელებს თავს, რადგან თვითეულ ავადმყოფზე განაწილებით მოდის 44 კაპ. და ისიც არ ყოფნის სიძვირის გამო.

ყველაზე საინტერესოა საავადმყოფოს სამრეცხაო განყოფილება, რომელიც მოთავსებულია მრეცხავ დედაკაცის საკუჭნაოში. 1922 წელს აქ ქალების მთელმა ოჯახმა იხადა პარტახტიანი ტიფი.

საავადმყოფოსთან არ არის მოწყობილი სადეზინფექციო კამერა. ტანისამოსი და საცვლები ავადმყოფებისა იკეცება და ინახება ერთ საერთო შკაფში, რომელიც სდგას ვანის ოთახში. ეს არანორმალური მდგომარეობაა უსათუოდ. ეს შკაფი ინფექციურ ავადმყოფთა კერაა.

საავადმყოფოსთან არ არის სულ მცირე ლაბორატორიაც კი, რისთვისაც ყველა ანალიზები იგზავნება ქუთაისში, რაც დამზღვევ სალაროს უჯდება გაცილებით უფრო ძვირი.

საავადმყოფო გამოანგარიშებულია 16 კაცისათვის, მაგრამ ფაქტიურად წვანან 17-18 კაცი.

ამბულატორიულ ავადმყოფთა მოძრაობა

იანვარში ამბულატორიაში გაიარა 1895 კაცმა, თებერვალში 1461 კაცმა, მარტში 1571 კაცმა. ავადმყოფობათა უმეტესი ნაწილი არის მარცხით დაავადება, ინფლუენცია, ფილტვების ანთება, ბრონხიტი, ქარები (რევმატიზმი), ტუბერკულიოზი, ფურუნკული და კონიუნქტივიტი.

ამ მოკლე აღწერიდან შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების საავადმყოფოზე და ეს პატარა ციფრები უკვე ცხადყოფენ თავის თავად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამბულატორიას და საავადმყოფოს სამთა-მადნო რაიონებში.

ახალ მაღაროებში არის ამბულატორია ფერშლით და სანიტარით. ამბულატორიასთან სრულიად არაფერი არ არის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

მაღაროების ადმინისტრაცია საავადმყოფოს უფასოდ უთმობს, გათბობას, წყალს და სანიტარულ დრეზინას, რომელიც სხვათა შორის ამჟამად მოუწყობელია.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამედიცინო პერსონალი მთელი თავის ძალღონით სცდილობს მოაწესრიგოს სამკურნალო დახმარება, რისთვისაც იგი მიმართავს ყველას და სთხოვს დახმარებას, მაგრამ მათი ხვეწნა მუდარებანი რჩებიან „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

რა უნდა გაკეთდეს

ყოველივე ზემოხსენებულს შემდეგ საჭიროა აღინიშნოს თუ რა უნდა გაკეთდეს ტყიბულში უახლოეს დროში. მიწის ქვეშ, სამუშაოთა კედლების გაყოლებით უნდა გაკეთდეს არხები მადნის წყლის ჩამოსადენად. ეს არხები მუდამ სუფთად უნდა ინახებოდნენ, თუ შემთხვევით ამ სამუშაოთა ძირობებზე სადმე გაჩნდა გუბეები, მათ მაშინვე მიწა უნდა წაეყაროს, ან ისეთი რამე მასალა, რომელიც არ გამოყოფს გაზებს; [illegible] უნდა იქნეს ხმარებიდან [illegible] და საერთოდ უშუშო ლამფები, ყველა გზები და სამუშაოთა ადგილები უნდა განათებულ იქნეს საკმაო ხელოვნური სინათლით.

ყველა მოხამსახურეს დანიშნულს მიწის ქვეშ სამუშაოთა მეთვალყურედ, უნდა ჰქონდეს მუშაობის დროს არა ნაკლებ 2 შესახვევ პაკეტისა, სამხედრო ნიმუშისა მაღაროებში.

მუდმივ უნდა ინახებოდეს ყუთი, გამზადებული შესახვევი მასალებით და მედიკამენტებით პირველ საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

შტოლნების ლულის და სამუშაოთა ადგილების მახლობლად, სადაც უფრო მეტი მუშა იყრის თავს, უნდა იყოს საკმაო რიცხვი ჩიხოლებში შეჭვეულ საკაცეებისა, იმ ვარაუდით, რომ ერთი საკაცე მოდიოდეს 200 კაცზე, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 2 საკაცისა; ყოველ წარმოებაში, სადაც მიწის ქვეშ და ზედაპირზე მუშათა რიცხვი არ აღემატება 100, უნდა იყოს მიწის ზედაპირზე მოწყობილი საავადმყოფო პირველ საექიმო დახმარების აღმოსაჩენად დასახიჩრების დროს, ან უეცრად ავადგახდომის გამო.

ამგვარი საავადმყოფო სულ არა ნაკლებ ორი სუფთა სინათლიანი გალესილი და გათეთრებული ოთახისაგან გაუჟონავი იატაკით ცალცალკე შესასვლელებით. შესახვევში და პალატაში საავადმყოფო უნდა იყოს მოწყობილი არა უმეტეს 1/2 კილომეტრის სიშორისა მაღაროებიდან.

მიწის ქვეშ და ზედაპირზე სამუშაოთა ზედამხედველ პერსონალისათვის წარმოებამ უნდა მოაწყოს კურსები უბედურ შემთხვევებში და დასახიჩრების დროს დახმარების აღმოსაჩენად. მიწის ქვეშ და ზედა პირზე მომუშავენი უნდა იღებდნენ წარმოებისაგან უფასოდ სპეც-ტანისამოსს, საპონს და გამაფრთხილებელ მოწყობილებს, შრომის სახკომის ნორმებით. სპეც-ტანისამოსი გამოცვლის შემდეგ არ უნდა მიქონდეთ მუშებს სახლებში, არამედ უნდა შრებოდეს საგანგებო ბინებზე და ახლად ეძლეოდეს ისევ მშრალი სახით.

ყველა მაღაროში, როგორც ზედა პირზე, ისე მიწის ქვეშ უნდა იყოს ყოველთვის საკმარისი მარაგი წმინდა ადუღებული და გაცივებული სასმელი წყლისა.

სასმელი წყლის ჭურჭელი, როგორც მაღაროში, ისე ზედაპირზე, უნდა ირეცხებოდეს ადუღებული ცხელი წყლით კვირაში ერთხელ მაინც.

ყველა მიწის ქვეშ მომუშავე მუშას უნდა ჰქონდეს ჭურჭელი სუფთა სასმელი წყლით.

მუშების დასაბანად გამოცვლის შემდეგ, საშინაო ტანსაცმელის შესანახად, რომელშიაც მუშა მოდის სამუშაოზე და სამუშაო ტანსაცმლის გასაშრობად მაღაროებში, სადაც მიწის ქვეშ და ზედაპირზე მუშათა რიცხვი აღწევს 200 კაცს, უნდა იყოს გამართული აბანო.

სხვადასხვა სამუშაო ადგილებთან ახლო, სადაც ბევრი მუშა ხელი იყრის თავს, უნდა იყოს გაკეთებული მუშებისათვის ფეხსადგილები, გადასატანი გამოსაწევი რკინის ყუთებით, რომლებსაც არ გაუვათ წყალი.

ფეხსადგილებს უნდა ჰქონდეთ მკვიდრი ხუმური სახურავები და მათში საერთო რიცხვი ამოჭრილ თვალებისა უნდა იყოს იმდენი, რომ თვითეულ 25 კაცს ხვდებოდეს ერთი თვალი. თუ სამუშაოთა სიგანე ვერ იტევს ფეხსადგილის დადგმას, მაშინ ამისათვის კეთდება საგანგებო ნიში, ან ფეხსადგილი ეწყობა მიყრუებულ გასავლებში ისე, რომ თავისუფალი ნაწილი ამ გასავლების უნდა იყოს გალობილი. ყველა ფეხსადგილთან უნდა იყოს ყუთი კირით.

უსუფთაობათა გაზიდვისათვის და სისუფთავისათვის თვალყურის სადევნებლად ადმინისტრაციისაგან ინიშნება საგანგებოდ პირები, რომლებმაც ყველა ფეხსადგილები უნდა დაათვალიერონ დღე და ღამეში ერთხელ მაინც.

ექ. ი. ანდრონიკაშვილი.

მუშათა ცხოვრება

ძლივად ინგლისის გაფიცულ მემაღაროელებს

ქვებს ანგრევთ და შიგ პოულობთ
ძვირფასსა ოქრო, ლალებსა,
სხვებსა ამდიდრებთ და თქვენ კი
ცრემლები გიწვამთ თვალებსა.
შრომით ხელები გეტკინათ;
უსამართლობით გულია;
უნდა იბრძოლოთ, რად გინდათ
სიცოცხლე უფერულია!
ბრძოლით გადასწყვიტეთ ბედ-იღბალს
და ჭირიც ლხენად გექცევათ.
ერთსულოვანსა შეტევას
მტარვალი ვერ გაექცევა.
ახეც იქცევით ინგლისში
შრომის ჩაგრული შვილები,
გაფიცვა გამოაცხადეთ,
ფარ-ხმალს არა ჰყრით გმირები!
იტანთ სიმშილსა, სიტიტვლის;
სტირიან სახლში შვილები.
მაგრამ ამაყად იბრძვით თქვენ,
ქარ-ცეცხლში გამოწვრთნილები.
ულუკმა-პუროთ მშრომელნი
ჩლივსლა დადიხართ ქუჩებში:
სიცოცხლეს მოუწყენია
თქვენ ჩაყვითლებულ ტუჩებში.
შვილი მიუკრავს დედასა
გაძვალ-ტყავებულ მკერდზედა:
სტირის პატარა, ნაწყვევი
დედისა ტკბილსა რძეზედა.
აქ ქმარი კვდება, აქ ცოლი
ტანჯვისა ბედი ტრიალებს,
უმწეო ბავშვთა ბანაკი
სიმშილისაგან ღრიალებს.
თქვენ მაინც ქედსა არ იხრით,
მზადა ხართ მტკიცე ბრძოლისთვის.
შესაფერ ხელფასს თხოულობთ,
აუტანელი შრომისთვის.
ჭირიმე თქვენი ბრძოლისა,
მტერს არას უთმობთ გმირები,
თითო დღიურსა მოგაწვდით
ჩვენ—ყველა შრომის შვილები.
თუმცა ხოზიკამ დეკრეტში
მუშები არ ჩაურია,
მაგრამ ვაცნობებთ ხოზიკას,—
ჩვენც დახმარება გვწყურია.

მუშა ვ. სალუქვაძე.

ჭლექთან ბრძოლა მუშებში

თბილისში უკვე დაიწყო ჭლექთან გეგმიანი ბრძოლა ეს საშინელი სენი უმეტესად მუშათა კლასის მტერია. ამიტომ ყველა ღონისძიებებიც მუშათა მასას ეხებიან. ბრძოლას ხელმძღვანელობს ახლად გახსნილი სპეციალური დაწესებულება—სატუბერკულოზო დისპანსერი, სადაც თავმოყრილია სათანადოდ გაწვრთნილი საექიმო ძალები და სამკურნალო მეცნიერების უკანასკნელი საშუალებანი.

დისპანსერის მიზანს — შეადგენს—1) მიაგნოს ჭლექის გავრცელების ბუდეებს, 2) შეისწავლოს ავადმყოფი, 3) უექიმოს მას და ისე წარმართოს მისი ყოფა-ცხოვრების პირობები, რომ მოისპოს სენის გავითარება და უვნებელ ჰყოს სხვები ტუბერკულოზის გადადებისაგან.

ამ მიზნით ქარხნებში არსდება სატუბერკულოზო უჯრედები, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს დისპანსერი.

უკვე დაარსებულია უჯრედები შემდეგ ქარხნებში: „კალინინის" სახელობის, სპილენძის, „26" კომუნარის სახელობის, და სხვებში..

უჯრედი შესდგება სამი არჩეული ამხანაგისგან, რომელნიც მუშაობენ დისპანსერის მიერ მიმაგრებულ სოციალური დახმარების დის ხელმძღვანელობით.

ტუბუჯრედი კარგად უნდა იცნობდეს ამხანაგების ცხოვრების პირობებს; მან უნდა იზრუნოს ავადმყოფ ამხანაგზე და მის ოჯახზე, უზრუნველჰყოს იგი საჭირო სამკურნალო დახმარებით და სავნებით, გაგზავნოს დისპანსერის დაწესებულებებში, სანატორიუმში. დიეტიურ სასადილოში და სხვა.

უნდა იქნეს მიღებული ზომები ჯანმრთელი ამხანაგებს და ოჯახის წევრების დასაცავად სენის გადადებისაგან, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა ჩვენი მუშების სანიტარული კულტურის ამაღლება.

ეს უკანასკნელი ფრიად დაბლა დგას. დისპანსერის გამოკვლევით თბილისში თითქმის 80% ავადმყოფებისა აფურთხებენ პირდაპირ იატაკზე, ეზოში, ქუჩაში, რითაც სნეულება ადვილად ვრცელდება მთელ მოსახლეობაში.

დიდი საქმე უკვე დაწყებულია. ამხ. მუშებმა უნდა შეუწყონ ხელი ამ უდიდეს საქმის მოწესრიგებას მშრომელ მასის საკეთილდღეოდ.

მუშა-მელითონეები პირველად გამოეხმაურენ ამ საქმეს. მათ, ალბად, მიბაძავენ სხვა დარგის მუშებიც და მაშინ გამარჯვებაც მუშათა კლასის ამ საშინელ მტერთან ბრძოლაში ჩვენსკენ იქნება.

მუშკორი ნიკოლაიშვილი.

რა გვიშლის ხელს წარმოების აღდგენაში

რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მექვაბეთა საამქროში 1925 წელს 1 სექტემბრიდან ადმინისტრაციამ მოახდინა მუშების გადაჯგუფება კვალიფიკაციის მიხედვით იმ მოსაზრებით, რომ უფრო აწეულიყო შრომის ნაყოფიერება. მაგრამ აგერ უკვე თერთმეტი თვე გავიდა ამას შემდეგ და ამ გადაჯგუფებას არაფერი განსხვავება არ მოუცია ძველ წესთან შედარებით: 5—6 ორთქლმავალი მაშინაც გადიოდა შეკეთებიდან თვეში და ეხლაც ასე გადის. მუშების ჯანმრთელობაზე კი ამ გადაჯგუფებამ ცუდი გავლენა მოახდინა. თუ მაშინ მუშა სხვადასხვანაირ საქმეს (ხან მძიმეს და ხან მსუბუქს) აკეთებდა და ამით თავის ჯანს ერთნაირ შეღავათს აძლევდა, დღეს მუშათა ერთ ჯგუფს უხდება გამუდმებით მძიმე საქმის კეთება, რასაც შედეგად სდევს მუშათა დაავადება.

როცა ძველი მუშები უმტკიცებდენ ადმინისტრაციას, რომ ასეთ ვიწრო ქარხნებში (როგორიცაა მთავარი სახელოსნოები) და ასეთივე ტეხნიკით მეტის გაკეთება აღარ შეიძლებაო, ადმინისტრაციას არ სჯეროდა. მაგრამ გადის წელიწადი და შედეგი კი ისევ ისეთია, როგორიც ერთი წლის წინეთ გვქონდა.

ამას გარდა უნდა გაეწიოს ანგარიში მუშათა ჯანმრთელობას, ვინაიდან წლის გაცილებით მეტია მუშათა დაავადება და დაღლილობა ვიდრე ეს შარშან იყო.

შარშან თუ ბრიგადიდან თითო-ოროლა კაცი იყო ავად, წელს ხუთი და მეტიც არის.

ნარდი მუშაობა ისეთი რამ არის, რომ თუ კი მუშა მას მიუდგა შეგნებულად, ის თავის თავს აღარ დაზოგავს და არ იზარმაცებს. რადგანაც დარწმუნებულია, რომ რასაც გააკეთებს, მისია და ასეთ დროს მათი გადაჯგუფება მეტი იყო. ამას ვამბობდით ძველი მუშები მაგრამ ჩვენ, მუშებს, ვინღა დაგვიჯერა და მიზანშეუწონელ გადაჯგუფებას შრომის ცუდი პირობები მოჰყვა.

მე არ მინდა, რომ ისევ ძველი წესით დავიწყოთ მუშაობა, მაგრამ ჩვენმა ადმინისტრაციამ უმჯობესია დააჩქაროს თვით ქარხნების გაფართოება, რისთვისაც დიდი ხანია ფულიც ვალადებულია. აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან შრომის პირობების გაუმჯობესება და წარმოების აყვავებაც.

ეხლა კი ერთმანეთს უშლით ხელს მუშაობაში ქარხნის სივიწროვის გამო და მუდამ უსიამოვნებაც მოგვდის ამ ნიადაგზე.

მუშა ვ. ნ. ზ.

ამ უწესრიგობას საზღვარი უნდა დაედვას

როგორც ვიცით ყოველი დაწესებულება ცდილობს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. რკინისგზის სამმართველო-კი ხშირად გაუმჯობესების მაგიერ აუარესებს მას. მაგალითად, წინედ არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ ამბობდა სასურსათო და სხვა უფასო ბილეთების მიღებაზე იმდენ საყვედურს, რამდენსაც ეხლა ამბობს იგი.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ წინედ მუშები ბილეთებს ღებულობდენ საბილეთო განყოფილებაში. მუშა მოიტანდა განცხადებას დღეს და მეორე დღეს ბილეთი მზად იყო. ეხლა კი ასე არ არის.

ამ რამოდენიმე ხნის წინედ სამმართველომ ბილეთების გაცემა დააწესა ასე: განცხადება უნდა მისცეთ ცნობათა ბიუროში (სადაც საჭიროა კარგი ნაცნობობა, რომ ეღირსო ბილეთს). ბიუროდან თქვენი განცხადება მიდის საბილეთო განყოფილებაში და შემდეგ ისევ ცნობათა ბიუროში ბრუნდება განცხადებაში აღნიშნულ ბილეთით.

რომელიმე მუშა-მოსამსახურემ, რომ დღეს განიზრახოს ხვალ სადმე წასვლა, ის დღეს დილიდან ხვალ შუადღემდი ვერ ეღირსება ბილეთის მიღებას, თუ „კაი პროტექცია" არა აქვს საბილეთო განყოფილებაში.

ეს კი ქმნის აუტანელ მდგომარეობას მუშებისთვის. მოვიყვან მის ერთ მაგალითს: შაბათს, 31 ივლისს, ცნობათა ბიუროსთან გაგრძელებულიყო დიდი რიგი ბილეთების აღებაზე. რიგში მდგომთ ეჩქარებოდათ და ცნობათა ბიუროში კი საოცარი კისკისი იყო.

ცნობათა ბიუროს გამგეობის მიერ დანიშნულ დროზე ბილეთების მისაღებად დაბარებული მუშა-მოსამსახურეები მოვიდნენ, მაგრამ ბევრის ბილეთები გამოწერილი არ იყო.—„სამშაბათს მიიღებ" იყო ასუხი.

რას ნიშნავს ეს? მუშა-მოსამსახურე შაბათს მიემგზავრება სანოვაგის ჩამოსატანად და მას ეუბნებიან ბილეთი სამშაბათს მიიღეო?!.

განა ადმინისტრაცია არ უნდა ცდილობდეს, მუშას ბილეთი მისცეს მაშინ, როდესაც შეეძლება მისი მოხმარება?

მუშკორი კოტე ქვენობნელი.

მუშათა საბინაო მშენებლობა თუ კერძო პირთა თვითნებობა?!

ვერაზე, პირველ სამილიციო უბნის შენობის პირდაპირ მდებარეობს კარგა მოზრდილი ნაწილი ადგილისა ვორაკზე, ე. წ. არამიანცისეული ნაჭერი, სადაც ეხლა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს: სახლებისათვის ამზადებენ საძირკვლებს, ზიდავენ ქვებს, ხრეშს, კირს, ხეტყეს, აგურს და სხვ.

როგორც ეტყობა, აქ იწყება სახლების აშენება. მაგრამ ეს მშენებლობა მიმდინარეობს სტიქიურად და არავითარი გეგმა ამისათვის არ უნდა არსებობდეს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქალაქი იზრდება და მაშასადამე, საჭიროა ყოველი კვ. არშინი საცხოვრებელი ბინის რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენება, მაშინ ყოველივე ზომა უნდა იქნას მიღებული იმისთვის, რათა საბინაო აღმშენებლობასაც ანგარიში გაეწიოს და დაზოგვილ იქნეს ისედაც შევიწროებული ადგილები, სადაც შესაძლებელია რამდენიმე ოჯახისათვის ბინის აგება.

ზემოხსენებულ არამიანცისეულ მიწაზე კი ასე არ ხდება, არამედ თავისუფლად შენდება პატარა ქოხები, რომლებსაც კარგა მოზრდილი მიწა დასჭირდება.

აქ 15-მდე კერძო მესაკუთრენი იშენებენ თავიანთვის ბინებს, როცა ეს ადგილმდებარეობა შეიძლებოდა, რომელიც მე მუშათა საბინაო ამხანაგობისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში გადაცემული ყოფილიყო სახლების ასაშენებლად.

როგორც ამბობენ, აქ თურმე ყველას აქვს მიზომილი მისთვის საჭირო მიწა.

საჭიროა გამორკვევა—არის თუ არაა ასეთი აღმშენებლობა სადმე რეგისტრაციაში გატარებული და ქალაქის აღმასკომის „უქს"-ის განყოფილებამ იცის თუ არა რამე ამის შესახებ.

საბჭოს წევრი..

მიწის ნაკვეთები ზაჰესისათვის

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა წარედგინა დასკვნა იმ მიწების ჩამორთმევის საკითხზე, რომლებზედაც გაივლის ზაჰესის ელექტრო-ნაკადი და აგებული იქნება სადგურის სხვადასხვა ნაკვეთები.

კომისია გაეცნო ადგილობრივ ზაჰესის ხაზის და ნაშენების ადგილმდებარეობას; კომისიამ დაადგინა გადაეცეს ზაჰეს მიწის ნაკვეთები დაწყებული ზაჰესის განმანაწილებელი მოწყობილობის შენობიდან დიდუბის ქვესადგურამდე 10 მეტრის სიგანეზე.

ამას გარდა, ზაჰეს უნდა გადაეცეს მიწის ნაკვეთები ელექტრო-ნაკადის ხაზზე დიდუბის ქვესადგურიდან ნაძალადევის და ავლაბრის ქვე-სადგურამდე.

იმ მიწების საერთო სივრცე, რომელიც გადაეცა ზაჰესს ქალაქის ფარგლებში სხვადასხვა ნაშენების ასაგებად უდრის 6.101.93 კვ. მეტრს.

სულ კი ზაჰესს ელექტრო-ნაკადის ხაზისა ნაშენებისათვის გადაეცა 33.705.996 კვ. მეტრის სივრცის მიწა.

ყოველგვარი ნაშენების აგება ჩამორთმეულ მიწებზე, კომისიის დადგენილებით, უნდა მოხდეს თბილისის აღმასკომის ნებართვით. ამასთანავე ელექტრო ნაკადის მთავარ მაგისტრალებისათვის ჩამორთმეულ მიწებზე არ შეიძლება გაყვანილი იქნეს წყალსადენი, კანალიზაცია, ტელეგრაფის ტელეფონის და ტრამვაის ხაზები თუ საამისოთ არ იქნა სპეციალური ნებართვა. ელექტრო-ნაკადის ხაზისათვის ჩამორთმეულ მიწებზე (ზაჰესიდან—დიდუბემდე) ნებადართულია სამიწათმოქმედო სამუშაოები. მაგრამ ყოველგვარი შრომა მინდვრების დასამუშავებლად აღნიშნულ რაიონში—მიწის მოსარგებლეთა რისკს შეადგენს.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა აღნიშნული კომისიის დადგენილება.

არქეოლოგიური გათხრა

არქეოლოგმა ქალმა პჩელინამ ამ დღეებში დაასრულა არქეოლოგიური გათხრა ქემლუტის რაიონში (სამხრეთ-ოსეთი). გათხრა სწარმოებდა სორტას მიდამოებში. პჩელინას აზრით, ნაპოვნ ნივთებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღმოჩენილ ნივთებს შორის მოიპოვება რომაელების, მონღოლების და სხვა ერების კულტურული ნაშთები. აღმოჩენილი ნივთები გადაეცა სამხრეთ-ოსეთის მუზეუმს.

საარქეოლოგიო კვლევა - ძიება იწარმოებს მომავალ წელშიც.

საბრეშუმო სადგური

ცენტრ. საბრეშუმო სადგურის მუშაობა

საქ. ცენტრ. საბრეშუმო სადგურის მიერ განაწილებულ იქნა და გადიგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში 178.015 კოლოფი (კოლოფში—25 გრამი თესლია) ქიის თესლი, აქედან 77.626 კოლოფი—ადგილობრივი თესლი, 22.750 კოლოფი—ერევნის საბრეშუმო სადგურის პროდუქცია და 77.639 კოლოფი—საზღვარგარეთიდან შემოტანილი.

განაწილებული თესლიდან საქართველოში გასაღდა 115.113 კოლოფი, გაიგზავნა: აზერბეიჯანში—42.200 კოლოფი, თურქესტანში—20.000 კოლოფი, ტაგანროგში—500 კოლოფი, მეთესლეებს დაუბრუნდა 152 კოლოფი.

სადგური აწარმოებდა კოლექციებისათვის საჭირო მასალების დამზადებას: დამზადებულ იქნა ჰერბარიუმი 46 სხვადასხვა ჯიშის თუთის ხისა, სამოსწავლო კოლექციები და სხვ.

სადგურთან მოწყობილ იქნა კურსები—მეაბრეშუმეობისთვის ინსტრუქტორების და მეფუტკრე-ტეხნიკოსების მოსამზადებლად.

მცენარეთა დაცვა

მიწათმოქმედების სახ. კომისარ. სასოფლო-სამ. სამმართველოს მცენარეთა დაცვის განყოფილების მიერ ა.-წ. აპრილის 1-დან ივლისის 1-მდე შესრულებულია შემდეგი სამუშაო:

ჩატარებულია მასიური საჩვენებელი წამლობა ბაღების და ბოსტნების მავნებელთა წინააღდეგ: თბილისის მაზრაში—160 დეს ბაღის და 130 დეს. ბოსტნის სივრცეზე, ქუთაისის მაზრაში—ვაზის მავნებლის (ქვირტის ჭია) წინააღმდეგ და გორის მაზრაში—350 დეს. ბაღის სივრცეზე.

ჩატარებულია ბრძოლა მაზრის წინააღმდეგ აჭარისტანში, თბილისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის და ბორჩალოს მაზრებში, 4.000. დეს. სივრცეზე.

მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებდა თბილისის მაზრაში, 600 დეს. სივრცეზე.

კალიის წინააღმდეგ ბრძოლა ჩატარებულია თბილისის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში 19.000 დეს. მანძილზე.

სწარმოებდა აგრეთვე ბრძოლა ბამბის მავნებელთა წინააღმდეგ სხვადასხვა რაიონებში და სხვადასხვა მეცნიერულ კვლევითი ხასიათის სამუშაო.

ქრონიკა

დიპლომატიური დარბაზობა

6 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ორახელაშვილმა მიიღო გერმანიის გენერალურ საკონსულოს ვიცე კონსული თბილისში მოქ. ზეშკე, რომელიც დროებით ასრულებს შვებულებაში წასულ გენერალურ კონსულის მოქ. პრიუფერის თანამდებობას.

ამხ. ჩაპლინის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ახალგაზრდა ლენინურ კომუნისტური კავშირის ცეკას მდივანი—ამხ. ჩაპლინი.

ინჟ. ფრანსუა როდრიგეცის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა იტალია-ბელგიის ნავთის საქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი—ინჟ. ფრანსუა როდრიგეცი.

ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლები

თბილისში ჩამოვიდა ამერიკის სავაჭრო საზოგადოების საზღვარგარეთის ოპერაციების დირექტორი ბ. აჩისონი და აღნიშნული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გენერალური დირექტორის მოადგილე ბ. ზისტმანი, რომლებიც მიღებული იქნა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის ამხ. მამია ორახელაშვილის მიერ.

საკრედიტო კოოპერაციის თათბირი სომხეთში

ორშაბათს 9 აგვისტოს ერევანში იხსნება სომხეთის სახოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივთა წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე ა.-კ. სახოფლო-სამეურნეო ბანკმა გაგზავნა თავის წარმომადგენლად ბანკის მთავარი ინსპექტორი ამხ. ა. ოგანეზოვი.

ბანკის გამგეობამ გაუგზავნა თათბირს მისალმების დეპეშა.

ეროვნულ უმცირესობის საბჭოში

— **ადგილები ერევნის უნივერსიტეტში.** საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ დაითმო ერევნის უნივერსიტეტში 20 ადგილი, ადგილების განაწილება მოხდება ამ თვის 20-თვის, იმის შემდეგ, როცა საქ. ყველა კუთხეებიდან მიღებული იქნება ცნობები თუ რამდენია ერევნის უნივერსიტეტში შესვლის მსურველი.

— **სახელმძღვანელოები.** ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ გამოიწერა სახელმძღვანელოები მოსკოვიდან თათრულ ენაზე (ყაზანის თათრებისთვის). დანარჩენ ეროვნებათა სკოლებს ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილი იქნებიან საქართველოს სახელგამის საშუალებით.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **ბრძოლა ეპიდემიასთან.** ვინაიდან ქუთაისში გადამდებმა ავადმყოფობებმა ეპიდემიური ხასიათი მიიღეს, ჯანსახკომმა იქ გაგზავნა სადისპანსერო მუშაობის ხელმძღვანელად ექიმი რუსიშვილი.

განათლების კომისარიატში

— **ბოროტმოქმედი ბავშვები.** განათლების კომისარიატის ცნობით, ბოროტმოქმედ ბავშვთა რაოდენობა ამ უკანასკნელ ხანში საგრძნობლად შემცირდა.

— **ახალი სკოლა.** მომავალი სამოსწავლო წლიდან გაიხსნება სავაჭრო-საკანტორო სკოლა; ამ სკოლის მოსაწყობათ შინა-მრეწველობის კომისარიატმა გადასდო 2.000 მან.

ხელოვნების ქრონიკა

— **სიმფონიური კრება.** დღეს, 8 აგვისტოს, მუშათა ახალ კლუბში დამსახურებული არტისტის ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით გაიმართება მეშვიდე სიმფონიური კრება.

— **ს. ესენინი ქართულად.** პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ სთარგმნა და ახლო ხანში დაიბეჭდება ცალკე წიგნად სერგეი ესენინის პოემა: „ანნა სნეგინა".

შემთხვევები

ონის გზაზე მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად

ონის გზაზე მომხდარ კატასტროფის მიზეზების დაწვრილებითი გამოსარკვევად უბედურების ადგილზე გუშინ დილით გაემგზავრენ „ზაკავტოპრომტორგი"-ს და სასამართლოს წარმომადგენლები, რომელნიც თბილისში დაბრუნდებიან ორშაბათს, 9 აგვისტოს.

— **დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა ქეროპ სარქისოვი, რომელმაც გაქურდა სარდარაბადის, (სომხეთში) კოოპერატივი. სარქისოვი გადაიგზავნა ერევანში.

— **სპეკულიანტების დატუსაღება.** ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიიდან სპეკულიანტობის მიზნით პ. ჯუხიაშვილს, ბრაგემინდერს და ს. ცოვიანოვს გამოჰქონდათ საქონელი და ყიდდენ კერძო ვაჭრებზე. სპეკულიანტები დაატუსაღეს.

— **სასადილოს გაქურდვა.** 6 აგვისტოს გატეხის საშუალებით ანდრეევის ქ. გაქურდეს ს. გაზარაშვილის სასადილო, საიდანაც წაიღეს 140 მან. ღირებული ნივთები.

— **მაღაზიების გაქურდვა.** 5 აგვისტოს რკინის რიგში გაქურდეს: მ. ტამპაჩევის, მ. აივაზოვის, ჯიბვარიანის და თატულოვის მაღაზიები; როგორც გამოირკვა ქურდობა ჩადენილია ერთი და იმავე პირის მიერ.

— **ონის გზაზე მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად.ლუეუსკალსკ კლლ**

რკინის გზებზე

ა.-კ. რკინისგზების 1926—27 წ. ხარჯთაღრიცხვა

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. რკინისგზების სახარჯთაღრიცხვო კომისიის წევრი ამხ. გ. ა. ბეჟანიშვილი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს ცენტრში წარდგენილ ა.-კ. რკ. გზების 9126—27 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ შემდეგი აცნობა:

ხარჯთაღრიცხვა უკვე განხილულია გზათა მიმოსვლის კომისარიატის განყოფილებებში.

საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვა აღნიშნული წლისათვის ცენტრის მიერ დამტკიცებულ იქნა—23.500.000 მანეთის რაოდენობით. ამაში არ შედის ხელფასი, რომლის ჯამი ჯერ საბოლოოდ არ არის გამონაგარიშებული.

ახალ სამუშაოებისათვის ჩვენ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი იყო 32 მილიონი მანეთი, მაგრამ ცენტრმა იგი დაამტკიცა მხოლოდ 12 მილიონის ფარგლებში; სხვათა შორის ამაში შედის 4 მილიონი მანეთი მეორე ლიანდაგის დასაგებათ.

ცენტრის მიერ გადარბენის მანძილი 1926—27 წლისათვის დატოვებული იქნა შარშანდელი—19362 საორთქლმავლო კილომეტრი. კომისარიატმა გადასწყვიტა კრედიტის მიცემა 60 ორთქმავლის შესაკეთებლათ ა.-კ. რკ. გზების სახელოსნოებში, ხოლო ცხრისა არა რკინისგზების, მაგრამ სახელმწიფო სახელოსნოებში.

რაც შეეხება ვაგონებისთვის საჭირო კრედიტს, იგი უცვლელად იქნა დამტკიცებული.

გადარბენის ნორმის განხილვის დროს დამტკიცებულ იქნა გადარბენა: საორთქლმავლო ბრიგადისათვის—2.000 კილომეტრი და საბარგოსათვის—1840 კილომეტრი.

რაც შეეხება შტატს, ცენტრმა იგი დასტოვა უცვლელად.

შრომის დაცვისათვის დამტკიცებული იქნა 102.000 მან., საბინაო აღმშენებლობისათვის—500.000 მან., სპეცტანსაცმლებისათვის—360.000 მან., კულტურული მუშაობისათვის ნაცვლად 1 პროცენტიანი ანარიცხისა მიღებულ იქნა მხოლოდ ნახ. პროცენტი.

ამასთანავე მიღებულ იქნა თანხების გაცემა შპალების და რელსების შესაცვლელათ.

სოც. უზრუნველყოფა

გლეხკომების კონფერენცია

დღეს თელავში გაიხსნება თელავის მაზრის გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების (გლეხკომების) სამაზრო კონფერენცია. კონფერენციაზე დასასწრებლათ გუშინ, 7 აგვისტოს, თელავში გაემგზავრა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ქ. ხომერიკი.

გლეხკომები და კოოპერაცია

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით, გორის მაზრაში გლეხკომებმა თავისი საშუალებით კოოპერატივებში წევრებათ ჩარიცხეს 420 ღარიბესი გლეხი.

სასამართლო

მხეცები

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ გრიგოლიას მონაწილეობით ქ. ლაგოდეხში გაარჩია გრიგალაშვილის და ტალახაძის საქმე.

გრიგალაშვილს და ტალახაძეს ბრალდებათ ლ. წ-ძის გაუპატიურება.

1925 წ. ივლისის ბოლო რიცხვებში სოფ. გუოგენიანის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრები. 11 წლის, ოლღა წ-ძე ყოფილა ტყეში ტყემლის დასაკრეფად. იქ მას შეხვედრია ბრალდებულები—ტალახაძე და გრიგალაშვილი. წ-ძის დანახვისთანავე მათ აღძვრიათ მხეცური გრძნობები და ძალდატანებით რამოდენიმეჯერ სქესობრივი კავშირი დაუჭერიათ ქალთან. მხეცები არც ამით დაკმაყოფილებულან და იქვე გამვლელი მოქალაქეც „მიუპატიჟებიათ". ამ უკანასკნელს უარი განუცხადებია „ძმა-ბიჭების" წინადადებაზე, რის გამო ბრალდებულ გრიგალაშვილს ამ მოქალაქის მოკვლა მოუნდომებია, მაგრამ ვანზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია .

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავეთ.

ექიმ-ექსპერტების დასკვნით გაუპატიურების ფაქტს—მართლაც ჰქონია ადგილი.

სასამართლომ გრგალაშვილს და ტალახაძეს მიუსაჯა ხუთ-ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ძძერძიბაშევის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. აბაშიძემ დაასრულა წინასწარი გამოძიება აღმასკომის ყოფილ მოლარის ძძერძიბაშევის საქმეზე.

ძძერძიბაშევს ბრალდება 3000 მან. მითვისება და გაფლანგვა.

საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

5.000 მან. გაფლანგვა

გუშინ დასრულდა წინასწარი გამოძიება საქართველოს ტყავ-ტრესტის ყოფილ მოლარის ხაბაზოვის საქმეზე.

ხაბაზოვს ბრალდება 5.000 მანეთის სახაზინო ფულების მითვისება და გაფლანგვა.

2.500 მან. ზარალი

დასრულდა წინასწარი გამოძიება საქართველოს წყალთა მეურნეობის ტეხნიკოს ბოკერიას საქმეზე.

ბოკერიას ბრალდება სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობა და დაუდევრობა, რითაც დაწესებულებას მიაყენა 2.500 მანეთის ზარალი.

ელენიძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. ბორჯომში გაარჩია მოქ. ელენიძის საქმე.

ელენიძის ბრალდებოდა 10 წლის ბავშის გარყვნა.

სასამართლომ ელენიძე დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა მას 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

ჩვენ ორი მემანქანეები რკინისგზის მატარებლებისა მატარებლის დაჯახების გამო წარსულ წელს ოთხ აგვისტოს, სადგურ ჯუმათში, რკინისგზის ტეხნიკურ კომისიის მიერ ვიქნენით ჩამოყენებული სამანევრო სამუშაოზე მემანქანეებად; მასთან რკინის გზის საგანკომმა გადაგვცა პასუხისგებაში. ამ დღეებში ჩვენი საქმე გაირჩა სასამართლოში და ჩვენ ვიქენით ცნობილი სრულიად უდანაშაულოდ და გამართლებული.

გთხოვთ განმარტებას, ადმინისტრაცია ვალდებულია თუ არა აღგვადგინოს ჩვენ პირვანდელ სამუშაოზე. მასთან, გვეკუთვნის თუ არა მივიღოთ ხელფასის ის განსხვავება, რაც ჩვებ დაგვეკლდა ამ ჩამოყენებით.

მემანქანეები ხოსელია და ესაკია.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 38სა, განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსალოდნელ ხიფათის აცილების მიზნით ადმინისტრაციას აქვს უფლება დაავალოს მუშა-მოსამსახურეს ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ შეეფერება მის კვალიფიკაციას. ამ შემთხვევაში შრომის ხელფასის შემცირება არ დაიშვება.

ამას გარდა, ადმინისტრაციას აქვს უფლება მუშა-მოსამსახურე გადაიყვანოს უფრო დაბალ ხელფასიან სამუშაოზედ; ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაქირავებულს პირვანდელი ხელფასი უნდა მიეცეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან გადაყვანისა. (იხ. შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 64).

ამიტომ თქვენი აღდგინა პირვანდელ მაღალ კვალიფიკაციის თანამდებობაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაც ეს თანამდებობით ჩამოქვეითება დაკავშირებულია იმ ბრალდებასთან, რომელიც იქნა წამოყენებული თქვენ წინააღმდეგ. თქვენ მიერ წამოყენებული საკითხი უნდა გაირჩეს საკონფლიქტო წესით ადგილობრივ შეფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

პარტიული კალენდარი

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა

პარასკევს, 13 აგვისტოს ერთიან პარტდღეს

უჯრედებმა, რაიკომებთან შეთანხმებით წამოაყენონ ადგილობრივი საკითხები.

თ. კ. სამდივნო.

ს. კ. თბილისის კომიტეტის საორგ.-განმანაწ. განყოფილება აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან: გერასიმე აბვერდოვი, ათანასე ბურეევი, ონისიმე არეშიძე, მიტრ. ჯაშია, კალ. დერიაბინი, ანა იაკობის ასული კამენსკაია, ივანე კომსნიკოვი.

საქ. კომ. თ. კ. საორგ.-განმ. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, 9 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე გამოცხადდენ განყოფილებაში: ფიცხიშვილი, შარაშენიძე, გასპაროვი, სალხუშიშვილი, ზურაბოვი, გაბაევი, გიგაური, გოგიბერიძე, ესიაშვილი, ოვიანი რობაქიძე, მირანაშვილი, პირუმოვი, გ. სიხარულიძე, კაბალეიშვილი, ზოსიმოვი, საფაროვი, შენგელია, პინსკი, კერესელიძე, ურუშაძე, ელბაქიანი, დანიელიანი, ვასაძე.

ვინც არ გამოცხადდება, მოხსნილი იქნება აღრიცხვიდან.

კომკავშირის მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორშაბათს, საღამოს სრულ 4 საათზე გამოცხადდენ რაიკომში: 1) ივანე ივანოვი, 2) ლიტვინოვი, 3) დაუშვილი, 4) აჯალოვი, 5) კირიაკოვი, 6) მამიევინოვი, 7) ტერჩიანი, 8) ყარაჯიანი, 9) მამიანი, 10) ოგანეზოვი, 11) ხუდოიანი, 12) სკანდაროვი, 13) სტეფანოვი, 14) ოუდნიკ, 15) ვოლფდარსკაია, 16) ხაშბაზიან, 17) კულიჯანოვა, 18) ტიგრანიან, 19) გოდებოიშვილი, 20) არუთიუნოვი, 21) ბაგაროვი, 22) აკოფოვი, 23) გოროდაევი, 24) აკპერ-მაჰედ ალი-ზადე, 25) ალავერდოვი, 26) მოსესოვი, 27) აბაიშვილი, 28) ფაიზულინი, 29) იაკოვლევი, 27) აბაიშვილი, 31) სარქისოვი, 32) შაპსონი, 33) მამედოვი, 34) ისმაილოვი.

ყველა დასახელებულ ამხანაგების გამოცხადება დაუყოვნებლად სავალდებულოა.

საქართველოს კომკავშირის ც. კ. იუწყება, რომ ორშაბათს, 9 აგვისტოს, დღის 12 საათზე შესდგება კომკავშირის ც. კ. ეკონომკომისიის სხდომა.

კომისიის ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართ. მუშათა ფაკულტეტის ახალგაზრდა ლენ. კომ. კავშირის უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ სამშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება კომკავშირის უჯრედის კრება. ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 11 აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე შესდგება ქალთა სადელეგატო კრება დიასახლისებთან ერთად.

ყველა დელეგატებისა და ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 9 აგვისტოს, რ. კ. საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება რ. კ. საორგანიზაციო თათბირი. საორგანიზაციო თათბირის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება სოცდაზღვევის სამმართველოს უანგარო და ენერგიულ სავსე მუშაკის ბუხჰალტერ-ინსტრუქტორის

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელის

მოვალეობათა აღსრულების დროს ტრაღიკულად დაღუპვას
3187

რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველო აუწყებს დაუღალავ ენერგიის, საქმისათვის თავდადებულ მუშაკის სამმართველოს ბუხჰალტერ-ინსტრუქტორის

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.
დაკრძალვის ადგილი და დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
3187

ღრმად დამწუხრებული რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 6 აგვისტოს ქ. ონიდან ქალ. ქუთაისში მომავალ ავტომობილის კატასტროფის დროს ტრაღიკულად დაიღუპა მათი საუკეთესო და ძვირფასი ამხანაგი

ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელი

დაკრძალვის ადგილი და დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
3187

ღრმად დამწუხრებულნი დუშეთის მაზრის დამზღვევი პუნქტი და თანამშრომლები აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 6 აგვისტოს ონიდან ქუთაისში მომავალ ავტომობილის კატასტროფის დროს ტრაღიკულად დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის სოც. დაზღვ. სამმართველოს ენერგიული მუშაკი

ამხ. ამბროსი გიორგის-ძე ამაშუკელი
3187

ღრმად დამწუხრებულნი ბიცოლა მადიკო კილურაძისა, ქსენია და არჩილ თავისი შვილებით—რევაზ და რუსუდან ასათიანები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილი მე-6-ე კლასის მოწაფე

თამარა სიმონის ასული კილურაძე

მიხეილის საავადმყოფოში 6 აგვისტოს დილით 10 საათზე, გასვენება მოხდება ამავე საავადმყოფოდან 8 აგვისტოს, დღისით 4 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე.
3179

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ნინო, და თეკლე, ცოლისდა ლიზა, შვილები, შვილი-შვილები და სიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 6 აგვისტოს ქ. თელავში გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

გარსევან (გარსო) პავლეს-ძე კურდღელაშვილი

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ორშაბათს, 9 აგვისტოს ქ. თელავში.
3180

უდროოთ გარდაცვალებულ

გრიშა ქლენტის

ცოლშვილი და ნათესავები ულრმეს მადლობას სწირავენ თბილისის და ქუთაისის ფარმაცევტთა კორპორაციას და აგრეთვე დასაფლავების დამსწრე საზოგადოებას პატივისცემისა და თანაგრძნობისათვის.
3181

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ნ. 1613 0—6

პრემიერა
„სამი თაობა"
ანონსი: ხვალ ორშაბათიდან: კანონი და უკანონობა
ჩქარა: მანდრენ

საუკეთესო სურათი ნორმა ტოლმეჯის მონაწ.
ზეინაბი და რამლიკა
ანონსი: ამ დღეებში „სიყვარულის გამარჯვება"
ჩქარა: „шах и мат"

საზონის საუკეთესო სურათი
„უდაბნოს გუგუნი"
მხატვრ. დრამა აღმოსავლეთის ცხოვრ., 8 ნაწილი.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ეთერი
ჩქარა
სოლეი
ШАХ И МАТ
მონაწილეობს
პრისცილა დინ

კვირას, 15 აგვისტოს, 1926 წ. გურჯაანში
შესდგება კახელ-მევენახეთა კოოპერატიული საზ—ბა
„კახეთი"-ს
რწმუნებულთა ჩვეულებრივი
საზოგადო კრება
განსახილველია
1) გამგეობის მოხსენება 1923—1924 საანგარიშო წლის მუშაობის შესახებ.
2. გამგეობის მოხსენება 1924—1925 საანგარიშო წლის მუშაობის შესახებ და,
ინფორმაციულ მოხსენება 1925—1926 საანგარიშო წლის მუშაობის შესახებ.
3. საბჭოს მოხსენება.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. წესდების გადასინჯვა.
6. 1925—1926 წლის ხარჯთა-აღრიცხვის განხილვა.
7. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.
ნ. 1649 2—1. გამგეობა.

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—1 ნ. 1650

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს**, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**. რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი"-ს

მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ქიათურის გამგე **გოგელიას**, ზუგდიდის კონტრაგენტ **რუდის** და სამტრედიის კონტრაგენტ **მ. წულაიას** გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

გაზ. „კომუნისტი"-ს ქუთაისის კანტორა

აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც ძველი თვეების დავალიანება არ გადაუხდიათ, რომ ანგარიშის უკანასკნელ გასწორების. ვადათ დანიშნულია 15 აგვისტო,—რის შემდეგ, გადაუხდელი გაზეთის საფასურის ასაღებათ მიღებული იქნება განსაკუთრებული ზომები.

ნ. 1624 რწმუნებული ტყაბლაძე

წარმოკავშირის სალიკვიდაციო კომისია

რომელიც არჩეულ იქნა ა-წ. ივლისის 24-ს წარმოკავშირის ლიკვიდაციის ჩასატარებლად, ამით აცხადებს მოვალეთა ცნობად, რომ ყოველგვარი **პრეტენზია** წარმოკავშირის დავალიანების შესახებ

მიიღება ა-წ. სექტემბრის 1-მდე.

ხოლო ამ ვადის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

მისამართი თბილისი, კომინტერნის ქუჩა № 3.

2—1 ნ. 1618 წარმოკავშირის სალიკვ. კომისია.

გაზ. „კომუნისტი"-ს რწმუნებულათ შორაპნის მაზრაში

ინიშნება

გიორგი გოგელია

რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალი სოფელზე"

0—3 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის საარტილერიო ლეგიონი

აცხადებს, რომ ყველა მიწერილი არტ-ლეგიონში და ცალკე ცხენოსან ესკადრონში უმცროსი მეთაურები და რიგის წითელ-არმიელები დაბადებულნი 1900, 1901, 1902 წლებში ვალდებულნი არიან გამოცხადნენ ამ წლის 1 სექტემბერს დილის 7 საათზე. მეთაურები და პოლიტ-შემადგენლობა ვალდებულია გამოცხადეს ა. წ. 10 აგვისტოს დილის 7 საათზე. ადმ. მედ. საბეითლო შემადგენლობა ამ წლის 28 აგვისტოს დილის 7 საათზე. მიწერილები ლეგიონის სამართველოში, საგაუბიცო დივიზიონში და ცალკე ცხენოსან ესკადრონში ვალდებულნი არიან გამოცხადნენ ქ. თბილისში ავლაბარი ბანაკი სამხედრო სკოლებისა (პეტრე-პავლეს სასაფლაოს უკან.

მიწერილები საველე დივიზიონში ვალდებულნი არიან გამოცხადნენ ქ. ქუთაისში მე- ინტერნაციონალის ქუჩაზე.

ლეგთავი ა. იოსელიანი.
სამხკომი ბერიძე.
3188. შტაბის უფროსი ვ. ანთაძე.

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 16 აგვისტოს 1926 წელს შუადღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ივანოვ მარდალეიშვილის ქუჩის 1-ლი შესახვევში ლეონტი მიხეილის-ძე ნიქაბაძის ეზოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ლეონტი ნიქაბაძის მოძრავი ქონება: 1) ერთი ტანისამოსის შკაფი დაფას. 50 მანეთი, 2) ერთი კედლის ხალი—დაფას. 20 მანეთი და სხვა, ვლადიმერ შავგულიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 1653

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 8 აგვისტოს 1926 წ. დღის 2 საათზე, ადგილობრივ სოფ. წვერში დანიშნულია მცხ. წვერში ნიკო ივანეს-ძე სამნიაშვილის ქონების **საჯარო ვაჭრობა** ქონება შეიცავს: ერთ მუხის ფიცარი ოთახს დაგურულს ყავრით შეფასებული 245 მან. ქარელის სასოფ. საბ. კოოპერ. ძაძის-ხეობის და სხვა ვალის სანაზღაუროდ. ნ. 1682

დასავლეთ საქართველოს შრომის სესიის აღმასრულებელი მ. გაბადაძე

ამით აცხადებს, რომ ქალ. ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე სასადილო „იალტა"-ში დანიშნულია 12 აგვისტოს 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა ტარასი გიორგის-ძე ძებულაძის და გიორგი ისიდორეს-ძე რევიშვილის მოძრავ ქონებისა, რაც შეიცავს: 19-ტ სხვადასხვა ზომის სტოლს, ორი კილიონკას, ოცდარვა სელის სკამებს 11-ტი სტოლის საფარს და სხვების შეფასებულს სულ 534 მან. და 50 კაპ.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ბესარიონ და გრიგოლ მომჩემლიძეების ივანე ღოღაბერიძეების და სხვ. ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 1653

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 10 აგვისტოს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 82 (ოლღის) ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ მაჩკალოვის მოძრავ ქონებას: ბალრესტორანის „ფანტაზია"-ს მოწყობილობას და სხვადასხვა სასმელებს შეფასებულს 270 მან. სახ. კვების კავშირის, კოსტიევის და სხვა ვალის დასაკმაყოფილებლად; თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 10 ოქტომბერს 1925 წ. თარიღით, № 3999 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა, და სხვა ფურცლებისა ქვ. 3168

საჭიროა
მემანქანე—ქალი
რუსულ-ქართულ ენაზე ბეჭდვის ცოდნე, დიდი სტაჟით, საჭიროა სავაჭრო ბალანსების ბეჭდვის ცოდნა,—კარგ ჯამაგირზე მიმართეთ **მუშკოოპის გამგეობაში (კირკის ქ. № 7) ამხ. კალანდაძეს.** ნ. 1651

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან
გარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი **ზუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89
25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

---

20 ივლისს 1926 წ.

სოფელ წითელ ახალქალაქში საარაკრთ მყოფი დიმიტრი (მიტო) სინჯიკაშვილი გავიდა ბინიდან დილით და დღემდის კი არ დაბრუნებულა. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ მაცნობოთ ქალაქ თბილისი, ნიკოლოზის № 18.

ალექსანდრე სინჯიკაშვილი.
3178

დაიკარგა პირადობის მოწმობა მარკოზ იოსების-ძე ფხალაძის სახელზე, ჩ. გ. 3177

დაიკარგა საწევრო წიგნაკი სატრანსპორტო კავშირის № 3543 და უვადო პასპორტი ადამი ავალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3178

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 11715, დამზღვევ სალაროს № 1601 და მუშათა კლუბის საწევრო წიგნაკი თამარ სიმონის ასული გომართელის სახელზე, ჩ. გ. 3184

დაიკარგა საბჭოთა სახლის 1926 წლის საბინაო დავთარი, მადათოვის ქუჩა № 5, ჩ. გ. 3183

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი და მე-5 ცხრაწლედი სკოლის დამთავრების მოწმობა № 779, ნინო გერასიმეს ასული ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. 318

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 458 დავით ალექსანდრეს-ძე ქუბაბრიას სახელზე, ჩ. გ. 3185

დაიკარგა ს.ა.ლ.კ. პირადი ბარათი № 9232, ვლადიმერ იოსების-ძე ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. 3182

დაიკარგა პირადი წიგნაკი, გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ № 1441, აკაკი დიმიტრის-ძე აფხაზავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1647

დაიკარგა საანგარიშო წიგნაკი № 58, შალვა გოგებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3185

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა. 68